საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა

№052 (12 122)

5 მარტი ორშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი

გოლი, გოლი, ისევ გოლი

ზუსტი გასროლა 27 იანვრის შემდეგ



ბელგიასაც მოვუგებთ, მაგრამ პირველს ვერ შევნიშნით

U 19. ტურნირი პორტუგალიაში 2

კაჭახიძე უნდა გადადგეს!

ინტერვიუ გუგა ტყავაძესთან 2



ზედიზედ მეორე გოლი და გუნდესლიგა ჰორიზონტზე

ეგალეოს წერტილი ქართველმა ვეტერანმა დაუსვა

ქართული ლეგიონის უიქენდი 2



კაპელოს კიდევ ერთხელ მიუთითებენ...

ევროუიქენდი 6-9

ცირეკიძის ოქრო

ოთხიც ბრინჯაო და თითქმის გარკვეული საევროპო გუნდი

ირაკლი თავაძე

გუშინ პოლონურ ქალაქ სპალაში დამთავრდა ძიუდოისტთა მორიგი მსოფლიო თასი, რომელშიც ჩვენებმა ერთი ოქროს და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე (90) გახდა, გიორგი ბაინდურაშვილმა (81), ლომერ ჟორჟოლიანმა (100), ლევან რაზმაძემ (100) და ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე) ბრინჯაო ირგუნეს. ამასთან, ვახტანგ ხოსიტაშვილი (60) და საბა გავაშელიშვილი მეხუთე ადგილზე გავიდნენ, მინდია ხომიზური (73) და ზვიად ხანჯალიაშვილი (მძიმე) კი მეშვიდეზე. მართალია, ეს ტურნირი სიძლიერით ბევრად ჩამორჩებოდა პარიზ-ჰამბურგისას, მაგრამ არც სუსტი ყოფილა და შედეგები მაინც საყურადღებოა.

ჩვენი ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს ამ ტურნირის მიხედვით უნდა დაეკომპლექტებინა ბელგრადში, ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა და მოვლენები ისე განვითარდა, უკეთესს ვერც ინატრებდა. ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო წონაში (81) კონკურენტები სულაც ერთმანეთს შეხვდნენ. ალბათ, ყველაფერი გაირკვა მძიმეშიც. საინტერესო ვითარება შეიქმნა 100-შიც, სადაც გამოსაცდელად წაყვანილი რაზმაძე ოდნავადაც არ ჩამორჩა ლიდერად შეგულებულ ჟორჟოლიანს. ერთადერთი, ხაბარელს საწყენ-სადარდელად ზაზა კედელაშვილის (66) აუხსნელი მარცხი თუ დარჩებოდა...

ირაკლი ცირეკიძე

პოლონური პერიპეტიები 11

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

U19. საერთაშორისო ტურნირი

პირველს ვერ შევნვდით



ჰაინც ტოპმიოლერი

საქართველო-ბელგია 3:0

1:0 ფანცხავა (33), 2:0 თარგამაძე (60), 3:0 ფანცხავა (69).

საქართველო: რ. კვასხვაძე (40 მაკარიძე), ბენაშვილი, ხუმარაშვილი, სანაია, მჭედლიძე, დაუშვილი, წულაძე (80. ქვრივიშვილი), თარგამაძე (63. ცუტკირიძე), ყენია, ფანცხავა, ღვინიაშვილი (74. სოფრომაძე).

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ირლანდია	3	2	1	0	6-3	7
2. საქართველო	3	2	0	1	5-3	6
3. პორტუგალია	3	1	0	2	3-2	3
4. ბელგია	3	0	0	3	2-8	0

გუშინ, პორტუგალიაში ჭაბუკთა ნაკრებებს შორის საერთაშორისო ტურნირი დასრულდა. თითო მარცხისა და მოგების შემდეგ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა კიდევ ერთ შეხვედრაში იმარჯვა. მესამე მატჩში ქართველმა ჭაბუკებმა ბელგიელი თანატოლები დაამარცხეს. იყო შანსი, ტურნირი მოგვეგო, მაგრამ ირლანდიამ მასპინძელი პორტუგალია დაამარცხა და მეორე ადგილს დავჯერდით. თუმცა პორტუგალიიდან ჩვენები პრიზის გარეშე არ წამოსულან. ბელგიასთან შეხვედრაში დუბლის ავტორ **ვახტანგ ფანცხავას** ტურნირის საუკეთესო ფორვარდის პრიზი მიანიჭეს.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ბელგიელთა წინააღმდეგ ჩვენმა ნაკრებმა ჩინებულად ითამაშა. მთელი მატჩი ქართველთა კარნახით მიმდინარეობდა. ანგარიში კი 33-ე წუთზე გაისხნა, როცა ფანცხავამ ნახევარბრუნში ეფექტური გოლი გაიტანა. ტაიმის ბოლომდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მეორე ნახევარში კი ქართველებმა კიდევ ორჯერ შეძლეს თავის გამორჩენა. მე-60 წუთზე ბელგიელებმა ქართველების მორიგი შეტევა მოიგერიეს, მაგრამ საჯარიმოდან გამოტანილ ბურთს **ირაკლი თარგამაძემ** მიწაზე დაშვება არ აცალა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გაზარდა. ჩვენებმა მეტოქეს გონზე მოსვლა არ აცალეს და 9 წუთში კიდევ გაზარდეს ანგარიში. თავი ისევ ფანცხავამ გამოიჩინა - საჯარიმოს გარედან უძლიერესი დარტყმით მატჩის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

"ჩვენმა გუნდმა თავდადებით იბრძოლა და ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ მეამაყება ამ გუნდის გაწვრთნა. ყველა ფეხბურთელის თამაშით კმაყოფილი ვარ. თუმცა განსაკუთრებით ჩვენს ორ მეკარეს გამოვყოფდი. მათ ჩინებულად ითამაშეს. ბრწყინვალედ ითამაშა ფანცხავამ, კვლავაც გააზრებულად ირჯებოდა ყენია. შეიძლება ითქვას, რომ სწორი და გეგმაზომიერი მუშაობის შემთხვევაში, ყენიასა და ფანცხავას სახით საქართველოს ნაკრებს, უძლიერესი ნახევარმცველი და თავდამსხმელი ეყოლება.

რაც შეეხება მთლიანად ტურნირს, დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა. მოხარული ვარ, რომ ამ გუნდის პირველმა საერთაშორისო ნათლობამ ჩინებულად ჩაიარა. ბიჭებმა გაცნობისთანავე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ვიმედოვნებ, შემოდგომამდე, შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, კიდევ გვექნება თამაშები და საკვალიფიკაციო ეტაპს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით", - განაცხადა მატჩის შემდეგ ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **ჰაინც ტოპმიოლერმა**.

დაბოლოს, პორტუგალიის საერთაშორისო ტურნირზე ჩვენს ნაკრებს თან ქართველი მსაჯი **დავით ხარიტონაშვილი** ახლდა. ის ტურნირზე ორ, ირლანდია-ბელგიისა და პორტუგალია-ირლანდიის მატჩებს მოემსახურა და ორგანიზატორებმა მისი გარჯა დადებითად შეაფასეს.

დავით ცაბაძე

შოთა არველაძე ნიუკასლს ემუქრება

ლეგიონერი

ჯორდებს მოუგებთ!

"ალკმაარის" ქართველი ფორვარდი იმედიანადაა - **შოთა არველაძეს** მიაჩნია, რომ მისი კლუბი უეფას თასიდან ინგლისურ "ნიუკასლ იუნაიტედს" გამოაგდებს. შოთამ ინგლისურ მედიას განუცხადა, რომ დარწმუნებულია მისი კლუბი ხუთშაბათს "სენტ ჯეიმს პარკზე" თავს არ შეირცხვენს და ისეთ შედეგს მიაღწევს, რომელიც ორი მატჩის ჯამში "ალკმაარის" გასამარჯვებლად იქნება საჭირო.

"ნიუკასლი" ძალიან სახიფათო მეტოქეა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა კლუბი პრემიერლიგაში მოწინავე პოზიციებზე არაა, "ნიუკასლი" ინგლისის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. უბრალოდ, ტრავმებმა ჯორდებს დაღი დაამჩნია. განსაკუთრებით მტკივნეული მათთვის მაიკლ ოუენის დანაკლისია. ინგლისური ფეხბურთის შესახებ ბევრი ვიცი, რადგან შოტლანდიაში ვთამაშობდი. ნიუკასლში უნდა ვეცადოთ რაც შეიძლება ნაკლები დავუთმოთ მეტოქეს. ჩვენს დავაში გადამწყვეტი საპასუხო შეხვედრა იქნება ჰოლანდიაში", - განაცხადა შოთა არველაძემ ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

ფედერაციას ვენდობით

ხვალ, საქართველოს თასის მეოთხედფინალის განმეორებითი მატჩები გაიმართება, "დინამო" კი დღემდე ითხოვს იმ წესის გაუქმებას, რომლის თანახმადაც თასის ერთ რაუნდს ერთი და მსაჯთა იგივე ბრიგადა ემსახურება. "დინამოს" უკმაყოფილება საჯაროდ "ამერთან" მეოთხედფინალის პირველი მატჩის შემდეგ გამოითქვა. დღეს კი კლუბის მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე ამ საქმესთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო საკითხებზეც გვესაუბრება:

- დავიწყოთ იქიდან, რომ პროფლიგის გამგეობის სხდომაზე დღის წესრიგში სულ 3 საკითხი იყო: თასის გათამაშების იმ წესის შესახებ, რომელიც ერთი რაუნდში ერთი და იმავე მსაჯების დანიშვნას ითვალსწინებს, მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძის საკითხი და პირველ ლიგაში მოასპარეზე იმ კლუბების საკითხი, რომელთაც ჩემპიონატის საწევრო თანხა არ ჰქონდათ შეტანილი. მინდა არასწორად გავრცელებულ ცნობაზე გავამახვილო ყურადღება. გასაკვირია, როცა ამბობენ, პროფლიგამ წერილით მიმართა ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტს თასის გათამაშების ზემონახსენები წესის შეცვლაზე. რეალობა ისაა, რომ პროფლიგის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს წესი შეცვალონ. ეს საკითხი "დინამომ" დააყენა და მას ყველა დაეთანხმა.

- მხოლოდ ეს გადაწყვეტილება მიიღეთ?

- არა, ამას გარდა, მივიღეთ მეორე გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, პროფლიგის გამგეობამ ფედერაციის აღმასკომს წერილით უნდა მიმართოს, არაკომპეტენტურობის გამო ამირან კაჭახიძის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. მართალია ის კარგი პიროვნებაა, კეთილი ადამიანია, მაგრამ საქმეს სათანადოდ ვერ უძღვება. ის ძალიან კარგად ასრულებდა ფედერაციის უსაფრთხოების ოფიცრის ფუნქციას. მას უნდა ქართული ფეხბურთის სამსახურში იყოს. კი ბატონო, ამას არავინ დაუშლის, მაგრამ არა მსაჯთა კომიტეტის თავკაცად, რადგან არაკომპეტენტურია. ჩვენ დავაყენეთ საკითხი კაჭახიძის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რომელიც ფედერაციის აღმასკომმა უნდა განიხილოს.

ამირან კაჭახიძემ თქვა, დამკვირვებლის პატაკი წავიკითხე და ისეთი არაფერი მომხდარა, მსაჯის ქმედებას მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენიაო. იმ მატჩის დამკვირვებელი ავთანდილ შალამბერიძე იყო, რომელიც კაჭახიძის მოადგილეა. ასე რომ, კაჭახიძე ავთანდილ შალამბერიძის პატაკიდან გამომდინარე არ სჯის მსაჯს. სხვათა შორის, კაჭახიძე თავადვე ესწრებოდა იმ თამაშს და მსაჯის შეცდომები ვერ დაინახა, რის გამოც "დინამო" დაიჩაგრა?

ასევე, კაჭახიძე პრესასთან საუბარში ამბობს, თასის 2005-06 წლების გათამაშებაში, ამ წესის გამო პრეტენზია და საჩივარი არ ყოფილაო.

- იყო?

- კი იყო. მინდა, მას კარგად გავახსენო, "ზესტაფონთან" სათასო მატჩების შემდეგ, ფედერაციაში სწორედ ჩვენ შევიტანეთ საჩივარი და მოვითხოვეთ მაისურაძის დასჯა. მაშინ დავსვი ამ წესის შეცვლის საკითხი. ამირან კაჭახიძემ მითხრა – განვიხილავთ და მომდევნო გათამაშებისთვის გავითვალისწინებთო.

ამას წინათ, ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის განცხადება გამოქვეყნდა, რომელშიც ვკითხულობთ – ეს რთული და ფაქიზი თემაა და ყველა კლუბთან ერთად უნდა განვიხილოთ საკითხიო. პროფლიგის გამგეობა იმიტომ არსებობს, რომ ყველა კლუბის ინტერესი გაითვალისწინოს. თასის გათამაშებაში უმაღლესის გარდა პირველი ლიგის გუნდებიც მონაწილეობენ და ვერ გავიგე ამ 32 გუნდს ცალ-ცალკე ჩამოუვლიან და აზრს ჰკითხავენ? კიდევ რა მიკვირს იცით? წესი, რომელიც არ გაუქმებულა ისევ რატომ მიიღეს?



ბუბა ტყავაძე

- ეს როგორ გავიგოთ?

- ისევ ზემოთნახსენებ წესს დავუბრუნდეთ. როგორც ფედერაციაში თქვეს ეს წესი 1995 წლიდან მოქმედებს. ფაქტია ისიც, რომ 2006 წლის 9 იანვრის გადაწყვეტილებით ეს წესი თავიდან მიიღეს. ეს უბრალოდ ნონსენსია. ასევე, მაინტერესებს, ვინ აირჩია მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის, მსაჯთა დამნიშნავი კომისიის წევრები და არიან თუ არა ისინი აღმასკომის მიერ დამტკიცებულნი? რამდენადაც ვიცი, ისინი არჩეულნი კი არა, ბრძანებით არიან დანიშნულები, ეს კი არასწორია.

ვიკითხე კიდეც, თასის გათამაშების ზემოთხსენებული წესი კიდევ თუ არის სხვა რომელიმე ქვეყანაში. ამაზე ვერავინ მიპასუხა. მაინტერესებს, რითია განპირობებული, რა მოსწონთ ამ წესში. ერთხელ მითხრეს – ეს წესი ერთი რამითაა კარგი, მსაჯები მობილიზებულნი იქნებიან შეცდომა არ დაუშვან, რადგან საპასუხო მატჩშიც მას მოუწევს მსაჯობაო. აბსურდული და არანორმალური მტკიცებულებაა.

- ფედერაციის ხელმძღვანელებსაც შეხვედრიხართ...

- მას მერე ჩვენ არაერთი შეხვედრა გვქონდა. მათ შორის შევხვდით ფედერაციის ხელმძღვანელობასაც და პირობა მოგვცეს, რომ ამ საქმეს პირად კონტროლზე ავიყვანთ და მსაჯობა უკეთესი გახდებაო. ეს ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, მაგრამ თუკი კვლავაც უსამართლობას შევეჩეხებით, ამასაც არ დავმალავთ.

- რამდენადაც ვიცით, უცხოელი მსაჯის მოწვევაზეც ყოფილა საუბარი...

- სხვათა შორის, ფედერაციაში საუბრისას ერთმა აღნიშნა უცხოელი მსაჯი ხომ არ მოვიწვიოთ მნიშვნელოვან მატჩებზეო. ამას ღიად დავუჭირე მხარი და მზადყოფნაც გამოვთქვი, მთლიანად გამეღო მსაჯის ჩამოყვანის ხარჯები. თუმცა ამ ინიციატივას "ამერმა "მხარი არ დაუჭირა.

- ცოტა ხნის წინათ ითქვა, თუ ზემოთხსენებული წესი არ შეიცვლებოდა, "დინამო" "ამერთან" საპასუხო მატჩის სათამაშოდ არ გავაო...

- მართალი გითხრათ, ეს საკითხი განიხილებოდა. როცა ისეთი ვითარებაა, რომ გამოსავალი აღარაა, ადამიანი თუ გუნდი რადიკალურ ნაბიჯს დგამს ყურადღების მისაქცევად. ეს სწორედ ამ მიზნით განიხილებოდა და არა იმიტომ, რომ "დინამოს" თასზე თამაში ან გამარჯვება არ უნდა. ვთვლით, რომ კიდევ ერთხელ უნდა ვენდოთ და ვენდობით კიდეც ფედერაციის ხელმძღვანელთა ნათქვამს, რომ "ამერთან" საპასუხო მატჩის მსაჯობას პირად კონტროლზე აიყვანენ.

დავით ცაბაძე



გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიხურა

გიგაური საჩხერეს მალე დაეხმარება

ლატვიაში თამაშის მსურველ **დავით გიგაურს** "ვენტსპილსმა" იმედები გაუცრუა. თბილისის "დინამოს" 20 წლის მცველი ლატვიის ჩემპიონმა კამერუნელი **ჟან-პოლ ნდეკის** ნაცვლად მიიწვია გუნდში. ქართველი მცველი ლატვიელებს თურქულ შეკრებაზე შეუერთდა და რამდენიმე საკონტროლო შეხვედრაც ჩაატარა და თბილისში ჩამოსულს "დინამოსთან" საბოლოოდ სთხოვეს ურთიერთობის გარკვევა.

"დინამოს" ლატვიელებმა კონკრეტული საკომპენსაციო თანხაც შესთავაზეს, დათო გუნდში 25 თებერვალს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - "ვენტსპილსს" ნდეკი. დაუბრუნდა, რომლის "კაიზერსლაუტერში" გადასვლაც გადაწყვეტილი ეგონათ.

დათოს საქართველოში დარჩენა მოუხდა. ამ ეტაპზე ეს, რბილად რომ ვთქვათ, სასურველი არ იყო. გუნდები დაკომპლექტებული იყვნენ, თბილისის "დინამოში" დარჩენის აზრს ველარ ხედავდა, ქუთაისის "ტორპედოსთან" ვერ მოხერხდა შეთანხმება იჯარით გაშვებაზე და საბოლოოდ საჩხერის "ჩიხურაში" აღმოჩნდა.

არაა გამორიცხული, ლატვიის ჩემპიონთან მოლაპარაკება ზაფხულში გახახლდეს. დათოსთან სწორედ "ვენტსპილსმა" და კლუბში განვითარებულ მოვლენებზე გავესაუბრეთ:

"ძალიან გამიკვირდა, "ვენტსპილსი" ძალიან მაღალი დონის გუნდი აღმოჩნდა. ლატვიის ნაკრების ხუთი მოთამაშე ჰყავთ და საქმე საათივით აქვთ აწყობილი. რომ ჩავედი, მივხვდი, რომ მართლა გუნდი იყო, მონესრიგებული და პირობებით უზრუნველყოფილი. თუმცა, ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ძლიერი იყო. ფიზიკურად ძალიან კარგად არიან მომზადებულები. მოუმზადებლად მეც არ ჩავსულვარ და თამაშების შემდეგ მწვრთნელს მოვეწონე. თითქოს უნდა დავრჩენილიყავი კიდეც, მაგრამ არ გამოვიდა. ბოლოს ნდეკი დაბრუნდა და დროის სიმცირის გამო, სხვა გამოსავალი აღარ მქონდა და საჩხერის "ჩიხურაში" გადასვლას დავთანხმდი. პირველ ტურში ჩემი განაცხადში შეყვანა ვერ მოესწრო, მაგრამ ამას მალე მოვევლება."

მანვე "ვენტსპილსში" ჩარიცხულ ქართველ ფეხბურთელ **ლევან ჯღარკავაზეც** გვიამბო:

"ძალიან ნიჭიერი ბავშვია. სხვათა შორის, აღმოჩნდა, რომ ჩემი უბნელია, ნახალოვკელი. სამი წლის წინათ რუსეთში წასულა, თორემ აქაა გაზრდილი, "წორჩ დინამოელში". მერე "მოსკვას" დუბლებში თამაშობდა. მარცხენა ნახევარმცველია და ლატვიელთა მწვრთნელ რომან გრიგორჩუკს ძალიან მოეწონა. 18 წლისაა და ეტყობა, რუსეთში ფიზიკურად კარგად მოამზადეს. მისი თამაში პირადად მე ძალიან მომეწონა."

დავით გიგაური

მერაბ მამულაშვილი

ფეხბურთი და მართლმსაჯულება

დემეშოუ

უკრაინული მედია აღშფოთებას ვერ მალავს "დემეტრაძის საქმის" გამო. დონეცკის "მეტალურგის" თავდამსხმელმა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასა და პროფლიგას ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესების გამო უჩივლა და ატყდა ერთი ამბავი. 2 მარტს, კიევში, პეჩორის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვა მოეწყო.

"ჟორა, ესპანელებს რატომ არ უჩივლე?" - ეს ერთ-ერთი, ალბათ, შედარებით რბილი ფორმაა იმ დაცინვისა, რომელიც ქართველმა თავდამსხმელმა საკუთარ თავზე იწვნია.

ვისაც არ ეზარება, ქართველს ყველა უკრაინის ინტერესების შებღალვაში ადანაშაულებს. სასამართლო განხილვაც დემეტრაძეზე დაცინვისთვის უფრო გამოიყენეს, ვიდრე საქმის გადმოსაცემად.

როგორც იუწყებიან, **გიორგი დემეტრაძემ** სასამართლოს ვერ აუხსნა, თუ რაში გამოიხატება მისი უფლებების დარღვევა. საინტერესო ისაა, რომ სხდომა უკრაინის ფედერაციისა და პროფლიგის მოთხოვნით, დახურული იყო და ინფორმაციაც მათზე დაყრდნობით გაავრცელეს:

"მოპასუხე მხარემ შერიგება და საქმის დახურვა შესთავაზა დემეტრაძეს და ნიშნად შერიგებისა ჩაი შესთავაზეს. გიორგის თავისი პრეტენზიების ახსნა მოსთხოვეს და ეს მან თითოეული მატჩის მაგალითზე დაასაბუთა.

ქართველის საუბრიდან უნდა დავასკვნათ, რომ მისი უფლებები ირღვევა მაშინაც, როცა თამაშობს და როდესაც სათადარიგოებში ზის. რა თქმა უნდა, ამან დამსწრეებში გულიანი სიცილი გამოიწვია, მოსამართლემაც კი გააცინა.

თუმცა დღის ფრაზად გიორგის პასუხი გახდა კითხვაზე - მაინც, როდის მიხვდით, რომ თქვენი უფლებები ირღვეოდაო? "ზუსტად არ მახსოვს, სადღაც ჩემპიონატის დასაწყისში, ძილის წინ მივხვდი."

მომდევნო სასამართლო სხდომა 5 მარტს გაიმართება. 2 მარტის სხდომის შემდეგ გიორგის რომ ჰკითხეს, კიდევ გამოცხადდება თუ არა სასამართლოში, ამგვარი პასუხი მიიღეს: "რა თქმა უნდა. ფედერაციის ლამაზი ადვოკატის ხათრით აუცილებლად მოვალ სხდომაზე." ასეთი სიტყვაუხვი ბევრი ქართველი თამადაც არ არის."

მერაბ მამულაშვილი

სხდომა დარჩა მხიარული

აკინფეევს ქართველები მოსწონს

ლევან კობიაშვილი

რუსულმა გაზეთმა "სპორტ-ექსპრესმა" პოსტსაბჭოეთის საუკეთესო მოთამაშედ რუსეთის ნაკრებისა და მოსკოვის ცსკა-ს მეკარე **იგორ აკინფეევი** დაასახელა.

აკინფეევს პრიზი ახლახან გადასცეს. დაჯილდოება მოსკოვში, არმიელთა სახლში გაიმართა. ახლახან კი აკინფეევის ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ჟურნალისტმა კითხვაზე თავად როგორ წარმოუდგენია პოსტსაბჭოეთის სიმბოლური ნაკრები, ამგვარი პასუხი მიიღო: *"თავდასხმაში აუცილებლად შევჩენკო და არველაძე უნდა იყვნენ, დაცვის მარცხენა ფლანგზე კალაძე, ნახევარდაცვაში იმავე ფლანგზე კი კობიაშვილი."*

როგორც ჩანს, აკინფეევი ქართველებისადმი კეთილგანწყობილია, რადგან რუსეთის დღევანდელ კერპს, **ალექსანდრ კერჟაკოვს** ქართველი **შოთა არველაძე** ამჯობინა, სულ კი სიმბოლურში სამი ქართველი დაასახელა.

მერაბ მამულაშვილი

ვაისმა გოგუა შეაქო

გოგიტა გოგუას დიდხანს ლოდინი არ დასჭირდა. მან პირველივე მატჩში ითამაშა პეტერბურგის "ზენიტთან". ამაზე ვრცლად ლეგიონერების გვერდში იხილეთ.

თამაშამდე რამენსკოეს "სატურნის" მთავარ მწვრთნელ **ელადიმირ ვაისს** ახალწვეულებზე ჰკითხეს აზრი და მან გოგიტა შეაქო: *"გოგუას კოზირი სისწრაფე და სხვადასხვა პოზიციაზე თამაშის უნარია."*

თავად გოგიტამ კი "სპორტ-ექსპრესთან" ინტერვიუში თანაგუნდელები შეაქო: *"გუნდში ძალიან თბილად მიმიღეს. ახლა ფორმის აღდგენას ვცდილობ, რადგან ფიზიკურად ჯერ არ ვარ ბოლომდე მომზადებული. თუმცა ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ მაქვს დრო და მოვახერხებ ამ პრობლემის მოგვარებას."*

მერაბ მამულაშვილი

ამისულაშვილი ნალჩიკში ითამაშებს

გადაწყვეტილი ამბავია, ალეკო **ამისულაშვილი** ზაფხულამდე ნალჩიკის "სპარტაკში" ითამაშებს. ერთი თვეა, ალეკო ყაბარდოელთა გუნდში ვარჯიშობს, მთავარი მწვრთნელის, **ალექსანდრ კრასნოჟანის** კეთილგანწყობა დაიმსახურა, მაგრამ კიევის "დინამოსა" და "სპარტაკის" ხელმძღვანელთა მოლაპარაკებას ელოდა.

კიეველებმა ნალჩიკელებს ქართველი მცველის ერთწლიან იჯარაში იმხელა თანხა მოსთხოვეს, რუსეთის პრემიერლიგის ყველაზე ღარიბი ვერ შესწვდებოდა. შემდეგ მოლაპარაკება ნახევარწლიან არენდაზე დაიწყო და წარმატებით დასრულდა.

გუშინ კი რუსეთში საჩემპიონატო განაცხადების ვადა იწურებოდა და შევიტყვეთ, რომ ალეკო ამისულაშვილი "სპარტაკმა" საბოლოოდ მაინც დაიმატა. ხელშეკრულება იჯარაზე შაბათს გაფორმდა.

მერაბ მამულაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი.
I ლიგა. XIX ტური

სპარტაკი-მეშახტე	1:0
ამერი 2-მეშახტე	1:0
ნ. დინამოელი-მერცხალი	6:0
მგლები-გურია	2:0
ვიპ ჯორჯია 2-გაგრა	2:1
მესხეთი-დინამო 2	1:0
ჩიხურა 2-ოლიმპი	0:5
ზესტაფონი 2-მაღაროელი	3:1
რაჭა-სამტრედია	გადაიდო

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მგლები	19	16	2	1	35-8	50
2. მესხეთი	18	12	4	2	32-10	40
3. მეშახტე	19	9	7	3	26-17	34
4. ვიპ ჯორჯ. 2	19	9	4	6	32-15	31
5. ოლიმპი	19	9	4	6	36-20	31
6. ამერი 2	19	8	6	5	30-24	30
7. გაგრა	19	9	2	8	29-26	29
8. დინამო 2	19	8	4	7	41-20	28
9. ნ/დინამოელი	19	8	2	9	29-29	26
10. მაღაროელი	18	6	7	5	23-20	25
11. მეშახტე	18	7	3	8	26-25	24
12. ზესტაფ. 2	19	6	6	7	18-17	24
13. ჩიხურა 2	19	6	3	10	20-32	21
14. სამტრედია	18	5	5	8	19-31	20
15. სპარტაკი	19	5	3	11	10-26	18
16. გურია	19	4	3	12	20-47	15
17. რაჭა	17	2	6	9	13-31	12
18. მერცხალი	19	2	3	14	14-55	9



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს XVIII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

სულ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	15	12	2	1	40-5	38
2. ამერი	15	10	4	1	30-8	34
3. ზესტაფონი	15	10	4	1	27-5	34
4. დინამო	15	11	0	4	28-12	33
5. ვიტ ჯორჯია	15	9	4	2	30-17	31
6. ტორპედო	15	8	4	3	18-8	28
7. სიონი	15	8	2	5	20-13	26
8. ლოკომოტივი	15	4	3	8	11-21	15
9. მერანი	15	4	3	8	13-28	15
10. ბათუმი	15	3	4	8	12-15	13
11. ბორჯომი	15	3	4	8	15-27	13
12. ჩიხურა	15	2	4	9	10-26	10
13. დილა	15	0	3	12	8-42	3
14. კახეთი	15	0	1	14	10-45	1

შინ

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ამერი	9	7	2	0	19-2	23
2. ოლიმპი	7	7	0	0	23-2	21
3. დინამო	7	6	0	1	16-4	18
4. ზესტაფონი	8	5	3	0	13-1	18
5. ვიტ ჯორჯია	7	5	2	0	15-8	17
6. ტორპედო	8	5	2	1	11-4	17
7. სიონი	8	5	1	2	12-3	16
8. ლოკომოტივი	8	4	1	3	9-11	13
9. ჩიხურა	7	2	3	2	6-9	9
10. ბათუმი	7	2	1	4	7-8	7
11. ბორჯომი	7	1	3	3	9-14	6
12. მერანი	6	1	1	4	4-11	4
13. კახეთი	8	0	1	7	7-21	1
14. დილა	8	0	1	7	2-21	1

სტუმრად

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპი	8	5	2	1	17-3	17
2. ზესტაფონი	7	5	1	1	14-4	16
3. დინამო	8	5	0	3	12-8	15
4. ვიტ ჯორჯია	8	4	2	2	15-9	14
5. ამერი	6	3	2	1	11-6	11
6. ტორპედო	7	3	2	2	7-4	11
7. მერანი	9	3	2	4	9-17	11
8. სიონი	7	3	1	3	8-10	10
9. ბორჯომი	8	2	1	5	6-13	7
10. ბათუმი	8	1	3	4	5-7	6
11. ლოკომოტივი	7	0	2	5	2-10	2
12. დილა	7	0	2	5	6-21	2
13. ჩიხურა	8	0	1	7	4-17	1
14. კახეთი	7	0	0	7	3-24	0

ბომბარდირები

1-3	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	8
	ფიფია (ზესტაფონი)	8
	დვალიშვილი (ოლიმპი)	8
4-7	იონანიძე (ზესტაფონი)	7
	გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	7
	ტატანაშვილი (ამერი)	7
	დოლიძე (ამერი)	7
8	იაშვილი (დინამო)	6
9-13	წინამძღვრიშვილი (ამერი)	5
	ა.ალავიძე (სიონი)	5
	ჩასემი (სიონი)	5
	ბობოხიძე (დინამო)	5
	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	5
14-23	ხუციშვილი (დინამო)	4
	სირბილაძე (ოლიმპი/დინამო)	4
	საჯაია (ზესტაფონი)	4
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	4
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	4
	ვ.კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი)	4
	გამეზარდაშვილი (ტორპედო)	4
	კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.)	4
	ქებაძე (ოლიმპი)	4
	კახელიშვილი (ოლიმპი)	4
24-36	შ.ლონლაძე (ზესტაფონი)	3
	ს.დავითაშვილი (ამერი)	3
	გენაძე (ოლიმპი)	3
	ევოჩე (სიონი)	3
	კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი)	3
	კრასოვსკი (ტორპედო)	3
	მუშკუდიანი (ტორპედო)	3
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	3
	მუჯირი (ბათუმი)	3
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	3
	გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია)	3
	გაგუა (მერანი)	3
	აფციაური (ოლიმპი)	3

ჰეთ-თრიკი

1-4	დვალი (დინამო/ჩიხურა)	1
	გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.)	1
	გენაძე (ოლიმპი)	1
	ჩასემი (სიონი)	1

მიღებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

1-2	ჭანტურია (ზესტაფონი)	5
	მ. ალავიძე (ოლიმპი)	5
3-4	ქვაჩახია (ამერი)	7
	ლორია (დინამო)	7

ავტოგოლები

1-2	ბიბაური (დინამო)	1
	შ. ლონლაძე (ზესტაფონი)	1

წითელი ბარათები

1-21	ფარტენაძე (ბათუმი)	1
	ჯინჭარაძე (ბათუმი)	1
	კარსანიძე (მერანი)	1
	გ. კვახაძე (ლოკომოტივი)	1
	ელბაქიძე (ამერი)	1
	რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)	1
	კახელიშვილი (ოლიმპი)	1
	ძარძუხაშვილი (ბორჯომი)	1
	სანიკიძე (ჩიხურა/სიონი)	1
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ბესარაშვილი (მერანი)	1
	პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	ლაბაძე (ბორჯომი)	1
	აბრამიშვილი (დილა)	1
	მუჯირი (ბათუმი)	1
	მახვილაძე (ოლიმპი)	1
	გ. მერებაშვილი (დინამო)	1
	ნ. ნოზაძე (დილა)	1
	ტეტიაშვილი (კახეთი)	1
	მახარაძე (ჩიხურა)	1
	კედელაშვილი (ამერი/მერანი)	

საგოლე პასები

1-3	დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დინ.)	5
	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო)	5
	აფციაური (ოლიმპი)	5
4-8	ს. დავითაშვილი (ამერი)	4
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	4
	ბოლქვაძე (ამერი)	4
	ჯელაძე (ამერი)	4
	ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.)	4
9-14	დოლიძე (ამერი)	3
	ტატანაშვილი (ამერი)	3
	გურული (ტორპედო)	3
	დვალიშვილი (ოლიმპი)	3
	ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია)	3
	ა.ალავიძე (სიონი)	3
15-35	კობახიძე (დინამო)	2
	გ. მერებაშვილი (დინამო)	2
	იაშვილი (დინამო)	2
	ბობოხიძე (დინამო)	2
	ლ. ნოზაძე (დინამო)	2
	ფიფია (ზესტაფონი)	2
	ვიეირა (ზესტაფონი)	2
	განუგრავა (ზესტაფონი)	2
	რ.ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი)	2
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	2
	გველესიანი (ვიტ ჯორჯია)	2
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	2
	გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია)	2
	გავჯელიძე (სიონი)	2
	კახელიშვილი (ოლიმპი)	2
	გენაძე (ოლიმპი)	2
	გაგუა (მერანი)	2
	გულორდავა (ლოკომოტივი)	2
	ზ.ჩხეტიანი (ტორპედო)	2
	ლ. მანჭკავა (მერანი)	2
	შალამბერიძე (ბათუმი)	2

გოლი+პასი

1	დვალიშვილი (ოლიმპი)	11 (8+3)
2-3	ფიფია (ზესტაფონი)	10 (8+2)
	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინ.)	10 (5+5)
4-6	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	9 (8+1)
	ტატანაშვილი (ამერი)	9 (7+2)
	დოლიძე (ამერი)	9 (7+2)
7-11	იონანიძე (ზესტაფონი)	8 (7+1)
	იაშვილი (დინამო)	8 (6+2)
	ა.ალავიძე (სიონი)	8 (5+3)
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	8 (5+3)
	აფციაური (ოლიმპი)	8 (3+5)
12-14	ბობოხიძე (დინამო)	7 (5+2)
	გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.)	7 (6+1)
	ს. დავითაშვილი (ამერი)	7 (3+4)
15-19	კახელიშვილი (ოლიმპი)	6 (4+2)
	ჩასემი (სიონი)	6 (5+1)
	გ.ჭელიძე (ზესტაფონი)	6 (4+2)
	ბოლქვაძე (ამერი)	6 (2+4)
	დილმელაშვ. (ვიტ ჯ./დინ.)	6 (1+5)
20-27	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	5 (3+2)
	გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია)	5 (3+2)
	გაგუა (მერანი)	5 (3+2)
	სირბილაძე (ოლ./დინამო)	5 (4+1)
	ხუციშვილი (დინამო)	5 (4+1)
	გენაძე (ოლიმპი)	5 (3+2)
	გამეზარდაშვილი (ტორ.)	5 (4+1)
	საჯაია (ზესტაფონი)	5 (4+1)
28-41	ჯელაძე (ამერი)	4 (0+4)
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	4 (4+0)
	ჩომახიძე (ჩიხ./ლოკომ.)	4 (0+4)
	ვ.კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.)	4 (4+0)
	დვალი (დინამო/ჩიხურა)	4 (3+1)
	გურული (ტორპედო)	4 (1+3)
	მუშკუდიანი (ტორპედო)	4 (3+1)
	კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯ.)	4 (3+1)
	ევოჩე (სიონი)	4 (3+1)
	ქებაძე (ოლიმპი)	4 (4+0)
	გ. მერებაშვილი (დინამო)	4 (2+2)
	შ. ლონლაძე (ზესტაფონი)	4 (3+1)
	კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯორ.)	4 (4+0)
	კობახიძე (დინამო)	4 (2+2)
42-55	დ. გოგოლაძე (ბათუმი)	3 (2+1)
	მუჯირი (ბათუმი)	3 (3+0)
	მ. ლონლაძე (ტორპედო)	3 (2+1)
	კრასოვსკი (ტორპედო)	3 (3+0)
	ზ. ჩხეტიანი (ტორპედო)	3 (1+2)
	არუდაშვილი (კახეთი)	3 (2+1)
	ნ. დავითაშვილი (კახეთი)	3 (2+1)
	შ.ჯვიძია (ბორჯომი)	3 (2+1)
	გ. თოდუა (ოლიმპი)	3 (2+1)
	ვ. უგრეხელიძე (სიონი)	3 (2+1)
	ლ. მანჭკავა (მერანი)	3 (1+2)
	ვიეირა (ზესტაფონი)	3 (1+2)
	გუშარაშვილი (ლოკო.)	3 (2+1)
	ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია)	3 (0+3)

ყვითელი ბარათები

1	ბესარაშვილი (მერანი)	6
2-7	დოლიძე (ამერი)	5
	ქებაძე (ოლიმპი)	5
	გ. კვახაძე (ლოკომოტივი)	5
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	5
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	5
	რაზმაძე (ვიტ ჯორჯია)	5

ყველაზე დიდი სხვაობა

1	ოლიმპი-კახეთი	7:0	(II ტური)
2	დილა-ვიტ ჯორჯ.ა	0:6	(XII ტური)
3-5	დინამო-დილა	6:1	(II ტური)
	სიონი-კახეთი	5:0	(X ტური)
	კახეთი-ოლიმპი	0:5	(XV ტური)

უხვგოლიანი მატჩები

1-4	დინამო-დილა	6:1	(II ტური)
	ოლიმპი-კახეთი	7:0	(II ტური)
	ბორჯომი-მერანი	3:4	(IV ტური)
	ვიტ ჯორჯია-ამერი	4:3	(XIII ტური)

ყველაზე ხშირი ანგარიშები

1	0:0	13
2	1:0	11
3	0:1	10
4	2:0	9
5	3:0	8
6-7	2:1	6
	3:1	6
8	0:3	5
9-11	0:2	4
	1:3	4
	1:1	4

არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

1-2	ვადაჭკორია	10
	ფანიაშვილი	10
3-4	კვარაცხელია	9
	სილაგავა	9
5-8	ხარიტონაშვილი	7
	მაისურაძე	7
	კრიჭაშვილი	7
	სანაია	7
9-10	ბუქლიშვილი	6
	კიკაჩეიშვილი	6
11-12	პ. დოგრაშვილი	5
	ღაღუა	5
13-16	ხეცაძე	4
	ნონიკაშვილი	4
	ბუიშვილი	4
	ელისაბედაშვილი	4

შეცვლილთა გოლები

1	ტატანაშვილი (ამერი)	5
2-3	ვ.კვარაცხელია (ოლიმ./ბათ.)	3
	ბობოხიძე (დინამო)	3
4-7	ფიფია (ზესტაფონი)	2
	ქემაშვილი (მერანი)	2
	კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.)	2
	იაშვილი (დინამო)	2
8-29	მერებაშვილი (დინამო)	1
	ტეტიაშვილი (კახეთი)	1
	დოლიძე (ამერი)	1
	ჩიმაკაძე (ამერი)	1
	იონანიძე (ზესტაფონი)	1
	გალოგრე (ბათუმი)	1
	წინამძღვრიშვილი (ამერი)	1
	კრასოვსკი (ტორპედო)	1
	სევასტოპულო (ამერი)	1
	ფარტენაძე (ბათუმი)	1
	ხუციშვილი (დინამო)	1
	ხოჯავა (ოლიმპი)	1
	მჭედლიშვილი (ამერი)	1
	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	მ.ლონლაძე (ტორპედო)	1
	კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი)	1
	ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	1
	მუშკუდიანი (ტორპედო)	1
	ალავერდაშვილი (ლოკომ.)	1
	ფურცელაძე (მერანი)	1
	ნ.ნოზაძე (ზესტაფონი)	1
	ბუჩანიძე (ბათუმი)	1

რეალიზებული პენალტები

1-2	საჯაია (ზესტაფონი)	3
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	3
3-4	კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი)	2
	გ. ონიანი (ოლიმპი)	2
5-13	შ.კაშია (დინამო)	1
	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	1
	გამეზარდაშვილი (ტორპედო)	1
	იონანიძე (ზესტაფონი)	1
	ბაქრაძე (ბორჯომი)	1
	ბობოხიძე (დინამო)	1
	ჩასემი (სიონი)	1
	ბოლქვაძე (ამერი)	1
	იმედაძე (ზესტაფონი/ტორპ.)	1

გაცუდებული პენალტები

1-7	ტიაგო (ბათუმი)	1
	შ. კაშია (დინამო)	1
	ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.)	1
	იაშვილი (დინამო)	1
	გულორდავა (ლოკომოტივი)	1
	ფეიქრიშვილი (ვიტ ჯორ./დინ.)	1
	გაგუა (მერანი)	1

მოგერიებული პენალტები

1-5	ქვაჩახია (ამერი)	1
	ცინაძე (კახეთი)	1
	სეფიაშვილი (მერანი)	1
	ილურიძე (დილა)	1
	თოთლაძე (ბათუმი)	1

სიონი-ვიტ ჯორჯია. მატჩის ერთადერთი გოლი ვიტალი დარასელიამ (მარჯვნივ) გაიტანა

მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

1	ჭანტურია (ზესტაფონი)	829
2	მ. ალავიძე (ოლიმპი)	769
3	ქვაჩახია (ამერი)	520
4	ქვაჩახია (ამერი)	454
5	ბელიაშვილი (ვიტ ჯორჯია)	306
6	ბათიაშვილი (სიონი)	305
7	ჭანტურია (ზესტაფონი)	302
8	ქვილითაია (ტორპედო)	270

მიმდინარე მშრალი სერიები

1	ქვილითაია (ტორპედო)	270
2	ქვაჩახია (ამერი)	180
3	მ. ალავიძე (ოლიმპი)	117
4	კოდალაევი (ტორ./ბორჯ.)	115
5-6	მამალაძე (ჩიხურა/სიონი)	97
	გვარამაძე (ლოკომოტივი)	97
7	სომხიშვილი (ბათუმი)	94

დუბლი

1	დვალიშვილი (ოლიმპი)	3
2-4	გელაშვილი (ვიტ ჯორჯია)	2
	იაშვილი (დინამო)	2
	იონანიძე (ზესტაფონი)	2
5-23	გ. ჭელიძე (ზესტაფონი)	1
	სახოკია (ვიტ ჯორჯია)	1
	სირბილაძე (ოლიმპი/დინამო)	1
	გოჩაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ლომაია (ვიტ ჯორჯია)	1
	გ.მიქაძე (ჩიხურა)	1
	დ.გოგოლაძე (ბათუმი)	1
	არუდაშვილი (კახეთი)	1
	ქებაძე (ოლიმპი)	1
	ფიფია (ზესტაფონი)	1
	მუჯირი (ბათუმი)	1
	ვ.კვარაცხელია (ოლიმ.ი/ბათ.)	1
	მუშკუდიანი (ტორპედო)	1
	გუშარაშვილი (ლოკომოტივი)	1
	ევოჩე (სიონი)	1
	გ.დათუნაიშვილი (ვიტ ჯორ.)	1
	ბობოხიძე (დინამო)	1
	ა.ნოზაძე (მერანი)	1
	იმედაძე (ზესტაფ./ტორპედო)	1

გასულ ტურში	ჩემპიონატში
13 გოლი	272 გოლი
(საშუალოდ მატჩში 1.85)	(საშუალოდ მატჩში 2.59)
23 ყვითელი ბარათი	334 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.28)	(საშუალოდ მატჩში 3.18)
1 წითელი ბარათი	21 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.14)	(საშუალოდ მატჩში 0.20)

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონის უიქენდი

გოლების სამაია: არველაძე, იაშვილი, ცქიტიშვილი

უტრეხტი-ალკმაარი 0:4. შოთა არველაძეს თანაგუნდელები გოლს ულოცავენ

ამ უძველებიდან დაწყებული, ქართული ლეგიონის მიმოხილვა გაგვიმსხვილდა. მიზეზი მარტივია: ჩვენს ცხრილს დაემატა უკრაინის "ვიშა ლიგა", სადაც ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ, ყველაზე მეტი ქართველი თამაშობს. აგრეთვე, შედგა გოგიტა გოგუას დებიუტი რუსულ "სატურნში", ევროპაში კი ჩვენმა თანამემამულეებმა სამი გოლი გაიტანეს, აქედან ორი - თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან...

კალაძემ ვარჯიში დაიწყო

გუშინ, ინგლისურ პრემიერლიგაში, ბოლო დროს სანაქებოდ ათამაშებული **ბენი მაკარტის** დუბლის წყალობით, "ბლექბერნმა" "ბოლტონს" სტუმრად 2:1 მოუგო. ამ გამარჯვების შემდეგ, "ვარდები" 40 ქულით მეცხრე ადგილზე არიან. რაც შეეხება **ზურაბ ხიზანიშვილს**, ის სათადარიგოთა სკამზე იჯდა, დაცვის ცენტრში კი **რაიან ნელსენი** და **კრისტოფერ სამბა** თამაშობდნენ. იტალიაში არ უთამაშია ტრავმირებულ **კახა კალაძეს.** მის გარეშე "მილანმა" შაბათს "კიევო" 3:1 დაამარცხა. გუშინ კი კალაძემ თანაგუნდელებთან ერთად მსუბუქად ივარჯიშა.

იაშკას გოლი და ფრაიბურგის შანსი

პარასკევს, **ლევან კობიაშვილის** "შალკე" "ჰამბურგთან" შინ 0:2 დამარცხდა, თუმცა ლიდერობა შეინარჩუნა. "შპორტალმა" ლევანის გარჯა 3.5 ბალით შეაფასა. მეორე ბუნდესლიგაში კი, "ქართულ" კლუბებიდან გუშინ "ფრაიბურგმა" და "მიუნხენმა" ითამაშეს. **ფოლკერ ფინკეს** შეგირდებმა ერთ-ერთი ლიდერი "დუისბურგი" 2:1 დაამარცხეს. კვლავ გაიბრწყინა **ალექსანდრე იაშვილმა,** რომელმაც მე-18 წუთზე **პიტროიპას** ნაქცევისთვის დანიშნული პენალტით ანგარიში გახსნა. ეს ქართველი ფორვარდის მეხუთე გოლია სეზონში. ამას გარდა, იაშვილს 11 საგოლე პასიც აქვს აქტივში და ამ მხრივ, მეორე ბუნდესლიგის ლიდერია. სრულად ითამაშა **ოთარ ხიზანეიშვილმაც.** "ფრაიბურგს" 38 ქულა აქვს და ერთ დროს გასავარდნად განწირული კლუბი უკვე ბუნდესლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ერთვება. "ფრაი" მესამეადგილოსან "დუისბურგს" 5 ქულით ჩამორჩება. სხვათა შორის, "შპორტალი" ქართველთა მიმართ მაინცდამაინც ხელგაშლილი არ იყო: იაშვილმა 4 ბალი მიიღო, ხოლო ხიზანეიშვილმა 3.5.

სამხრეთ რეგიონალლიგაში, "როიტლინგენის" შემადგენლობაში, ჯერ არ ჰქონია დებიუტი **მიხეილ საჯაიას,** რომელიც ზამთრის პაუზისას იქ "დარმშტადტიდან" გადავიდა.

ერთთვიანი შიმშილის შემდეგ...

ამ კვირაში მეორედ, **შოთა არველაძის** "ალკმაარი" "უტრეხტს" ესტუმრა, ამჯერად, საჩემპიონატო მატჩის ჩასატარებლად. **ლუის ვან გაალის** ბიჭებმა ახლა უფრო დამაჯერებელი ანგარიშით (4:0) იმარჯვეს, თანაც, ერთი გოლი შოთას ანგარიშზეა. მან 22-ე წუთზე შეაგდო და ანგარიში 2:0 გახადა. საქართველოს ნაკრების ფორვარდმა, 27 იანვრის შემდეგ, პირველად გაიტანა. შოთა 67-ე წუთზე შეცვალა **დემბელემ,** რომელმაც შემდეგ მეტად მძიმე ტრავმა მიიღო. არველაძეს 23 მატჩში 12 გოლი და 6 საგოლე პასი აქვს. "ალკმაარის" გულშემატკივართა გასახარად, დამარცხდა "აიაქსი", რაც იმას ნიშნავს, რომ შოთამ და კომპანია უკვე მეორე ადგილზეა.

ცქიტიშვილის პირველი

საბერძნეთში ორივე ქართველი ლეგიონერის გუნდმა მოიგო, **ლევან ცქიტიშვილმა** კი ამ ქვეყნის ჩემპიონატში პირველი გოლიც გაიტანა. "პანიონიოსი" "ეგალეოს" ესტუმრა და 2:0 დაამარცხდა. ლევანმა თამაშს წერტილი მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე, პენალტის ნიშნულიდან დაუსვა. ასეთივე ანგარიშით, და ასევე სტუმრად, იმარჯვა "ქსანთიმ", რომლის მეტოქეც "იონიკოსი" იყო. **ლევან მაღრაძეს** არ უთამაშია. "პანიონიოსს" 32 ქულა აქვს (მე-7 ადგილი), ხოლო "ქსანთის" 30 (მე-10).

ტორპედო-დინამო (ბრ) 0:1. პაატა ჯინჭარაძემ 90 წუთი ითამაშა

ვიშა ლიგა, ქართული ლიგა

ზამთრის შესვენების შემდეგ, უკრაინის "ვიშა ლიგა" განახლდა. მეორე წრეში აქ 13 ქართველი ითამაშებს. ამდენი ჩვენებური არც ერთ სხვა ლიგაში არ არის. ალბათ პაუზის გამო, ქართველებმა ერთობ მძიმედ დაიწყეს. ჩემპიონატის ლიდერმა კიევის "დინამომ" მარათონი მოგებით განაახლა, დაამარცხა რა ზაპოროჟიეს "მეტალურგი" 3:1. სამწუხაროდ, მასპინძელთა რიგებში არ უთამაშია **კახა ალადაშვილს,** რომელმაც ერთი დღით ადრე დუბლებში (5:0 მოიგეს) გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, სტუმართა რიგებში 90 წუთი ითამაშა **დავით კვირკველიამ,** ხოლო **ირაკლი მოდებაძე** კვლავ ტრავმირებულია. უკრაინაში დებიუტი ჰქონდა მოსკოვის "ლოკომოტივის" ყოფილ ფორვარდ **გიორგი ჭელიძეს,** რომელიც ლუგანსკის "ზარიაში" (აუტსაიდერი) გადავიდა. ეს უკანასკნელი "შახტარს" ესტუმრა და 0:3 დამარცხდა. ჭელიძემ 65-ე წუთიდან ითამაშა.

"დნიპრომ" შინ ვერ შეძლო "ილიჩივეცის" დამარცხება - 1:1. **ჯაბა კანკავასთვის** ეს სადებიუტო მატჩი იყო "დნიპროს" რიგებში, სტუმართა შორის კი სათადარიგო გახლდათ მათი ახალწვეული **გიორგი ციმაკურიძე.** დონეცკის "მეტალურგი" სტუმრად "სტალთან" შერცხვა (0:3). **გიორგი დემეტრაძე** განაცხადშიც არ ყოფილა. "ჩერნომორეცმა" შინ "არსენალი" დაამარცხა 2:0. "მეზღვაურთა" შორის დარჩენილმა ერთადერთმა ქართველმა **ილია კანდელაკმა** მატჩს რეზერვისტთა სკამიდან უცქირა. სტუმართა შორის, 65-ე წუთზე გამოჩნდა **ლაშა ჯაკობია.** ლვოვში დაზაფრენ "კარპატი" და "კრივბასი" (1:1). **ვასილ გიგიაძე** მატჩის მიწურულს შეცვალეს, **ლადო ბურდული** კი სათადარიგო იყო.

ყვითელი დებიუტი

გუშინ, რამენსკოეს "სატურნში" დებიუტი ჰქონდა **გოგიტა გოგუას.** რუსეთის თასის პირველ მერვედფინალურ მატჩში გოგუას კლუბი "ზენიტთან" გასვლაზე 0:1 დამარცხდა. ქართველი ძირითადში იყო, 70-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მანამდე, სასტვენის შემდეგ ბურთის დარტყმისთვის, ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველი ყვითელი ბარათიც მიიღო. ყაზანის "რუბინი" სტუმრად "როსტოვთან" დამარცხდა - 1:3. **ნუკრი რევიშვილს** არ უთამაშია, **ლაშა სალუქვაძემ** კი მოედანზე 90 წუთი დაჰყო. მოსკოვის "ტორპედო" შინ 0:1 დამარცხდა ბრიანსკის "დინამოსთან". გამარჯვებულთა შორის სრულად ითამაშა **პაატა ჯინჭარაძემ.**

კვიპროსზე...

...**თემურ ქეცბაიას** "ანორთოსისი" (მე-3) და **კლიმენტი წიტაიშვილის** აეკ (მე-4) მოწინავეთა შორის არიან, **ლევან ქებაძის** "ახნასი" კი მხოლოდ მეათე ადგილზეა. აეკ-მა "აიანაპას" 2:0 მოუგო. წიტაიშვილმა 66-ე წუთამდე ითამაშა. ქეცბაიას გუნდი სტუმრად "ოლიმპიაკოსს" დაუხვდა - 0:0. ქართველი მოთამაშე-მწვრთნელი მოედანზე არ გამორჩენილა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სეზ. სტატ.
ინგლისი				
პრემიერლიგა, XXIX ტური				
ზურაბ ხიზანიშვილი	ბოლტონი-ბლეკბერნი	1:2	არ უთამაშია (სათადარიგო)	16 თ, 0 გ.
იტალია				
სერია A, XXVI ტური				
კახა კალაძე	მილანი-კიევო	3:1	არ უთამაშია, ტრავმა	12 თ, 1 გ.
გერმანია				
ბუნდესლიგა, XXIV ტური				
ლევან კობიაშვილი	შალკე-ჰამბურგი	0:2	90 წუთი	18 თ, 3 გ.
II ბუნდესლიგა, XXIV ტური				
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი-დუისბურგი	2:1	90 წთ. 1 გოლი	22 თ, 5 გ.
ოთარ ხიზანიშვილი	ფრაიბურგი-დუისბურგი	2:1	90 წუთი	11 თ, 1 გ.
დავით სირაძე	აუე-კაიზერსლაუტერნი	1:0	1 წთ (შეცვლაზე)	20 თ, 2 გ.
გიორგი ლომაია	უნტერჰახინგი-კარლ ცაისი	2:0	90 წთ	5 თ, -4 გ.
მიხეილ აშვეთია	უნტერჰახინგი-კარლ ცაისი	2:0	90 წთ	5 თ, 3 გ.
გია ლეონიანიძე	მიუნხენი-ბრაუნშვაიგი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	12 თ, 0 გ.
პოლანდია				
ერედივიზიე, XXVI ტური				
შოთა არველაძე	უტრეხტი-ალკმაარი	0:4	67 წთ (შეცვალეს), 1 გოლი	23 თ, 12 გ.
სუპერლიგა, XXIV ტური				
ლევან ცქიტიშვილი	ეგალეო-პანიონიოსი	0:2	90 წთ, 1 გოლი	14 თ, 1 გ
ლევან მაღრაძე	იონიკოსი-ქსანთი	0:2	არ უთამაშია	17 თ, 0
ესპანეთი				
A დივიზიონი, XXI ტური				
თემურ ქეცბაია	ოლიმპიაკოსი-ანორთოსისი	0:0	არ უთამაშია	22 თ, 5 გ.
კლიმენტი წიტაიშვილი	აეკ-აია ნაპა	2:0	66 წთ. (შეცვალეს)	11 თ, 1 გ.
ლევან ქებაძე	ენოსისი-პეონიოსი	1:0	2 წთ (შეცვალეს)	20 თ, 2 გ.
შვეიცარია				
ვიშა ლიგა, XXVII ტური				
კახა ალადაშვილი	დინამო-მეტალურგი ზ.	3:1	არ უთამაშია (დუბლ. 78 წთ, 1 გ.)	5 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	დინამო-მეტალურგი ზ.	3:1	არ უთამაშია, ტრავმა	3 თ, 0 გ.
ჯაბა კანკავა	დნიპრო-ილიჩივეცი	1:1	90 წუთი	15 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	დნიპრო-ილიჩივეცი	1:1	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი-არსენალი	2:0	არ უთამაშია (სათადარიგო)	16 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	სტალი-მეტალურგი	3:0	არ უთამაშია	13 თ, 2 გ.
ლადო ბურდული	კარპატი-კრივბასი	1:1	არ უთამაშია (სათადარიგო)	15 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	კარპატი-კრივბასი	1:1	85 წთ. (შეცვალეს)	17 თ, 8 გ.
გიორგი ციმაკურიძე	დნიპრო-ილიჩივეცი	1:1	არ უთამაშია (სათადარიგო)	12 თ, 0 გ.
დავით კვირკველია	დინამო-მეტალურგი	3:1	90 წუთი	12 თ, 3 გ.
ირაკლი მოდებაძე	დინამო-მეტალურგი	3:1	არ უთამაშია (ტრავმა)	14 თ, 3 გ.
გიორგი ჭელიძე	შახტარი-ზარია	3:0	35 წთ (შეცვალეს)	1 თ, 0 გ.
ლაშა ჯაკობია	ჩერნომორეცი-არსენალი	2:0	35 წთ (შეცვალეს)	6 თ, 2 გ.
რუსეთი				
თასი, 1/8 ფინალი				
გოგიტა გოგუა	ზენიტი-სატურნი	1:0	70 წთ. (შეცვალეს), გაფრთხ.	
ნუკრი რევიშვილი	როსტოვი-რუბინი	3:1	არ უთამაშია	
ლაშა სალუქვაძე	როსტოვი-რუბინი	3:1	90 წუთი	
პაატა ჯინჭარაძე	ტორპედო-დინამო ბრ.	0:1	90 წუთი	

დღეიდან....

დაიწყე ახალი კვირა ტონუსით

ტონუსი

ბანკში ბანკით ბანკით ყველა მასობისათვის

№ 1 (3. 18 მარტი)

ბანკიდის ორ კვირაში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. XXVII ტური

ჩემპიონატი მესამე ადგილისთვის

მილანი-კიევო. ჯილარდინო ათანაბრებს ანგარიშს

მცირე შეფერხების შემდეგ, "ინტერი" გამარჯვებას მიუბრუნდა, თან "რომასთან" დისტანცია 16 ქულამდე გაზარდა და ახლა მშვენიერი განწყობით მიდის ვალენსიაში, სადაც მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. **მანჩინის** გუნდმა ძალიან მალე დაივიწყა წინა ტურში "უდინეზესთან" ნათამაშები ფრე (1:1), რომელმაც "ნერაძურის" გამარჯვებათა სარეკორდო სერია 17-ზე გააჩერა. ზოგიერთებს ეგონათ, რომ ის ფრე პრობლემების დასაწყისი უნდა ყოფილიყო: სეზონში ჩავარდნა ყველა გუნდს აქვს ხოლმე და რაკი "ინტერს" ჯერ არ ჰქონია, აი, ახლა ეწყებაო. რომელი ჩავარდნა, რომელი სათამაშო პრობლემები! "ინტერმა" კიდევ ერთხელ გაისეირნა, ისე, რომ არანაირი კითხვის ნიშანი არ დაუტოვებია იმასთან დაკავშირებით, სამართლიანი იყო შედეგი თუ არა. "შავ-ლურჯებმა" საკუთარი ღირსებების წყალობით მოიგეს და არა მეტოქის სისუსტის გამო. სხვათა შორის, საკუთარ მოედანზე "ლივორნოს" მხოლოდ ერთხელ და ძალიან სენსაციურად წაეგო ("კიევოსთან" 0:2). ამასობაში "ინტერმა" სერია A-ს კიდევ ერთი ახალი რეკორდი დაამყარა – ზედიზედ 10 გამარჯვება სტუმრად (აქამდე რეკორდი 9 მოგებით "მილანს" ეკუთვნოდა).

შემადგენლობასთან დაკავშირებით მანჩინიმ ერთი თქვა და მეორე გააკეთა: სიურპრიზი აღმოჩნდა მოედანზე **იბრაჰიმოვიჩის, მატერაცისა** და **ძანეტის** გამოჩენა (მწვრთნელი ამბობდა, რომ მათ "ვალენსიისთვის" დაასვენებდა). ამგვარად, **კორდობა, სოლარი** და **გონსალესი** სკამზე დარჩნენ, მოედანზე კი პრაქტიკულად საუკეთესო "ინტერი" გავიდა, თუ არ ჩავთვლით დაშავებული **ვიეირას, კამბიასოს, ადრიანოსა** და დისკვალიფიცირებული **კრესპოს** არყოფნას. გამოჯანმრთელებული **დაკურის** დაბრუნებასთან ერთად ნახევარდაცვის რომბიც აღდგა: ფრანგი რომბის ქვედა წვერში, გვერდებზე **მაქსველი** და **ძანეტი**, ზემოთ, გამთამაშებლად კი **სტანკოვიჩი**, რომლის არყოფნა "უდინეზესთან" აშკარად იგრძნობოდა.

შეხვედრის ყველაზე მხიარული ნოტა იბრაჰიმოვიჩის ბრწყინვალე გამოსვლა იყო. მეორე დღეს "გაძეტა დელო სპორტის" პირველ გვერდზე დიდი ასოებით ეწერა - INTERIMOVICH. სანახაობრივი და სასარგებლო თამაშით, შვედი ამ გამარჯვების ნამდვილ შემოქმედად იქცა. ამაო აღმოჩნდა "ლივორნოს" კარგი დასაწყისი. 27-ე წუთზე **ლუკარელის** უზადო საჯარიმოს შემდეგ ბურთი **ჟულიო სეზარის** კარის "ცხრიანში" გაეხვა. თუმცა ეს ერთადერთი ნამდვილი დარტყმა იყო, რომელიც მასპინძლებმა პირველ ტაიმში შეასრულეს. "ინტერის" პასუხი მყისიერი იყო. ჯერ სტანკოვიჩმა შორიდან ძალს გაარტყა, რასაც ბრწყინვალე კომბინაცია და **კრუსის** გოლი მოჰყვა, თუმცა უფრო აღსანიშნავი აქ იბრაჰიმოვიჩის ორიგინალური პასი იყო, როცა **გროსოს** ჩაწოდებულ ბურთს ნახტომში ქუსლით დაჰკრა და კრუსი მეკარის პირისპირ დატოვა. თამაშს მეორე ტაიმშიც "ინტერი" აკონტროლებდა, თან ისე, რომ შეტევებით თავს დიდად არ იკლავდა. 66-ე წუთზე იბრაჰიმოვიჩმა ჯარიმა შეასრულა, ბურთი ცოცხალ კედელში ერთ-ერთ ლივორნოელს შეეხო და კარში აღმოჩნდა, 1:2. მასპინძლებს ერთი ნახევრად მომენტი ჰქონდათ გასათანაბრებლად, მაგრამ არაფერი. შეხვედრის ბოლო ათი წუთი ნერვული გამოდგა. ბურთის გადაგდებისთვის მსაჯმა **მაიკონი** გააფრთხილა, ამის პასუხად ბრაზილიელმა არბიტრს ტაში დაუკრა და მაშინვე წითელი ბარათიც მიიღო, რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ტურში მილანური დერბის ყურება ტრიბუნიდან მოუწევს.

"მილანმა" ცუდად დაიწყო და ძალიან კარგად დაამთავრა. თავიდან "როსონერი" საკუთარ თავს არ ჰგავდა, იმდენად დაბნეულად და ზანტად თამაშობდა. ამის ლოგიკური შედეგი იყო ის, რომ "კიევო" უკვე მე-17 წუთზე დაწინაურდა. **დიდა** გამოსვლაზე უხეშად შეცდა, რითაც **პელისიემ** ისარგებლა და ცარიელ კარში შეაგორა. თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელიაო, და "მილანმაც" გაშვებულ გოლზე ნელ-ნელა გამოცოცხლება დაიწყო. **ჯილარდინოს** თავური და **რონალდოს** რამდენიმე საფირმო ნომერი ამის ნიშანი იყო, თუმცა ეს მაინც არ კმაროდა ვერონელთა ორგანიზებული დაცვის გასარღვევად. სტუმრები თავს რვა კაცით იცავდნენ და სივრცეები გადაკეტილი ჰქონდათ, მაგრამ მეკარე **სკუციმ** თანაგუნდელებს მთელი ძალისხმევა წყალში ჩაუყარა, როცა **კაკას** შორეული დარტყმის შემდეგ, ბურთი ხელიდან გაუვარდა და ჯილარდინოს ახლოდან გათანაბრების საშუალება მისცა. აი აქ კი "მილანი" საბოლოოდ გაიხსნა და ათამაშდა, თუმცა ამაში "კიევომაც" შეუწყო ხელი. ვერონელებმა ბოლოდროინდელ ტრადიციას არ უღალატეს და მშვენივრად დაწყების შემდეგ ტაიმის ბოლოს ძალიან უკლეს. შესვენების შემდეგ რონალდო ჟონგლიორობის ხასიათზე მოვიდა და "სან სიროც" ყოველ ნომერს მხურვალე აპოლოდისმენტებით უფასებდა. "ფენომენი" საჯარიმოს ხაზთან, ჯილარდინოს ზურგსუკან მოძრაობდა და ძირითადად კაკასგან მარაგდებოდა. ყოველ ჯერზე, როცა ბრაზილიელი კარისკენ მოტრიალებასა და მეტოქეზე წასვლას ახერხებდა, რაღაც სანახაობრივი ხდებოდა. 55-ე წუთზე რონალდომ რბილად დაუგორა უკნიდან გამოქანებულ **ოდოს**, რომელმაც ყუმბარისებური დარტყმით ბურთი შორეულ კუთხეში შეჭედა, 2:1. 68-ე წუთზე "ფენომენმა" **ლანა** მინაზე მიანვინა, მაგრამ კარიდან გამოსული სკუციასთვის ბურთის თავზე გადაგდება არ გამოუვიდა. დიდამ, კიდევ ერთი ბრიყვული გამოსვლით, თითქოს ყველას შეახსენა, რომ თამაში ჯერ დამთავრებული არ იყო. მეკარის სიგნალი ყველაზე კარგად შეცვლაზე შესულმა **ზეედორფმა** გაიგო და უსიამოვნო სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად, ბოლო წუთზე ბრწყინვალე, მოჭრილი საჯარიმოთი საბოლოო ნერტილი დასვა, 3:1.

სტუმრად გამარჯვება "რომასთვის" წელს ნამდვილ ტაბუდ იქცა. უკვე ორ თვეზე მეტია, რაც **სპალეტის** გუნდი "ოლიმპიკოს" გარეთ ვერ იგებს და ზედიზედ მე-13 გასვლითი შეხვედრაა, რაც კარის მშრალად შენახვას ვეღარ ახერხებს. ის, რომ "რომამ" ქულები კიდევ დაკარგა და "ინტერი" უფრო წინ გაუშვა, პრობლემა არაა, რადგან რომაელები სკუდეტოს დაკარგვას უკვე შეეგუნენ (რაც კიდევ უფრო უკარგავს აზრს იტალიის ჩემპიონატს). ნამდვილი პრობლემა სპალეტისთვის თამაშია, რომლითაც სამშაბათს ლიონში ვერაფერს გახდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ "ჯალოროსომ" ჩემპიონთა ლიგისთვის ხუთი ნამყვანი მოთამაშე შემოინახა (**დე როსი, მანსინი** და **მექსე** სკამზე, **ტადეი** და **დონი** გაიცხადეს მიღმა, **პეროტას** კი ტრავმა აწუხებდა). "რომა" კი ის ანსამბლია, სადაც ყოველი გადაადგილება თამაშზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს. "ასკოლი" აუტსაიდერია, მაგრამ იანვარში შემადგენლობა გააძლიერა და უშეღავათოდ იბრძვის გადარჩენისთვის. იბრძვის და სჯერა, რომ ამის მიღწევა შეუძლია. ასკოლელები 90 წუთის განმავლობაში გაფთრებით იცავდნენ თავს და ზედიზედ მეოთხე ფრეს მიაღწიეს. ანგარიში მასპინძლებმა 31-ე წუთზე გახსნეს: **სონჩინი** სამ რომაელ მცველს შორის გაძვრა და გაიტანა. "რომას" ცდა არ დაუკლია: 9-ჯერ კარის მიმართულებით დაარტყა, 10-ჯერ არაზუსტად, 15 კუთხურიც მოიპოვა, მაგრამ გასათანაბრებლად მაინც 85-ე წუთამდე მოუწია მოცდა: მეკარე **ელეფთეროპულოსმა** ბურთი ვერ შეიმაგრა, დამატებაზე კი პირველი **ვილჰელმსონი** გაწვდა და "რომას" მაისურით პირველი გოლი გაიტანა, 1:1.

სიცილიურ დერბიში "მესინამ" ვეტერან **რიგანოს** ორი თავური გოლით "პალერმოს" მოუგო და ამ უკანასკნელის გასაჭირი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. ის, რომ სტუმრებმა ორჯერ ძელს გაარტყეს, გასამართლებელ საბუთად ძნელად თუ გამოდგება. **გუიდოლინის** გუნდი კრიზისიდან ვერ გამოდის და მესამე ადგილს ნელ-ნელა კარგავს. ის კი არა, დაკარგული ქულებით, მესამეზე უკვე "ლაციოა", რომელმაც **როკის** გოლით (ზედიზედ მესამე თამაშში) ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო და ევროპისკენ კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაინია. პირველ ტაიმში "სამპდორია" ძალიან მორიდებულად გამოიყურებოდა, "ლაციო" თამაშს თავის ნებაზე აკონტროლებდა და დამსახურებულადაც დაწინაურდა: 22-ე წუთზე **მუდინგაიმ** მარცხნიდან ჩააწოდა, როკიმ მცველებს დაასწრო და თავით აუღებელი დაარტყა, 1:0. შესვენების შემდეგ გენუელებმა თამაში შემოატრიალეს: **კვალიარელამ** ორჯერ ძელს გაარტყა, **ბონაცოლიმ** კი ათასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა. "სამპდორიამ" წააგო და მე-7 ადგილი "ფიორენტინას" გადაუთმო, რომელმაც ამასობაში "ტორინო" შუაზე გაძიძგნა. ორშაბათს დაბრუნებულმა **დე ბიაზიმ** "ტოროს" სათავეში პირველი მწარე მარცხი იგემა. არადა თავიდან ყველაფერი სხვანაირად იყო: მე-14 წუთზე **როზინა** მეკარის პირისპირ აღმოჩნდა, პირველი დარტყმით **ფრეის** გაარტყა, მეორე მცდელობა კი შედეგიანი გამოუვიდა, 0:1. მაგრამ "ფიორენტინა" მოსაგებად იყო განწყობილი და ამ განწყობამ თავისი ქნა. 32-ე წუთზე **რეჟინალდომ** მარჯვენიდან ყველას ჩაურბინა, საჯარიმოში ჩააწოდა და ტონიმ ახლო მანძილიდან გაათანაბრა. ორ წუთში მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, ბურთმა **აბიატის** ცხვირწინ ჩაუქროლა და შორეულ ძელთან მდგომ ტონის მიუვიდა, რომელსაც გატანა აღარ გასჭირვებია, 2:1. ტონისთვის ეს მე-15 გოლი იყო ჩემპიონატში. 52-ე წუთზე **ფრანჩესკინიმ პასკუალის** ჩაწოდება ვარდნაში ჩაჭრა, მაგრამ ზედმეტად გაასარჯა და ავტოგოლი გამოუვიდა, 3:1. აქ "ტორინო" საერთოდ მოიშალა და დარჩენილ დროში **გამბერინისგან** თავური დუბლიც მიიღო. მასპინძლებს მე-6 გოლიც უნდა გაეტანათ, მაგრამ აბიატიმ **მუტუს** 11-მეტრიანი აუღო.

პატარა "ემპოლი" "მილანის" ჯინაზე არ ნებდება და ჯიუტად ინარჩუნებს მე-5 ადგილს. **ჯიჯი კანის** გუნდმა ბოლო ხუთ ტურში აგერ უკვე მეოთხედ მოიგო. "რომასა" და "პალერმოს" შემდეგ, ტოსკანელების მსხვერპლი ამჯერად "ინტერის" შემჩერებელი "უდინეზე" აღმოჩნდა. სცენარი უცვლელი რჩება: ისე როგორც "რომასა" და "პალერმოსთან", "ემპოლიმ" ახლაც პირველ ტაიმში გაიტანა და დანარჩენი დრო კარის დაცვას მოანდომა. "კალიარის" მწვრთნელად დაბრუნებულმა **ჯამპაოლომ** პირველი გამარჯვება იზეიმა "ატალანტასთან", რომელმაც 0:1-ზე პენალტი ვერ გამოიყენა (**დონიმ** აცილა). ზედიზედ სამი წაგების შემდეგ, "კატანიამ" რიმინის ნეიტრალურ მოედანზე "სიენასთან" პირველი ქულა აიღო. **რანიერის** "პარმა" უშუალო კონკურენტ "რეჯინასთან" აგებდა და მე-7 დამატებულ წუთზე **როსის** მიერ გატანილი 11-მეტრიანით შეძლო ქულის გადარჩენა. საინტერესოა, რომ იმავე როსის რეჯოკალაბრიელთა მეკარემ პირველ ნახევარში პენალტი მოუგერია.

მომდევნო ტური

10 მარტი. სიენა-ასკოლი, ტორინო-კატანია. 11 მარტი. სამპდორია-კალიარი, პალერმო-ფიორენტინა, რეჯინა-ლაციო, ემპოლი-ლივორნო, კიევო-მესინა, ატალანტა-პარმა, რომა-უდინეზე, ინტერი-მილანი.

ლივორნო-ინტერი 1:2

ლივორნო: ამელია-6, პეკანი-6 (80. პფერტცელი-შ.გ), რეზაეი-6, გალანტე-5.5, ბალერი-6 (72. პაულინიო-5), მორონე-5.5 (80. ვიდიგალი-შ.გ), პასონი-6.5, ა. ფილიპინი-6.5, პასკუალე-6.5, ფიორე-5.5, კ. ლუკარელი-7.

ინტერი: ჟულიო სეზარი-6, ბურდისო-6, მატერაცი-6, სამუელი-6, გროსო-6.5 (66. ფიგუ-5.5), ხ. ძანეტი-6, დაკური-5.5 (56. მაიკონი-4.5), მაქსველი-6.5, სტანკოვიჩი-6.5 (80. კორდობა-შ.გ), იბრაჰიმოვიჩი-8, კრუსი-6.5.

გოლები: 1:0 კ. ლუკარელი (27), 1:1 კრუსი (35), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (66)

გაძევება: მაიკონი (82. ინტერი), მატერაცი (82. ინტერი)

გაფრთხილება: 1-2; კუთხური: 6-5; ჯარიმა: 16-23; თამაშგარე: 0-5; კარში დარტყმა: 14-15 (8-9); ბურთის ფლობა: 50%-50%.

მაყურებელი: 5 800

ასკოლი-რომა 1:1

ასკოლი: ელეფთეროპულოსი-6, მელარა-6, კორალო-6, ნასტასე-6.5, ვასტოლა-6, ფოლიო-6.5 (80. პერული-შ.გ), ბუდიანსკი-5.5, პეშე-6.5, სონჩინი-7 (90. გუბერტი-შ.გ), ფინი-6, პაოლუჩი-5.5 (76. ლომბარდი-შ.გ).

რომა: კურჩი-6, კასეტი-6 (80. ტონეტო-შ.გ), მ. ფერარი-6, კიეუ-6, პანუჩი-6.5, პისარო-6, ფატი-5 (60. დე როსი-6), ვილჰელმსონი-6, ვუჩინიჩი-5 (60. მანსინი-6.5), ტადეო-5.5, ტოტი-5.5.

გოლები: 1:0 სონჩინი (1), 1:1 ვილჰელმსონი (85)

გაფრთხილება: 4-1; კუთხური: 2-15; ჯარიმა: 25-17; თამაშგარე: 6-3; კარში დარტყმა: 7-33 (4-19); ბურთის ფლობა: 32%-68%.

მაყურებელი: 8 000

მილანი-კიევო 3:1

მილანი: დიდა-4.5, ოდო-7, შიმიჩი-6, ბონერა-6, იანკულოვსკი-6, გატუზო-6 (80. ზეედორფი-6.5), პირლო-5.5, ბროკი-5.5, კაკა-6, ჯილარდინო-6 (77. ამბროზინი-შ.გ), რონალდო-6 (88. ფავალი-შ.გ).

კიევო: სკუციო-5.5, მალაგო-6, მანდელი-6, დ'ანა-6, ლანა-6, სამარკო-6 (80. რუდო-შ.გ), იტალიანო-6.5, ტროიანო-5.5 (46. ბორგი-5.5), სემიოლი-5.5, პელისიე-6.5, კოცოლინო-5 (62. კოსოვსკი-6).

გოლები: 0:1 პელისიე (17), 1:1 ჯილარდინო (33), 2:1 ოდო (56), 3:1 ზეედორფი (90)

გაფრთხილება: 2-0; კუთხური: 7-4; ჯარიმა: 19-16; თამაშგარე: 5-8; კარში დარტყმა: 17-9 (14-3); ბურთის ფლობა: 57%-43%.

მაყურებელი: 41 072

მესინა-პალერმო 2:0

მესინა: კალიონი-5.5, რეა-6, პარიზი-6 (78. ჯალომბარდო-შ.გ), ძანკი-6.5, კანდელა-6.5 (61. პესტრინი-6), მაზიელო-6, დ'ავერსა-6.5, ლავეკია-5.5, ალვარესი-7, ბაკაიოკო-6 (53. ილიევი-6.5), რიგანო-7.5.

პალერმო: ა. ფონტანა-5.5, ბიავა-5 (57. კასანი-6), მ. პიზანო-6, ბარძალი-5, ძაკარდო-6, ბრემანი-5 (59. კარაჩოლო-4), დიანა-5.5, ბრიენცა-5.5 (70. მატუსიაკი-6), სიმპლისიუ-5, გუანა-5.5, დი მიკელე-6.5.

გოლები: 1:0 რიგანო (45), 2:0 რიგანო (65)

გაძევება: კარაჩოლო (61. პალერმო)

გაფრთხილება: 0-2; კუთხური: 5-6; ჯარიმა: 24-10; თამაშგარე: 3-0; კარში დარტყმა: 11-16 (4-7); ბურთის ფლობა: 38%-62%.

მაყურებელი: 22 000

ლაციო-სამპდორია 1:0

ლაციო: ბალოტა-5.5, სივილია-6 (46. სტენდარდო-6), კრიბარი-6, ძაური-6, მუდინგაი-6.5, ბეპრამი-6 (68. ბელეირი-შ.გ), ლედესმა-6, მაური-6, მუტარელი-6, როკი-7, პანდევი-6 (74. ხიმენესი-შ.გ).

სამპდორია: კასტელაცი-6, აკარდი-5.5, ფალკონე-5.5, კ. ძენონი-6 (72. ბაძანი-6), მაჟო-5.5, დ. ფრანჩესკინი-5 (80. ციგლერი-შ.გ), პიერი-5.5, ვოლპი-5 (46. ჯ. დელვეკიო-6.5), პალომბო-6, კვალიარელა-6.5, ბონაცოლი-6.

გოლები: 1:0 როკი (23)

გაფრთხილება: 2-0; კუთხური: 5-9; ჯარიმა: 13-21; თამაშგარე: 4-3; კარში დარტყმა: 13-15 (7-5); ბურთის ფლობა: 61%-39%.

მაყურებელი: 20 000

ფიორენტინა-ტორინო 5:1

ფიორენტინა: ფრეი-6.5, დონელი-6, პასკუალი-6.5, გამბერინი-7, უიფალუში-6.5, მონტოლივო-6.5, ბლაზი-6.5 (65. კუძმანოვიჩი-6), პაციენცა-6.5, ტონი-7.5 (75. პაცინი-შ.გ), მუტუ-6.5, რეჟინალდო-6.5 (55. იორგენსენი-6).

ტორინო: აბიატი-4.5, ი. ფრანჩესკინი-5, ბალესტრი-5, ო. ბრევი-5, კომოტო-5, ბოვო-5 (63. ოგურო-5), ლაზეტიჩი-5, დე აშენტისი-5, როზინა-5.5 (72. კონანი-შ.გ), გალო-5 (63. ბარონე-5), აბრუსკატო-5.

გოლები: 0:1 როზინა (15), 1:1 ტონი (31), 2:1 ტონი (34), 3:1 ი. ფრანჩესკინი (52-საკ. კარში), 4:1 გამბერინი (74), 5:1 გამბერინი (83)

87-ე წუთზე მუტუმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: 2-4; კუთხური: 11-5; ჯარიმა: 22-23; თამაშგარე: 6-0; კარში დარტყმა: 22-12 (14-7); ბურთის ფლობა: 53%-47%.

მაყურებელი: 23 900

უდინეზე-ემპოლი 0:1

უდინეზე: დე სანქტისი-6.5, კოდა-5 (35. სიკეირა-5.5), სანტა-6, დოსენა-6, ნატალი-6.5, ზაპოტოჩნი-6 (67. გ. დ'აგოსტინო-5.5), მუნტარი-6, პინციი-6 (74. ტობონი-6), ობოდო-5.5, დი ნატალე-6, გიანი-5.5.

ემპოლი: ბალი-7, ვანელი-6.5, ტოსტო-6, ლუკინი-6.5, რაჯი-6.5, ალმირონი-6.5, მარიანინი-6, ვანუკი-6.5, ბუშე-7, დ. მორო-6.5, პოცი-7.

გოლი: 0:1 პოცი (18)

გაფრთხილება: 3-1; კუთხური: 12-1; ჯარიმა: 27-16; თამაშგარე: 3-6; კარში დარტყმა: 19-4 (8-2); ბურთის ფლობა: 55%-45%.

მაყურებელი: 10 000

პარმა-რეჯინა 2:2

პარმა: ბუჩი-6, პაჩი-5.5, კასტელინი-5, ფერნანდო კოუტუ-5.5, კონტინი-შ.გ (20. ფერონეტი-5.5), პარავიჩინი-5.5, ჩიგარინი-6, პიზანუ-5.5, დუსენა-შ.გ (20. გასბარონი-6.5/69. მუსლიმოვიჩი-შ.გ), როსი-6.5, ბუდანი-6.

რეჯინა: კამპანილო-7 (52. პუჯონი-6.5), არონიკა-5.5, მოდესტო-6, ჯოზა-6.5, ა. ლუკარელი-6, ჯაკ. ტედესკო-6, ტონიცი-6, მესტო-6.5, ამირონი-6, ბიანკი-7.5 (61. ამორუზო-6), ფოჯა-6.5 (88. ესტევესი-შ.გ).

გოლები: 0:1 ბიანკი (13), 1:1 ა. ლუკარელი (23-საკ. კარში), 1:2 ბიანკი (40), 2:2 როსი (90-პენ)

35-ე წუთზე როსიმ ვერ გაიტანა პენალტი (შეკარე)

გაფრთხილება: 3-3; კუთხური: 6-5; ჯარიმა: 18-17; თამაშგარე: 1-5; კარში დარტყმა: 25-13 (15-8); ბურთის ფლობა: 55%-45%.

მაყურებელი: 13 000

კალიარი-ატალანტა 2:0

კალიარი: ფორტინი-6, ლოპესი-6, ფერი-6 (78. ფ. პიზანო-შ.გ), ბიანკო-6, დელ გროსო-6.5, ა. დ'აგოსტინი-6.5 (85. აგოსტინი-შ.გ), კონტი-6.5, კაპონე-6 (65. პეპე-6.5), ბიონდინი-6.5, ლ. კოლუში-6.5, სუასო-7.

ატალანტა: კალდერონი-6, რიეალტა-5, ლორია-5, ადრიანო პერეირა-4.5, არიატი-5, დეფენდი-6, მილიაჩი-6, კ. დონი-5 (70. კაროციერი-6), პინტუ-5 (63. ბერნარდინი-6), დონატი-5.5 (74. ტისონე-შ.გ), ვენტოლა-5.

გოლები: 1:0 სუასო (4), 2:0 პეპე (71)

33-ე წუთზე კ. დონიმ ვერ გაიტანა პენალტი (ძელი)

გაძევება: ადრიანო პერეირა (66. ატალანტა)

გაფრთხილება: 2-3; კუთხური: 3-5; ჯარიმა: 20-22; თამაშგარე: 0-2; კარში დარტყმა: 10-10 (6-4); ბურთის ფლობა: 52%-48%.

მაყურებელი: 8 000

კატანია-სიენა 1:1

7. სიუდადი	27	12	4	11	29-27	40
8. ეხიდო	27	10	9	8	33-28	39
9. ალავესი	27	10	8	9	31-32	38
10. სალამანკა	27	10	7	10	34-30	37
11. სპორტინგი	27	11	3	13	31-28	36
12. ერკულესი	27	10	6	11	30-30	36
13. ალბასეტე	27	10	6	11	32-33	36
14. ელჩე	27	8	10	9	29-31	34
15. რეალი B	27	9	7	11	30-37	34
16. ლას პალმასი	27	7	11	9	30-33	32
17. მალაგა	27	8	8	11	28-33	32
18. ტენერიფე	27	9	5	13	24-33	32
19. კასტელონი	27	8	7	12	24-29	31
20. პონფერადინა	27	7	8	12	23-33	29
21. ლორკა	27	6	7	14	23-36	25
22. ვესინდარიო	27	5	4	18	24-52	19

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

საფრანგეთი

XXVII ტური

სტ.ეტიენი-ლიონი 1:3

სტ.ეტიენი: ჟანო, მ. დაბო, ზ. კამარა, ონონი, ილუნგა, საბლე, პერკისი (46. გარენი), პ. ფეინდუნო, ლანდრენი (46. ჰაინცი), ბ. გომისი, ილანი.

ლიონი: კუპე, რევეიერი, სკილაჩი, კრისი, აბიდალი, კალსტრიომი, ტულალანი, ტიაგო (54. ა. დიარა), გოვუ (70. ვილტორი), ფ. მალუდა, ფრედი (70. ბაროში).

გოლები: 0:1 კალსტრიომი (29), 0:2 ტიაგო (38), 0:3 ფრედი (47), 1:3 ბ. გომისი (80)

გაფრთხილება: 0-4

მაყურებელი: 35 201

სედანი-პსჟ 2:0

სედანი: ტრევისანი, დუკურტიუ, ალ. იაია, სარტრი, ბელაჯი, უადა (54. აბდუ), ამალფიტანო, ბუტაბუ, მორის-ბელეი (76. ა. სისე), პუჟოლი (69. ჟო), ჟობი.

პსჟ: ლანდრო, მენდი, როზენალი, ს. ტრაორე, არმანი, ე. სისე, როტენი, დიანე (80. ნ'გოგი), კ. როდრიგესი (27. კალუ), ლუინდულა (65. პაულეტა), ფრო.

გოლები: 1:0 ლანდრო (8-საკ. კარში), 2:0 ბუტაბუ (73)

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 15 851

ოსერი-რენი 1:0

ოსერი: სორენი, მინო, გრიშტინგი, კაბული, სანია, პედრეტი, ბე. შეირუ, ფ. ტომასი, კალენბერგი (46. იელენი), აკალე (78. ლეჟონი), ნიკულაე (67. ის. ბა).

რენი: რენი, ედმანი (88. ესტებანი), მენსა, ბორნი, ჟ. ფატი, მბია, ბრ. შეირუ, სორლენი, ტომერტი (62. უტაკა), დანზე (72. სოვე), ბრიანი.

გოლი: 1:0 იელენი (65)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 7 863

ლილი-ტრუა 4:0

ლილი: სილვა, ლიხტშტაინერი (75. იულა), ტავლარიდისი, ფრანკარი, ტაფორო, დუმონი, მაკუნი, კეიტა (65. დებუში), ობრანიაკი (65. შალმე), ბასტოსი, ოდემვინგი.

ტრუა: ლე კრომი, ბერკაკი, პესლეი, ფეიე, იამისი (46. დანიკი), ბარბოსა, მატუიდი, სანსი, ნივე, ბანგურა (46. ლაშორი), გილიოტი (67. ჟაზირი).

გოლები: 1:0 კეიტა (15), 2:0 დუმონი (18), 3:0 კეიტა (33), 4:0 დუმონი (45)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 12 000

ლორიანი-ნიცა 0:0

ლორიანი: რე. რიუ, ჟალე, სიანი, მარშალი, მულეკი, ევოლო, აბრიელი, ლე პენი (61. ტაებერი), ნამუში, საიფი (82. მარლე), გინიაკი (69. ბურანი).

ნიცა: ლორისი, ფანი, აბარდონადო, კანტე, ვარო, დიაკიტე, ეშუაფნი, ვეინო (63. ედერსონი), როოლი, ლასლანდი, ბ. კონე (39. ვაირუა\90+3. ბელიონი).

გაფრთხილება: 1-0

მაყურებელი: 12 461

მონაკო-ბორდო 0:0

მონაკო: რომა, მოდესტო, ბოლივარი, ჟივე, დოს სანტოსი, მონსორო, დ. პერესი, ლეკო, ი. ტურე (75. მერიემი), პიკიონი, კოლერი (74. პლასილი).

ბორდო: რამე, ჟემალი, ენრიკე, პლანუსი, ვენდელი ;46. მარანჟი), მავუბა (90+3. ობერტანი), ფერნანდო, ალონსო, მიკუ, იუსი, შამახი (85. პერეა).

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 11 456

ნანსი-ლე მანი 1:1

ნანსი: გრეგორინი, სოგე, მაკალუსო, დიახატე, შრეტიენი, ბ. გავანონი (89. ბერენგერი), ნ'გემო, ბრისონი (46. პაჯი), ი. დია, კურბელო, ფორტუნე (68. ანდრე ლუისი).

ლე მანი: ი. პელე, იბ. კამარა, სედრანი, ბასა, კალვე, რომარიკი, კუტადორი (71. გრაფიტე), სამასა (57. დუიარი), სესენონი, ის. ბანგურა, დე მელო.

გოლები: 1:0 მაკალუსო (36), 1:1 გრაფიტე (73)

გაფრთხილება: 2-3

მაყურებელი: 18 124

ვალანსი-ტულუზა 0:0

ვალანსი: პენეტო, მატერი, ფაშე, უადუ, რიპერი, დუმენგი (72. ჰადადი), პააუვე, მო. ტრაორე (80. დოსევი), ბეზაზი (82. ჰასლი), სავიდანი, დუფრესნი.

ტულუზა: დუშე, ებონდო, არიბაჟე, კონგრე, მატიო, დიოზი, სირიეი, პაულო სეზარი (80. ბატლი), ემანა, მანსარე (91. ბერგუნუ), ელმანდერი.

გაძევება: ელმანდერი (84. ტულუზა)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 13 721

სოშო-ნანტი 1:2

სოშო: რიშერი, ბრეშე, პიშო, ტოშიჩი, აფოლაბი, ისაბეი (77. ნ'დავე), პიტო, ზიანი, ბირსა (62. გრაქსი), ალვარო (88. ლე ტალეკი), დაგანო.

ნანტი: ბარტეზი, გიონი, პიერი, დას ნევესი, სეტო, და როშა (80. ნორბერი), სედუ, ფაე, კესერუ)90. ვენკორი), დიალო, პეიე (72. ოლიეში).

გოლები: 0:1 პეიე (23), 1:1 ალვარო (34-პენ), 1:2 კესერუ (51)

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 14 665

მარსელი-ლანსი 0:1

მარსელი: კარასკო, ბეიე, ჟ. როდრიგესი (10. სიველი), ზუბარი, ტაივო, კანა, ნასრი, მ'ბამი (60. მაულიდა), პაჟისი, ჯ. სისე (71. ვალბუენა), ნიანგი.

ლანსი: იტანჯე, ად. კულიბალი, ბიზევაკი, ჰილტონი, კარიერი, მონტერუბიო (80. ჟემაა), დემონი, სე. კეიტა, კოვაჩევიჩი, რამოსი (40. ტისიე), არუნა.

გოლი: 0:1 დინდანე (59-პენ)

გაფრთხილება: 3-2

მაყურებელი: 40 000

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ლიონი	27	19	4	4	50-22	61
2. ლანსი	27	13	9	5	41-29	48
3. ლილი	27	11	9	7	36-25	42
4. ტულუზა	27	12	6	9	30-28	42
5. სოშო	27	10	10	7	31-30	40
6. ბორდო	27	12	4	11	28-29	40
7. სტ. ეტიენი	27	11	6	10	42-36	39
8. მარსელი	27	11	5	11	31-28	38
9. რენი	27	9	9	9	23-23	36
10. ნანსი	27	9	9	9	25-29	36
11. ლე მანი	27	8	11	8	31-32	35
12. ოსერი	27	8	11	8	30-33	35
13. ლორიანი	27	9	8	10	25-29	35
14. მონაკო	27	9	7	11	31-28	34
15. ნიცა	27	7	9	11	24-26	30
16. ტრუა	27	7	9	11	27-38	30
17. ვალანსი	27	8	5	14	26-39	29
18. პსჟ	27	6	10	11	27-34	28
19. ნანტი	27	5	11	11	22-33	26
20. სედანი	27	5	10	12	35-44	25

ბომბარდირები: 13 - სავიდანი (ვალანსი); 11 - დინდანე (ლანსი); 10 - პაულეტა (პსჟ); 9 - ფრედი (ლიონი), ილანი (სტ. ეტიენი), პიკიონი (სტ. ეტიენი); 8 - ის.ბანგურა (ლე მანი), პაჟისი (მარსელი), ბოდმერი (ლილი), ჟუნინიო (ლიონი), ზიანი (სოშო), აკალე (ოსერი), სე. კეიტა (ლანსი), გილიოტი (ტრუა), ალვარო (სოშო).

II დივიზიონი

XXVII ტური

აიაჩო-გრენობლი	3:1
ამიენი-ისტრი	2:1
შატორუ-ლიბურნი	0:1
კრეტეი-ბრესტი	0:2
დიჟონი-გენიონი	1:0
გინგამი-რეიმსი	1:0
მონპელიე-მეცი	1:1
ნიორი-ბასტია	0:0
ჰავრი-სტრასბური	0:1
ტური-კაენი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მეცი	26	16	8	2	40-13	56
2. სტრასბური	27	14	10	3	33-20	52
3. კაენი	26	14	9	3	46-24	51
4. ჰავრი	27	12	10	5	40-22	46
5. ამიენი	27	13	5	9	35-32	44
6. დიჟონი	27	11	8	8	27-30	41
7. ბასტია	27	10	9	8	33-29	39
8. შატორუ	27	11	6	10	30-32	39
9. გრენობლი	27	9	11	7	38-32	38
10. რეიმსი	27	10	7	10	34-31	37
11. გენიონი	27	10	5	12	31-35	35
12. აიაჩო	27	9	7	11	32-34	34
13. ლიბურნი	26	8	7	11	32-36	31
14. მონპელიე	27	7	8	12	28-33	29
15. ბრესტი	27	5	13	9	29-32	28
16. გინგამი	27	6	10	11	28-32	28
17. ნიორი	27	5	10	12	23-37	25
18. ისტრი	27	6	7	14	22-41	25
19. კრეტეი	27	5	9	13	19-37	24
20. ტური	26	5	5	16	22-40	20

საბერძნეთი

XXIV ტური

იონიკოსი-ქსანთი	0:2
აეკ-არისი	3:1
ეგალეო-პანიონიოსი	0:2
ერგოტელისი-ატრომიტოსი	1:0
ირაკლისი-აპოლონი	0:1
კერკირა-პაოკ	0:0
ლარისა-ოფი	1:2
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	0:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ოლიმპიაკოსი	24	19	2	3	51-17	59
2. პანათინაიკოსი	24	16	3	5	42-20	51
3. აეკ	23	13	7	3	45-20	46
4. არისი	24	7	12	5	24-22	33
5. პაოკ	24	9	6	9	24-24	33
6. ოფი	24	9	6	9	30-33	33
7. პანიონიოსი	24	8	8	8	22-25	32
8. ლარისა	24	8	7	9	27-32	31
9. ქსანთი	24	7	9	8	15-14	30
10. ერგოტელისი	24	8	6	10	23-24	30
11. ატრომიტოსი	24	7	9	8	31-36	30
12. აპოლონი	23	7	7	9	19-26	28
13. კერკირა	24	6	9	9	22-26	27
14. ეგალეო	24	7	5	11	23-31	27
15. ირაკლისი	24	6	4	14	20-32	22
16. იონიკოსი	24	2	3	18	9-45	4

იონიკოსს დაკლებული აქვს 5 ქულა

თურქეთი

XXIII ტური

ბურსა-ანთალია	0:0
დენიზლი-ანკარაგუჩუ	1:0
კაისერი-რიზე	1:0
ბეშიქთაში-გალათასარაი	2:1
ანკარასპორი-საქარია	1:0
გაზიანთეპი-ერჩიესი	0:1
მანისა-გენჩლერი	0:3
კონია-ტრაბზონი	1:2
ფენერბაჩე-სივასი	2:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ფენერბაჩე	23	13	6	4	42-22	45
2. ბეშიქთაში	23	11	6	6	33-23	39
3. გალათასარაი	23	10	8	5	40-24	38
4. კაისერი	23	10	8	5	30-22	38
5. გენჩლერი	23	11	4	8	29-24	37
6. კონია	23	9	7	7	31-27	34
7. ტრაბზონი	23	9	6	8	31-27	33
8. ბურსა	23	9	6	8	26-24	33
9. სივასი	23	9	5	9	25-29	32
10. ანკარა	23	6	12	5	25-24	30
11. ანთალია	23	7	9	7	22-22	30
12. ანკარაგუჩუ	23	7	8	8	24-24	29
13. მანისა	23	8	5	10	33-35	29
14. გაზიანთეპი	23	7	6	10	22-30	27
15. რიზე	23	7	4	12	18-25	25
16. დენიზლი	23	5	8	10	19-29	23
17. ერჩიესი	23	5	7	11	19-40	22
18. საქარია	23	3	7	13	13-31	16

ჰოლანდია

XXVII ტური

ნიიმეგენი-ჰერენვენი	0:3
ეინდჰოვენი-ვაალვეიკი	2:0
ვილემი-სპარტა	0:0
გრონინგენი-ბრედა	3:1
ვიტესი-ექსელსიორი	2:3
აიაქსი-ტვენტე	0:1
ფეიენოორდი-როდა	1:1
ჰერაკლესი-დენ ჰააგი	3:1
უტრეხტი-ალკმაარი	0:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ეინდჰოვენი	27	21	3	3	64-15	66
2. ალკმაარი	27	17	7	3	71-26	58
3. ტვენტე	27	17	6	4	58-27	57
4. აიაქსი	27	17	5	5	61-29	56
5. ფეიენოორდი	27	14	5	8	52-52	47
6. ჰერენვენი	27	12	5	10	43-33	41
7. როდა	27	11	8	8	32-32	41
8. ბრედა	27	12	5	10	37-38	41
9. გრონინგენი	27	11	5	11	41-46	38
10. უტრეხტი	27	10	6	11	32-39	36
11. ნიიმეგენი	27	9	7	11	25-34	34
12. ვიტესი	27	9	6	12	43-43	33
13. სპარტა	27	8	5	14	30-49	29
14. ჰერაკლესი	27	5	8	14	23-49	23
15. ვილემი	27	6	5	16	25-55	23
16. ექსელსიორი	27	5	5	17	34-54	20
17. ვაალვეიკი	27	4	7	16	24-51	19
18. დენ ჰააგი	27	3	6	18	31-54	15

II დივიზიონი

XXX ტური

ეინდჰოვენ A-ჰაარლემი 1:1; ემენ-ფორტუნა 0:2; ომნივორლდი-ჰელმონდი 1:1; იგლ ზი-ვოლენდამი 1:2; მაასტრიხტი-როსენდალი 2:1; ტელსტარი-ვენლო 3:1; აპელდოორნი-ვეენდამი 2:1; კამბურ-დორდრეხტი 4:2; გრააფსხაპი-ტოპ ოსი 2:0; დენ ბოში-ცვოლე 2:2.

ავსტრია

XXIII ტური

ალტახი-შტურმი	1:3
გრაცერი-ტიროლი	3:2
მატერსბურგი-რიდი	1:2
პაშინგი-ზალცბურგი	0:1
ავსტრია-რაპიდი	2:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზალცბურგი	23	15	5	3	47-13	50
2. პაშინგი	23	9	7	7	27-24	34
3. მატერსბურგი	23	10	4	9	31-37	34
4. რიდი	23	6	11	6	25-24	29
5. ტიროლი	23	7	8	8	26-32	29
6. გრაცერი	23	6	9	8	31-37	27
7. ალტახი	23	8	3	12	33-41	27
8. რაპიდი	23	6	8	9	30-34	26
9. შტურმი	23	8	5	10	24-29	26
10. ავსტრია	23	5	10	8	25-28	25

შტურმს დაკლებული აქვს 3 ქულა

ხორვატია

XXI ტური

კამენი-ჩიბალია	2:2
ვარტექსი-დინამო	1:3
ზაგრები-მედიმურიე	4:0
ოსიეკი-სლავენი	1:1
რიეკა-პულა	2:0
ჰაიდუკი-შიბენიკი	3:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	21	18	2	1	54-18	56
2. ჰაიდუკი	21	16	2	3	39-12	50
3. ზაგრები	21	13	1	7	36-19	40
4. შიბენიკი	21	9	4	8	31-30	31
5. მედიმურიე	21	10	1	10	30-33	31
6. სლავენი	21	8	4	9	22-24	28
7. ვარტექსი	21	8	4	9	31-38	28
8. რიეკა	21	8	3	10	35-36	27
9. ოსიეკი	21	6	8	7	23-31	26
10. პულა	21	4	6	11	18-28	18
11. ჩიბალია	21	3	3	15	18-40	12
12. კამენი	21	3	2	16	20-48	11

უნგრეთი

XIX ტური

მტკ-ვაჩი	0:0
დიორი-ზალაეგერსეგი	2:1
ტატაბანია-ვაშაში	1:3
დიოშდიორი-სოპრონი	0:2
ჰონვედი-პაპა	6:0
უიპეშტი-რაბა	0:0
ვიდეოტონი-პაქსი	1:1
დებრეცენი-კაპოშვარი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. მტკ	19	14	3	2	37-12	45
2. დებრეცენი	18	12	3	3	34-13	39
3. ზალაეგერსეგი	19	11	3	5	32-24	36
4. უიპეშტი	19	10	3	6	27-17	33
5. ვიდეოტონი	19	9	2	8	25-23	29
6. დიოშდიორი	19	9	2	8	26-26	29
7. ვაშაში	19	9	2	8	19-23	29
8. პაპა	19	9	2	8	21-25	29
9. ტატაბანია	19	7	2	10	30-32	23
10. პაქსი	19	6	5	8	17-19	23
11. დიორი	19	6	5	8	24-28	23
12. სოპრონი	19	7	2	10	17-32	23
13. ჰონვედი	19	6	4	9	31-29	22
14. რაბა	19	5	5	9	23-33	20
15. კაპოშვარი	19	5	2	11	19-25	17
16. ვაჩი	19	1	6	12	12-33	9

ბელგია

XXIV ტური

რუსელარე-ვარეგემი	3:1
ბევერენი-გენკი	0:5
ანდერლეხტი-შარლერუა	3:2
სერკლი-სტანდარდი	0:2
გენტი-ლიერსი	4:0
მონსი-ლოკერენი	1:0
სტ.ტრუიდენი-მუსკრონი	1:1
ვესტერლო-ბრიუსელი	1:1
ბეერშოტი-ბრიუგე	4:0

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გენკი	24	17	5	2	58-21	56
2. ანდერლეხტი	24	16	6	2	47-24	54
3. სტანდარდი	24	15	4	5	51-29	49
4. გენტი	24	13	4	7	42-30	43
5. ბრიუგე	24	11	6	7	40-27	39
6. შარლერუა	24	11	6	7	34-29	39
7. ვესტერლო	24	10	6	8	30-28	36
8. ბეერშოტი	24	9	7	8	34-33	34
9. რუსელარე	24	9	7	8	37-38	34
10. სერკლი	24	8	4	12	20-26	28
11. ვარეგემი	24	7	7	10	29-36	28
12. მონსი	24	7	6	11	22-31	27
13. სტ. ტრუიდენი	24	7	4	13	29-37	25
14. ბრიუსელი	24	5	10	9	24-33	25
15. მუსკრონი	24	5	9	10	33-43	24
16. ლოკერენი	24	4	9	11	20-32	21
17. ბევერენი	24	5	5	14	22-43	20
18. ლიერსი	24	3	3	18	16-48	12

II დივიზიონი

XXIV ტური

ლომელი-დენდერი 0:2; მეხელენი-დესელი 2:0; ოსტენდე-ტინენი 2:1; რონსე-ეუპენი 0:5; ვირტონი-ვაასლანდი 0:1; კორტრიიკი-ანტვერპენი 0:0; ჰეევერლე-ტუბიზი 2:0; რასინგი-სტ-ჟილი 2:0; ჰამ-დაინეცე 1:2.

შვეიცარია

XXII ტური

სტ. გალენი-ლუცერნი	0:0
იანგ ბოისი-სიონი	2:0
არაუ-ტუნი	0:0
გრასჰოპერი-ბაზელი	1:5
შაფჰაუზენი-ციურიხი	0:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ციურიხი	22	15	2	5	43-19	47
2. ბაზელი	22	12	4	6	48-32	40
3. სტ. გალენი	22	13	3	6	33-24	42
4. გრასჰოპერი	22	11	5	6	38-24	38
5. იანგ ბოისი	22	11	3	8	35-28	36
6. სიონი	22	9	6	7	35-32	33
7. ლუცერნი	22	7	5	10	23-27	26
8. ტუნი	22	4	6	12	14-40	18
9. შაფჰაუზენი	22	3	6	13	21-42	15
10. არაუ	22	3	5	14	16-38	14

ჩელენჯლიგა

XIX ტური

პოლენი-ივერდონი 2:1; კიასო-ვადუცი 1:1; კრინსი-ბაულმესი 2:1; ლოზანა-დელემონი 0:3; ლოკარნო-ბელინცონა 0:2; ვინტერტური-ლუგანო 1:2; კონკორდია-ვოლენი 3:2; სერვეტი-ვილი 2:0; ქსამაქსი-იუვენტუსი 0:1.

სლოვენია

XXI ტური

კოპერი-ბელა კრაინა	2:1
ნაფტა-ფაკტორი	3:1
დომჟალე-გორიცა	4:0
მარიბორი-ლიუბლიანა	2:2
პრიმორიე-დრავა	1:3

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დომჟალე	21	14	7	0	42-16	49
2. მარიბორი	21	8	9	4	36-26	33
3. პრიმორიე	21	9	5	7	29-25	32
4. დრავა	21	8	7	6	34-28	31
5. გორიცა	21	8	7	6	31-30	31
6. ნაფტა	21	8	6	7	30-31	30
7. კოპერი	21	3	13	5	26-28	22
8. ლიუბლიანა	21	4	8	9	29-35	20
9. ბელა კრაინა	21	2	8	11	22-38	14
10. ფაკტორი	21	2	8	11	21-43	14

პოლონეთი

XVI ტური

ბელხატოვი-ლეხია	6:0
კრაკოვია-ლეგია	0:0
გროკლინი-ვისლა	1:3
პოგონი-ლოძი	0:1
პლოცკი-ლეხი	1:1
ზაგლემბე-ოდრა	1:0
კორონა-არკა	1:0
გორნიკი-ვიძევი	0:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბელხატოვი	16	10	3	3	37-17	33
2. კორონა	16	9	3	4	25-15	30
3. ზაგლემბე	16	8	6	2	21-15	30
4. ვისლა	16	7	7	2	31-13	28
5. ლეგია	16	8	4	4	29-16	28
6. ლეხი	16	7	6	3	20-15	27
7. ლოძი	16	5	7	4	30-22	22
8. კრაკოვია	16	6	4	6	20-25	22
9. გროკლინი	16	3	11	2	17-15	20
10. არკა	16	3	9	4	18-17	18
11. ვიძევი	16	4	6	6	16-21	18
12. გორნიკი	16	4	3	9	18-28	15
13. ოდრა	16	4	3	9	14-20	15
14. ლეხია	16	3	5	8	9-32	14
15. პოგონი	16	2	6	8	13-27	12
16. პლოცკი	16	1	7	8	12-31	10

პორტუგალია

XX ტური

ფერეირა-სეტუბალი	1:0
პორტუ-ბრაგა	1:0
ავეში-ბენფიკა	0:1
ამადორა-მარიტიმუ	1:0
ბეირა მარი-ნავალი	1:3
ნასიონალი-აკადემიკა	4:0
ლეირია-სპორტინგი	0:0
ბოავიშტა-ბელენენსეში	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუ	20	16	1	3	44-10	49
2. ბენფიკა	20	14	3	3	40-14	45
3. სპორტინგი	20	11	7	2	29-12	40
4. ბრაგა	20	9	4	7	26-25	31
5. ლეირია	20	8	5	7	16-18	29
6. ფერეირა	20	7	8	5	22-26	29
7. ნასიონალი	20	8	4	8	30-26	28
8. მარიტიმუ	20	8	4	8	23-25	28
9. ბელენენსეში	19	8	3	8	20-20	27
10. ნავალი	20	7	6	7	20-21	27
11. ამადორა	20	6	6	8	14-21	24
12. ბოავიშტა	19	5	8	6	22-22	23
13. აკადემიკა	20	5	4	11	21-32	19
14. სეტუბალი	20	3	5	12	11-29	14
15. ბეირა მარი	20	2	7	11	19-41	13
16. ავეში	20	2	5	13	11-26	11

II დივიზიონი

XX ტური

სანტა კლარა-ტროფენსე 1:0; ლეიქსოეში-ეშტორილი 1:0; მოსკავიდე-გონდომარი 0:1; მაიამი-გიმარაეში 0:1; პენაფიელი-ოლანენსე 2:1; ფეირენსე-პორტიმონენსე 2:0; ჟილ ვისენტე-რიუ ავე 1:2; ვარზიმი-ვიზელა 3:2.

სერბეთი

XIX ტური

ბანატი-ცრვენა ზვეზდა	1:4
ბეჟანია-ზემუნი	2:0
ბორაცი-ჰაიდუკი	0:3
პარტიზანი-სარტიდი	2:1
ვოევოდინა-მლადოსტი	1:1
ოფკ-ვოჟდოვაცი	6:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ცრ. ზვეზდა	19	14	3	2	34-13	45
2. პარტიზანი	19	11	3	5	29-18	36
3. მლადოსტი	19	8	7	4	18-11	31
4. ოფკ	19	8	7	4	27-13	31
5. ბეჟანია	19	6	10	3	22-16	28
6. ვოევოდინა	19	8	4	7	15-15	28
7. ჰაიდუკი	19	9	1	9	17-19	28
8. ბანატი	19	6	5	8	16-24	23
9. ბორაცი	19	5	5	9	10-16	20
10. სარტიდი	19	4	6	9	12-16	18
11. ვოჟდოვაცი	19	4	5	10	16-27	17
12. ზემუნი	19	0	3	16	5-32	3

სლოვაკეთი

ფინალური ზონა

I ტური

შენეცი-ბისტრიცა	2:1
კოშიცე-რუჟომბეროკი	1:0
პეტრჟალკა-ნიტრა	1:0
ჟილინა-სლოვანი	3:2

გასავარდნი ზონა

I ტური

ინტერი-დუბნიცა	1:0
სობოტა-დუსლო	1:0
ტრნავა-ტრენჩინი	2:1
მორავცე-მოჩენოკი	0:1

იაპონია

I ტური

ტოკიო-ჰიროშიმა	2:4
ოიტა-ნიიგატა	1:1
იოკოჰამა-კოფუ	1:0
კავასაკი-კაშიმა	1:0
შიმიცუ-კობე	1:0
ურავა-იოკოჰამა	2:1
გამბა-ომიია	1:0
კაშივა-ჯუბილო	4:0
ნაგოია-ჯეფ იუნაიტედი	2:0

უკრაინა

XVII ტური

შახტარი-ზარია	3:0
დნეპრი-ილიჩოვეცი	1:1
სტალი-მეტალურგი (დ)	3:0
ჩორნომორეცი-არსენალი	2:0
ხარკოვი-მეტალისტი	0:0
კარპატი-კრივბასი	1:1
ტავრია-ვორსკლა	1:0
დინამო-მეტალურგი (ზ)	3:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	17	14	3	0	41-13	45
2. შახტარი	17	13	2	2	39-6	41
3. მეტალისტი	17	8	6	3	18-13	30
4. დნეპრი	17	5	10	2	15-10	25
5. არსენალი	17	6	7	4	18-19	25
6. ტავრია	17	7	3	7	15-15	24
7. კარპატი	17	6	6	5	14-17	24
8. ჩორნომორეცი	17	6	5	6	22-23	23
9. კრივბასი	17	4	8	5	18-20	20
10. მეტალურგი (დ)	17	5	3	9	14-19	18
11. ვორსკლა	17	4	4	9	12-18	16
12. ილიჩოვეცი	17	4	4	9	14-21	16
13. მეტალურგი (ზ)	17	3	7	7	10-21	16
14. ხარკოვი	17	3	5	9	14-27	14
15. სტალი	17	3	3	11	13-21	12
16. ზარია	17	2	6	9	13-27	12

შოტლანდია

XXIX ტური

სელტიკი-დანფერმლაინი	2:1
ფალკირკი-აბერდინი	1:2
ინვერნესი-დანდი იუნ	1:0
სტ.მირენი-კილმარნოკი	0:2
ჰიბერნიანი-რეინჯერსი	0:2
მაზერველი-ჰარტსი	დღეს

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სელტიკი	29	23	5	1	57-22	74
2. რეინჯერსი	29	16	7	6	48-24	55
3. აბერდინი	28	14	6	8	39-25	48
4. ჰარტსი	28	12	9	7	36-25	45
5. ჰიბერნიანი	29	11	7	11	46-34	40
6. კილმარნოკი	29	11	7	11	38-44	40
7. ინვერნესი	29	8	10	11	31-37	34
8. ფალკირკი	29	10	3	16	36-39	33
9. მაზერველი	27	9	5	13	32-42	32
10. დანდი იუნ	29	8	8	13	29-49	32
11. სტ. მირენი	29	5	10	14	23-43	25
12. დანფერმლაინი	29	3	7	19	15-46	16

I დივიზიონი

XXVIII ტური

გრეტნა-ქუინი 0:3; ჰამილტონი-ეირდრი 3:0; ლივინგსტონი-დანდი 1:3; პარტიკი-კლაიდი 0:4; როსი-სტ.ჯონსტონი 1:1.

II დივიზიონი

XXVIII ტური

კოუდენბითი-რეითი 1:5; ფორფარი-ბრეჩინი 3:2; მორტონი-პიტერჰედი 2:1; სტირლინგი-ალოა 4:0; სტრანრარი-ეირი 0:3.

III დივიზიონი

XXVIII ტური

დამბარტონი-ბერვიკი 1:2; ისტ ფაიფი-ელჯინი 3:1; მონროუზი-არბროტი 0:1; ქუინზ პარკი-ალბიონი 5:0; სტენჰაუსმუირი-ისტ სტირლინგი 1:1.

როიალლიგა

ოდენსე-ლილესტრიომი	2:2 პენ. 4:1
ელფსბორგი-კოპენჰაგენი	1:2

რუსეთის თასი

დინამო (მ)-ტომი	2:0
ზენიტი-სატურნი	1:0
როსტოვი-რუბინი	3:1
ტორპედო-დინამო (ბ)	0:1
ამკარი-მოსკოვი	2:3

რუსეთის სუპერთასი

ცსკა-სპარტაკი	4:2

არგენტინა

IV ტური

კოლონი-ხიმნასია ლპ	1:2
რასინგი-ნიუელსი	0:1
ბანფილდი-ინდეპენდიენტე	2:1
ველესარსფილდი-ესტუდიანტესი	1:2
არსენალი-ბელგრანო	3:1
ბოკა-სან ლორენსო	0:3
ხიმნასია (ხ)-გოდოი	2:1
კილმესი-ნუევა ჩიკაგო	გვ. დასრულდა
როსარიო-ლანუსი	გვ. დასრულდა
არ. ხუნიორსი-რივერი	გვ. დასრულდა

მექსიკა

VIII ტური

ხაგუარესი-ტიგრესი	2:3
ატლანტე-ნეკაქსა	3:0
კრუს ასული-სანტოსი	1:0
მონტერეი-პუმასი	0:1
ვერაკრუსი-ატლასი	0:1
ჩივასი-კერეტარო	2:0
ტოლუკა-სან ლუისი	1:1
ს. ლაგუნა-მორელია	გვ. დასრულდა
პაჩუკა-ამერიკა	გვ. დასრულდა

ჩილე

VII ტური

უნ. ესპანიოლა-კონსეპსიონი	1:0
ოიგინსი-კობრელოა	3:3
კოლო კოლო-ანტოფაგასტა	3:0
ევერტონი-ნუბლენსე	1:2
კობრესალი-პუერტო მონტი	2:0
მელიპილა-დ. კონსეპსიონი	1:1
უაჩიპატო-სანტიაგო	1:0
უ. კონსეპსიონი-პალესტინო	გვ. დასრულდა
უნ. კატოლიკა-უნ. ჩილე	გვ. დასრულდა
კოკიმბო-რანგერსი	გვ. დასრულდა

ურუგვაი

VII ტური

სენტრალი-დანუბიო	0:1
ტაკუარემბო-ნასიონალი	3:0
სერო-ბელა ვისტა	0:2
მირამარი-პროგრესო	2:2
როჩა-ფენიქსი	3:0
დეფენსორი-ლივერპული	3:2
ვანდერერსი-რამპლა	2:2
რივერი-ჰუვენტუდი	გვ. დასრულდა
რენტისტასი-პენიაროლი	გადაიდო

ფინეთის ლიგის თასი

ჰონკა-ჰაკა	1:1
ოულუ-ინტერი	0:3

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ძიუდო

მსოფლიო თასი

ცირეკიძე და თითქმის გარკვეული ევროპა

პირველი გვერდიდან

ირაკლი ცირეკიძემ უკვე თბილისის ტურნირზე გაინაღდა საევროპო ნაკრებში ადგილი და სპალაში ლიდერის შესაფერისად იჭიდავა - 5 შეხვედრიდან 4 წმინდად მოიგო. იქნებ უნგრელი **ტომაშ მადარაცი**, ბელარუსი **იუჰენ სიომაშკინი** და ფრანგი **მატიო დარფევილი** ბევრს არაფერს წარმოადგენენ, მაგრამ ფინალური მეტოქე - ბელარუსი **ანდრეი კაზუსიონაკი** მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია. შეგახსენებთ, რომ მან 2005-ის მსოფლიო პირველობაზე **ზურაბ ზვიადაური** დაამარცხა და მერე ბრინჯაოც მოიპოვა. ცირეკიძემ ბელარუსს ორი იუკო აართვა, ორჯერ გააფრთხილებინა და ბოლოს ბეჭებზეც დასცა. ირაკლის მარტო პოლონელ **კშიშტოფ ვეგლარცთან** გაუჭირდა და მხოლოდ გაფრთხილებით აჯობა.

მძიმე წონაში **ლაშა გუჯეჯიანმა** ულაპარაკოდ აჯობა კონკურენტს. **ზვიად ხანჯალიაშვილი** პირველივე შეხვედრაში დამარცხდა რუს **მაქსიმ ბრიანოვთან**, მერე სანუგეშოში იტალიელ **ალესანდრო ფრეზას** კი აჯობა, მაგრამ მომდევნოში ბრაზილიელ **დანიელ ერნანდესთან** დამარცხდა. არადა, ეს შეხვედრა რომ მოეგო, დამამშვიდებლის ფინალში გუჯეჯიანს შეხვდებოდა.

გუჯეჯიანმა ბელარუსი **იური შნეჰაუსკოი** იპონით დასცა, ბრიტანელი **ჯო დელაჰეი** ორი ვაზარით ასევე სუფთად დაამარცხა, მასპინძელ **მიშალ პოკრივკას** იუკოთი აჯობა და ნახევარფინალში რუს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ალექსანდრ მიხაილინთან** იპონით დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ლაშამ სახელოვან ბრაზილიელ **კარლოს ონორატოს** - იუკოც აართვა, ვაზარიც და ბოლოს ბეჭებზეც დააგდო. სამწუხაროდ, პოლონეთში ჩვენებთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ და ამ წონაში შექმნილ ვითარებაზე ვერც ხაბარელის აზრს მოგახსენებთ, მაგრამ, ვგონებთ, ევროპულ ნაკრებში გუჯეჯიანს დააყენებს. თუმცა წინ კიდევ ორი შეკრებაა.

არანაკლებ დაძაბული კონკურენცია იყო 81 კილოშიც და ალბათ **გიორგი ბაინდურაშვილმა** უკვე გაინაღდა ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლა. მან ბრინჯაოსთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტი, **საბა გავაშელიშვილი** დაამარცხა.

საბა გავაშელიშვილი უცხოეთში ამ რანგის ტურნირზე პირველად ჭიდაობდა და ნახევარფინალამდე სამი ბრძოლა წმინდად მოიგო (აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ელხან რაჯაბლისთან**, მასპინძელ **ლუკაშ ბალანდასთან** და უნგრელ **ზოლტან კალაისთან**). ბაინდურაშვილის მოგებათაგან უფრო აღსანიშნავი ებრალელ **ავისარ შნეიმანთან** იპონით გამარჯვებაა. იგი მეოთხედფინალში მასპინძელ **ლუკაშ ბლაშეკთან** სუფთად დამარცხდა.

გავაშელიშვილმა კი ნახევარფინალში, ფრანგ **ანტუან როდრიგესთან** წააგო კოკათი და სანუგეშოს ფინალში გადავიდა. ბაინდურაშვილს ამსპობაში ცხარე ჯაფა ადგა სანუგეშო ტურნირში - სლოვენიელ **მარკო პეტრიჩთან** და ბრაზილიელ **ფლავიო კანტოსთან** მოიგო და ბრინჯაოსთვის საბრძოლველად ერთმანეთს ქართველები დაუპირისპირდნენ.

იმის მიუხედავად, რომ გავაშელიშვილმა ტურნირი თითქოს უფრო დამაჯერებლად ჩაატარა, ამ შეხვედრაში ბაინდურაშვილმა აჯობა - კოკაც აართვა, იუკოც და ვაზარიც. ორივე დაახლოებით ერთნაირი, ღია და შემტევი სტილის მოჭიდავეა, მაგრამ სავარაუდოდ, ბაინდურაშვილმა გამოცდილებისა და კლასის ხარჯზე მოუგო.

100 კილოში ხაბარელმა **ლევან რაზმაძე** გამოცდილების მისაღებად წაიყვანა, ჟორჟოლიანი - ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად, თუმცა გამოსაცდელი ლიდერს თითქმის არაფერში ჩამორჩა. ორივე მეოთხედფინალში დამარცხდა და ორივე ევროპის ჩემპიონთან - რაზმაძე რუს **რუსლან გასიმოვთან**, რომელმაც ტიტული შარშან მოიპოვა, ჟორჟოლიანი კი 2004-ის ჩემპიონ იტალიელ **ფრანჩესკო ლეპრესთან**. ორივემ თითო სუფთა და თითოც ვაზარით მოგება მიითვალა, მაგრამ ჟორჟოლიანმა უფრო ძლიერებს მოუგო - რუს მსოფლიოს პრიზიორ **დმიტრი კაბანოვს** და ფრანგ **სირილ მარეტს**. სანუგეშოშიც უფრო ძლიერებს და უფრო დამაჯერებლად ჟორჟოლიანმა აჯობა - სლოვაკი **ზოლტან პალკოვაცი**, ადრე ჩვენების უხერხული მეტოქე, სუფთაზე დასცა, უკრაინელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ვიტალი ბუბონს** ვაზარით აჯობა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ბრაზილიელ მსოფლიოს პრიზორ **ლუსიანო კორეას** ორი იუკოთი აჯობა. რაზმაძემ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ლეპრეს კოკათი მოუგო.

ყველაზე ცუდი, რაც პოლონეთში მოხდა, **ზაზა კედელაშვილის** მარცხია. იგი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში სამხრეთაფრიკელი **ადრიან ჰამონდი** დააგდო, მესამეში კი პორტუგალიელ **პედრო დიასთან** დამარცხდა. პორტუგალიელმა მომდევნო ბრძოლა წააგო და კედელაშვილიც უსახელოდ გავარდა. წინ კიდევ ორი შეკრებაა, სადაც, ვიმედოვნებთ, სპალაში დაშვებულ შეცდომებზე იმუშავებენ.

საინტერესოა **ვახტანგ ხოსიტაშვილის** გამოსვლაც. იგი რამდენჯერმე გამოცადეს უცხოეთში, თუმცა იმედები ვერასოდეს გაამართლა. გაჩნდა შიში, რომ ეგრეთ წოდებულ შინაურ მოჭიდავედ დარჩებოდა - რომელიც საქართველოში კარგად ჭიდაობს, მაგრამ სხვაგან ვერაფერს ახერხებს. უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, სპალაში მისი გამოსვლის სტატისტიკა მაინც საყურადღებოა - 6 ჩატარებული შეხვედრიდან 4 მოიგო და ყველა წმინდად, ის ორი ბრძოლა კი იუკოთი წააგო. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ორი შეხვედრის გარდა, სხვა ბრძოლებში ქულა არც დაუკარგავს. ვერც იმას ვიტყვით, რომ სუსტი მეტოქეები შეხვდნენ.

მინდია ხომიზურის 73 კილოგრამში საექსპერიმენტოდ 66-დან აანაცვლეს. შეიძლება ითქვას, ამან გაამართლა კიდეც. მან ბრიტანელ **კრეიგ ეევრს** გაფრთხილებით აჯობა, ჩეხი **ტომაშ ვესელი** კი სუფთად დააგდო. მეოთხედფინალში იგი ახალგაზრდა თურქ **სეზერ ჰუზუსთან** დამარცხდა და სანუგეშოში გადაინაცვლა. იქ მას რუსი **რუსტამ კოძოევი** არ გამოუცხადდა, მერე კი იაპონელ **იასუტაკა ნარიტასთან** წააგო.

ახალგაზრდა **ბექა ბაიდაური** (73) უცხოეთში პირველად ჭიდაობდა. იგი ჯერ მომავალ ჩემპიონთან და ევროპის შარშანდელ მესამე პრიზიორთან, რუს **სალამ მეჯიდოვთან** დამარცხდა , მერე სანუგეშოში ერთი მოიგო - სლოვენიელ **როკ ტაჯმანთან** იპონით, მაგრამ მეორე გამოცდილ ებრაელთან, ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონ **იოელ რაზუმოვთან** დამარცხდა. ამ წონაში, მოგეხსენებათ, უპირობო ფავორიტი **დავით ქვეხიშვილია** და მწვრთნელები ევროპის ჩემპიონატამდე მის გამოჯანმრთელებას ელიან. ეს ტურნირი, მოგეხსენებათ, 7-8 აპრილს გაიმართება ბელგრადში.

ჭიდაობა

მაია ლომინეიშვილი — ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმეორეთ თეორია!

შაბათ-კვირას ჩემპიონატზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა და საკმაოდ საინტერესო სურათი მივიღეთ - თუმცა არა ისეთი, როგორსაც სტარტამდე ფიქრობდნენ სპეციალისტები და გულშემატკივრები. ჩვენი გაზეთის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში უპირობო ფავორიტი **ნინო ხურციძე** გახლდათ, რომელსაც **ლელა ჯავახიშვილი** და **ნანა ძაგნიძე** ედგნენ კვალში. თუკი სამი ტურის შემდეგ ვიმსჯელებთ, საქმე სხვაგვარადაა.

ხურციძემ მეორე ტურში ნანა ძაგნიძესთან დათმო ქულა; მესამეში კი თეთრებით **მირანდა მიქაძეს** ვერ აჯობა. ფაქტია, ნინოს თამაში არ მისდის, ჩავარდნა აქვს. თუმცა წინ კიდევ რვა ტურია და შედეგის გამოსწორება შესაძლებელია. მხოლოდ ქულა აქვს ჯავახიშვილსაც - შაბათ-კვირას მან მხოლოდ ნახევარი ქულა შემატა მარაგს - ჯერ მირანდა მიქაძესთან დაზავდა შავი ფერით, შემდეგ კი **ინგა ჭარხალაშვილთან** დამარცხდა თეთრებით.

ჭარხალაშვილი შესანიშნავად თამაშობს და, სიმართლე ითქვას, ეს გასაკვირი არც არის - მისგან დიდი ხანია, ველით მაღალ შედეგებს. ინგას 2.5 ქულა აქვს და **სოფიკო ხუხაშვილსა** და **მაია ლომინეიშვილთან** ერთად 1-3 ადგილებს იყოფს. დანარჩენ ორ ლიდერზე შემდეგს მოგახსენებთ.

ხუხაშვილმა შაბათს თეთრებით **მაკა ფურცელაძეს** მოუგო და კვირას შავებით ეთამაშებოდ გვეტაძეს. დებიუტში არცთუ სასიამოვნო პოზიციის მიღებით **სალომე მელიას** ხვდებოდა. იქამდე, წინა ტურში მაიამ **ნინო ბაციაშვილი** ძალიან ლამაზ სტილში დაამარცხა: შუა თამაშში ხარისხი შესწირა და მეტოქის მეფე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა.

როგორც ჩანს, ლომინეიშვილი ჩემპიონატს კარგ ფორმაში შეხვდა: მელიასაც მალე აართვა ინიციატივა და აბსოლუტურად მოსაგებ ენდშპილში გადაიყვანა პარტია. თუმცა მოხდა ის, რაც ჭადრაკში, მით უფრო ქალთა შორის, არცთუ იშვიათია და, სამწუხაროდ, ხშირად ემართება ლომინეიშვილს: შეტევის ზუსტი მიმართულება ვერ გამოიცნო, საქმე გაირთულა და მელიამ კონტრშანსები გაიჩინა. მიუხედავად ამისა, ლომინეიშვილმა შეძლო ინიციატივის შენარჩუნება და მოგება კვლავ მართებდა - სულ ბოლოს შავებს კუ და მხედარი დარჩათ, თეთრებს კი მხოლოდ მეფე.

ჭადრაკში ბევრი თეორიული პოზიციაა, სადაც მატერიალური უპირატესობის მიუხედავად მოგება ვერ ხერხდება. მაგალითად, მხოლოდ ორი მხედრით შამათი არ ისმება, ასევე ვერ მოიგებ, თუკი მხოლოდ მხედარი ან კუ გყავს ზედმეტი; სამაგიეროდ შესაძლებელია მოგება ორი კუთი ან კუთი და მხედრით.

ორი კუთი შამათის ჩასმა იოლია, კუთი და მხედრით კი საკმაოდ რთული. აქ ერთი წესია: ძლიერმა მხარემ შამათი 50 სვლაში უნდა ჩასვას - ათვლა იმ მომენტიდან იწყება, როცა დაფიდან უკანასკნელი პაიკი გაქრება. ლომინეიშვილი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფრით მოიხელთა მეფე - აშკარა იყო, მოსაგები ხერხი დავიწყებოდა. არადა, თეორიის თანახმად, ნებისმიერი პოზიციიდან კუთი და მხედრით შამათი 32 სვლაში კეთდება, ლომინეიშვილს კი 50 სვლა არ ეყო...

ამ კაზუსზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, საერთაშორისო ოსტატ **კახა შალამბერიძეს**: *„გაოცებული დავრჩი ნანახით: მაიას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოეგო, მაგრამ ეტყობა, წესი დაავიწყდა, ცოტაც ინერვიულა და სიტუაციაში ვერ გაერკვა. მას აქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე - მოგებული ენდშპილი ჰქონდა და მხოლოდ ტექნიკის საქმე იყო დარჩენილი. ამის მიუხედავად, იგი ჩემპიონატ ზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთერთ უმთავრეს ფავორიტად რჩება.*

აქვე ვიტყვი სოფიკო ხუხაშვილსა და ინგა ჭარხალაშვილზეც. ორივე შესანიშნავ ფორმაშია და ღირსეულად ლიდერობს. ხუხაშვილს გვეტაძესთან უკეთ მართებდა ენდშპილის თამაში და გაიმარჯვებდა - დიდი უპირატესობა ჰქონდა, ჭარხალაშვილმა კი უშანსოდ მოუგო ჯავახიშვილს. ეს სამეული ნაღდად იბრძოლებს ჩემპიონობისთვის.

ცხადია, გაინტერესებთ ხურციძის, ჯავახიშვილისა და ძაგნიძის შეფასებაც. ძაგნიძემ პირველ შეხვედრაში მარცხის შემდეგ ორივე პარტია მოიგო და მის კრიზისზე ან ჩავარდნაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ნინოსა და ლელაზე კი შეიძლება ითქვას, რომ სათანადო ფორმაში არ არიან. თუმცა, ორივეს იმხელა გამოცდილება აქვს, რომ დარჩენილ დროში მდგომარეობის გამოსწორება შეუძლიათ.

მეოთხე ტურში ინტრიგა მოიმატებს. ჯავახიშვილიც და ხურციძეც ლიდერებს დაუპირისპირდებიან - ლელა შავებით ხუხაშვილს ხვდება, ნინო კი, ასევე შავებით, ჭარხალაშვილის შეტევების მოგერიებას ეცდება. ლომინეიშვილის მეტოქე მეოთხე ტურში მაკა ფურცელაძეა, აქ ლიდერს თეთრები ერგო. თამაშები დღის 12 საათზე იწყება.

ზვიად შათირიშვილი

მეორე ტური: ლომინეიშვილი-ბაციაშვილი 1:0, წერეთელი-მელია 0.5:0.5, ხუხაშვილი-ფურცელაძე 1:0, ჭარხალაშვილი-გვეტაძე 0.5:0.5; მიქაძე-ჯავახიშვილი 0.5:0.5; ძაგნიძე-ხურციძე 1:0

მესამე ტური: მელია-ლომინეიშვილი 0.ა.ა.5, ბაციაშვილი-ძაგნიძე 0:1; ფურცელაძე-წერეთელი 0.5:0.5; გვეტაძე-ხუხაშვილი 0.5:0.5; ჯავახიშვილი-ჭარხალაშვილი 0:1; ხურციძე-მიქაძე 0.5:0.5

მაია ლომინეიშვილი	- 2.5
სოფიკო ხუხაშვილი	- 2.5
ინგა ჭარხალაშვილი	- 2.5
სოფიო გვეტაძე	- 2.0
ნანა ძაგნიძე	- 2.0
ნინო ხურციძე	- 1.0
ლელა ჯავახიშვილი	- 1.0
მირანდა მიქაძე	- 1.0
ნინო ბაციაშვილი	- 1.0
სალომე მელია	- 1.0
თამარ წერეთელი	- 1.0
მაკა ფურცელაძე	- 0.5

მეოთხე ტური: ლომინეიშვილი-ფურცელაძე; ბაციაშვილი-მელია; წერეთელი-გვეტაძე; ხუხაშვილი-ჯავახიშვილი; ჭარხალაშვილი-ხურციძე; ძაგნიძე-მიქაძე

ჩიხლაძის მესამე ტიტული



ლადო ჩიხლაძე

ჩოგბურთი. 21 წლის **ლადო ჩიხლაძემ** (562) კარიერაში მესამე ტიტული მოიგო - ქართველი ჩოგბურთელი შვეიცარიული ლიგივერნის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული გახდა, სადაც მეშვიდე ნომრად იყო განთესილი. ჩიხლაძემ "დეკისის თასის" თბილისური მატჩის შემდეგ პირველად ითამაშა. ტურნირის ნახევარფინალში ლადო ორ სეტში გაუსწორდა მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ **ალბერტო ჯირაუდოს** (513) - 6:3, 6:4 და ფინალში გავიდა, სადაც გადაეყარა მასპინძელი **სვენ სვინენს** (545), რომელმაც მეორე ნახევარფინალში ტურნირის მერვე ნომერი ჩეხი **რომან კუტაჩი** (556) დამარცხა - 7:6, 3:6, 7:6. ფინალში ორი-ტაიბრეიკი გაიმართა, ორივე ქართველმა მოიგო - 7:6 (3), 7:6 (6). შეგახსენებთ, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარი იყო.

ლადომ წლეულს პირველი, ხოლო კარიერაში მესამე ტიტული მოიპოვა. პირველად ჩვენმა თანამემამულემ 2005 წლის თებერვალში იმარჯვა ავსტრიის ტურნირზე, მეორე ტიტული ჩიხლაძემ შარშან ივნისში რუმინეთში მოიპოვა. ამას გარდა, ლადო ორჯერ იყო ფინალში, მაგრამ დამარცხდა.

ნიკოლოზ ნებიერიძე

თბილელი

ბორის ნიკიტინი. 05.03.1938, თბილისი - 20.10.1984, იქვე. ცურვა თავისუფალი სტილი. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (ესტაფეტა 4X200 მ - III ადგილი; 400 მ- XVI ადგილი) და 1960 წლის რომის ოლიმპიადის მონაწილე (ესტაფეტა 4X200 მ - VIII ადგილი). ევროპის ჩემპიონი (1958 - ესტაფეტა 4X200 მ) და მეორე პრიზიორი (1958 - 400 მ), ახალგაზრდობის მეგობრული სპორტული თამაშების ორგზის ჩემპიონი (1957 - 1500 მ, ესტაფეტა 4X200 მ) და მეორე პრიზიორი (1957 - 400 მ), სსრკ ექვსგზის ჩემპიონი (1956-60 - 400 მ; 1957 - 1500 მ; 1963 - კომპლექსური 400 მ, კომბინირებული 4X100 მ). ევროპის სამგზის რეკორდსმენი: 400 მ - 4.34,6 წთ (1956), 1500 მ - 18.28,2 წთ (1957), 1500 მ - 18.25,2 წთ (1957). საუკეთესოპირადი შედეგები: თავისუფალი სტილით 100 მ- 58.0 წმ, 200 მ- 2.07,8 წთ, 400 მ - 4.30,8 წთ, 800 მ - 9.32,8 წთ, 1500 მ - 18.22,4 წთ; კომპლექსური 200 მ- 2.29,4 წთ, 400 მ - 5.03,3 წთ. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

რაგბი

ლეგიონერები

ტულონმა ოში დაამარცხა

მერაბ კვირიკაშვილი მეტრო რასინგთან მატჩში

საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში 22-ე ტურის ცენტრალური შეხვედრა ტულონში გაიმართა. **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონმა" ერთპიროვნულ ლიდერს, **ილია ზედგინიძის** "ოშს" უმასპინძლა და 17:9 დაამარცხა. **გია ლაბაძეს** დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, კუთარაშვილმა **ჟან-ჟაკ კრენკა** 69-ე წუთზე შეცვალა, 65-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში ილია ზედგინიძე. ზედგინიძის გუნდს ამ მატჩამდე ბრწყინვალე შედეგი - 21 თამაშში 19 მოგება, თითო ფრე და წაგება ჰქონდა.

ლიდერთა მეორე წყვილში **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემ" "მედიტერანეზე" "დაქსი" მიიღო და 24:13 დაამარცხა. ლანგედოკელებმა ამ გამარჯვებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პლეიოფისკენ. მაჩხანელი განაცხადში არ იყო.

საგრძნობლად გააუმჯობესა თამაში **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ". ჩვენებურის გუნდმა ამჯერად საკუთარ მოედანზე **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძის** "მეტრო რასინგი" მიიღო და 27:18 დაამარცხა. კვირიკაშვილმა ორი გარდასახვა გაიტანა და 48-ე წუთზე შეცვალეს. დავით აშვეთიამ პარიზელთა რიგებში თავიდან ბოლომდე ითამაშა. მაგრაქველიძე შეხვედრაში 58-ე წუთიდან ჩაერთო.

ლევან ღვაბერიძის "გრენობლმა" სტუმრად ბოლომდე იბრძოლა "ბორდოსთან", მაგრამ მაქსიმუმი, რასაც გამორჩა, მინიმალური სხვაობით მარცხია 14:15. ღვაბერიძეს არ უთამაშია.

ბესიკ ჯანგავაძე

საფრანგეთი II დივიზიონი. **ოიონაქსი-ტარბი 13:9, პო-მეტრო რასინგი 27:18, მონ დე მარსანი-კოლომიე 19:9, ტულონი-ოში 17:9, ლა როშელი-ლიონი 15:9, ბორდო-გრენობლი 15:14, გაიაკი-ლიმოჟი 28:19, ბეზიე-დაქსი 24:13.**

1. ოში-82 ქულა / 2. ტულონი-68, 3. ბეზიე-64, 4. დაქსი-64, 5. ლა როშელი-64 / 6. ლიონი-60, 7. ოიონაქსი-56, 8. გაიაკი-48, 9. მეტრო რასინგი-46, 10. ბორდო-44, 11. პო-43, 12. ტარბი-42, 13. გრენობლი-42 / 14. მონ დე მარსანი-40, 15. ლიმოჟი-35, 16. კოლომიე-24

ზე-14

კუთხიდან გაიტანა

ზე-14-ის მეხუთე ტურში, როგორც იქნა, შესაშური თამაში აჩვენა "სტორმერსმა", რომელმაც სტუმრად 30:17 დაამარცხა "ჰარიკენზი", თანაც ისე, რომ ოთხი ლელო გაიტანა და პრემიალური ქულაც მიიმატა. ავსტრალიურ დაპირისპირებაში პირველმა სტუმრებმა 16:16 ითამაშეს "ვორათაზთან", აფრიკულმა ხარებმა კი ავსტრალიის დედაქალაქი "დაიპყრეს". დიდებულად აგრძელებენ თამაშს "ლაიონზი" და "ბლუზი". ტურის მთავარი მატჩი კი დურბანში გაიმართა, სადაც ჩემპიონი "კრუსეიდერზი" ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა "შარქსთან", რომელმაც ზე-14 რიხით დაიწყო - ოთხი მოგება ამდენივე თამაშიდან.

დურბანში მატჩის დრო ამოწურული იყო, ზელანდიელები 26:20 იგებდნენ, თუმცა ბურთი თამაშში იყო და "შარქსს" ბოლო შანსი რჩებოდა. მათ თავიანთივე ნახევარზე რამდენიმეფაზიანი შეტევა წამოიწყეს, შემდეგ კი ფორვარდმა **ფენტერმა ეიდი ჯეიკობსი** გააქცია, რომელმაც თავის მხრივ **ოდვა ნდუნგანე** მოძებნა. ნდუნგანეს 45-მეტრიანმა სპრინტმა მოედნის კიდეზე შედეგი გამოიღო. ჯერი გარდასახვაზე მიდგა, აქ კი გამოცდილმა 15 ნომერმა **პერსი მონტგომერიმ** დარტყმა ვერ გარისკა და კუთხიდან დარტყმის შესრულება ახალგაზრდა 9 ნომერს **რუან პინარს** მიანდო. პინარმაც აულელვებლად გაიტანა გამარჯვების მომტანი გარდასახვა - "ზვიგენებმა" 27:26 დაამარცხეს მოქმედი ჩემპიონი. სტუმართა კაპიტნის **კორი ფლინის** კომენტარი მწარე იყო: *"ჩვენ კარგად ვითამაშეთ 80 წუთი. სამწუხაროა, თამაში 82 წუთი გაგრძელდა"*. მატჩს 25 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

საინტერესო ამბები მოხდა ბოლო წუთებზე სიდნეის "ოზი სტედიუმზეც", ოღონდ უცნაური -"ვორათაზი" "ვესტერნ ფორსს" მასპინძლობდა. მატჩის ბოლოს "ვორათაზის" მორაგბეები ერთმანეთს წაეკიდნენ, რადგან **ლოტე ტუქირიმ** აღშფოთება ვერ დამალა თანაგუნდელ **სემ ნორტონ-ნაითის** მიერ დაშვებული ტაქტიკური შეცდომის გამო. მატჩის ბოლო 15 წუთში ქულა გუნდებს არ მოუპოვებიათ. "სტორმერსმა" სტუმრად 10 ნომრის, **პიტერ გრანტის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოულოდნელი გამარჯვება იზეიმა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ზე-14. V ტური

ბლუზი-ჰაილენდერზი 28:9

ბლუზი (ზელ): 2ლ (ტოეავა, ფლეიველი), 2გ, 3ს (მაკალისტერი)

ჰაილენდერზი (ზელ): 3ს (ევანსი)

ვორათაზი-ვესტ. ფორსი 16:16

ვორათაზი (ავს): ლ (ტურინუი), გ, 3ს (ჰიუეტი)

ფორსი (ავს): 2ლ (მიჩელი, გიტო), 2გ (შეპარდი)

ჩიტაზი-ჩიფსი 22:22

ჩიტაზი (აფრ): ლ. (მანგვენი), გ, 5ს. (დევაალი)

ჩიფსი (ზელ): ლ (მასაგა), გ, 5ს. (დონალდი)

ჰარიკენზი-სტორმერსი 17:30

ჰარიკენზი (ზელ): 2ლ (სმიტი, ჯეინი), 2გ (გოპერსი, სტუარტი), ს (გოპერსი)

სტორმერსი (აფრ): 4ლ (დე ვილიერსი, მელკი, უისი, პოლსე), 2გ, 2ს (გრანტი)

ბრამბიზი-ბულზი 7:19

ბრამბიზი (ავს): ლ (ფერბენქსი), გ (ჰაქსლი)

ბულზი (აფრ): ლ. (ფანენბურხი), გ,3ს,ა (პუხაარდი)

რედსი-ლაიონზი 20:26

რედსი (ავს): 2ლ (კუპერი, გენია), 2გ, 2ს. (შიფკოვსკი)

ლაიონზი (აფრ): 2ლ (ფური, ჟუბერი), 2გ, 4ს (როუზი)

შარქსი-კრუსეიდერზი 27:26

შარქსი (აფრ): 3ლ (ფანდენბერჯი, დიუპლესი, ნდუნგანე), 3გ (მონტოგმერი 2, პინარი), 2ს (მონტგომერი)

კრუსეიდერზი (ზელ): 2ლ. (რეიდი, ტუიალიკი), 2გ,3ს,ა (ბრეტი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	პრ	ქ
1. ბლუზი	5	4	0	1	139-85	2	18
2. შარქსი	4	4	0	0	89-54	0	16
3. ლაიონზი	5	4	0	1	87-78	0	16
4. ბულზი	5	3	0	2	103-101	1	13
5. ჰარიკენზი	5	3	0	2	106-119	1	13
6. ფორსი	5	2	1	2	99-79	2	12
7. კრუსეიდ.	5	2	0	3	136-120	4	12
8. ჩიტაზი	5	2	1	2	127-130	2	12
9. ჰაილენდ.	5	2	0	3	74-93	3	11
10. ბრამბიზი	5	2	0	3	59-65	2	10
11. სტორმერსი	5	2	0	3	87-117	2	10
12. ვორათაზი	4	1	1	2	76-84	1	7
13. ჩიფსი	5	0	1	4	112-133	5	7
14. რედსი	5	1	0	4	83-119	2	6

კრივი



მერაბ თურქაძემ ტიტულს ტიტული მიამატა

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

უნოკაუტო ფინალები და ერთი სენსაცია

გლდანში, დუნდუების კრივის დარბაზში დასრულდა მოკრივეთა ახალგაზრდული ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის 117 მოკრივე ასპარეზობდა და მთელმა ტურნირმა საკმაოდ საინტერესოდ, უშელავათო ორთაბრძოლებში ჩაიარა. ამას წინათ ჩატარებული ეროვნული პირველობისგან განსხვავებით, ამჯერად, მსაჯების მიმართ პრეტენზია ნაკლები იყო და, ფაქტობრივად, არავინ დაჩაგრულა. საერთო ჯამში კი, ყველაზე უკეთ გამოვიდნენ ქუთაისელები, რომლებიც შინ 6 ოქროს მედლით დაბრუნდნენ. შეჯიბრების დაძაბულობაზე კი ისიც მეტყველებს, რომ ბოლო დღეს გამართული 11 ორთაბრძოლიდან, უმეტესობა თანაბრად წარიმართა და არცერთი ნოკაუტი არ დაფიქსირებულა.

48 კილოგრამში ყველას აჯობა ეროვნული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა **დავით გასვიანმა**. 51 კილოგრამში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო **მერაბ თურქაძემ**, რომელმაც ახლახან, უფროსებს შორისაც იზეიმა ქვეყნის ჩემპიონობა. ასევე ადვილი საპროგნოზო იყო 54 კილოგრამი წონითი კატეგორია. აქ ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **კახა ლაზარაშვილი** იყო ფავორიტი და ვარიანელმა მოკრივემ უპრობლემოდ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. 57 კილოში **ბექა პაპაშვილი** იყო საუკეთესო, აი, 60 კილოში კი ჩემპიონატის მთავარი სენსაცია ვიხილეთ. საქმე ის არის, რომ ამ წონაში გამოდიოდა ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ამირან ჯანჯღავა**. მან უფროსების ჩემპიონატზე იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ნახევარფინალში, ფაქტობრივად, წაგებული ბრძოლა გადაარჩინა, ხოლო ფინალში, ეროვნული ნაკრების გამოცდილ წევრს, **ვასილ ყაზიშვილს** მთელი ოთხი რაუნდი ტოლ-სწორად ეომა. რასაკვირველია, ახალგაზრდულ ჩემპიონატზე იგი უდავო ფავორიტი იყო, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა ახალქალაქელი **არტიომ კულახსზიანი**. თავის მხრივ, მან უფროსების ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა და ახალგაზრდებში წარმატებაზეც ჰქონდა პრეტენზიები. საბოლოოდ, დაძაბული ნახევარფინალური შეხვედრა კულახსზიანმა ქულებით მოიგო და ჯანჯღავა ოდენ ბრინჯაოს მედალს დააჯერა, თავად კი ოქრო მოიგო. დანარჩენ წონით კატეგორიებში კი სენსაციური არაფერი მომხდარა. **ჯიმშერ ნიკურაძემ** (64 კგ), **რომან თავაძემ** (69), **გაგა ელიაშვილმა** (75), **დავით გოგიშვილმა** (81), **მევლუდ გვეტაძემ** (91) და **მიხეილ ბახტაძემ** (+91) ჩემპიონობა არავის დაუთმეს. აქედან გამოვარჩევდით თავაძეს, რომელმაც შარშან ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში, მსოფლიო ჩემპიონატზე ისპარეზა, ახლა კი ახლგაზრდულ ნაკრებში მოხვედრაზე გააკეთა განაცხადი. ასევე საინტერესო მოკრივეა დავით გოგიშვილი, რომელიც უფროსების საქართველოს ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში მხოლოდ ორი ქულით დამარცხდა მომავალ ჩემპიონ **თორნიკე იველაშვილთან.**

მთლიანობაში, ეს ჩემპიონატი იყო პირველი ნაბიჯი ახალგაზრდული ნაკრების იმ შემადგენლობის დაკომპლექტებაში, რომელიც ზაფხულში ევროპის პირველობაზე იასპარეზებს. ევროპამდე კი გუნდი უკრაინულ და პოლონურ ტურნირებზე გამოვა, რის შემდეგაც, ნაკრები საბოლოო სახეს მიიღებს.

კობა ხატისაშვილი

48 კგ
1. დავით გასვიანი (ფოთი)
2. დავით თელიაშვილი (ვარიანი)
3. ფარიზ ისკანდეროვი (რუსთავი)
3. ლევან ცუცქირიძე (თბილისი

51 კგ
1. მერაბ თურქაძე (ქუთაისი)
2. იური გაგელაია (ფოთი)
3. რაფიკ კულახსზიანი (ახალქალაქი)
3. გიორგი ლვინიაშვილი (ვარიანი)

54 კგ
1. კახა ლაზარაშვილი (ვარიანი)
2. პაატა გვილავა (თბილისი)
3. ემზარ ჟორჟოლაძე (თელავი)
3. ადილ ასლანოვი (თბილისი)

57 კგ
1. ბექა პაპაშვილი (თბილისი)
2. ხაჩიკ ელიზბარიანი (ახალქალაქი)
3. ლაშა მჭედლიშვილი (დუშეთი)
3. მიხეილ ბატიაშვილი (რუსთავი)

60 კგ
1. არტიომ კულახსზიანი (ახალქალაქი)
2. რუდიკ ოგანეზოვი (თბილისი)
3. გუჯა ესიტაშვილი (თელავი)
3. ამირან ჯანჯღავა (რუსთავი)

64 კგ
1. ჯიმშერ ნიკურაძე (ქუთაისი)
2. გიორგი ხუტაშვილი (თბილისი)
3. ამირან გოგიავა (ბათუმი)
3. გიორგი ინაკავაძე (ქუთაისი)

69 კგ
1. რომან თავაძე (ქუთაისი)
2. ირაკლი სასანია (ფოთი)
3. ოთარ ჩხაიძე (ქუთაისი)
3. გუჯა ჯაფარიძე (თბილისი)

75 კგ
1. გაგა ელიაშვილი (ქუთაისი)
2. ამბროსი სუთიძე (ქუთაისი)
3 .ივანე კილასონია (ფოთი)
3. რომა ჯავოევი (თბილისი)

81 კგ
1.დავით გოგიშვილი (ვარიანი)
2. ხვიჩა ქოქუაშვილი (დედოფლისწყარო)
3. ირაკლი ქოროღლიშვილი (გურჯაანი)
3.ოთარ აბრამაშვილი (ზესტაფონი)

91 კგ
1. მევლუდ გვეტაძე (ქუთაისი)
2. ლადო ცაციაშვილი (გორი)
3. გიორგი კილასონია (ფოთი)
3. გიორგი ჯაშიაშვილი (თელავი)

+91 კგ
1. მიხეილ ბახტაძე (ქუთაისი)
2. მიხეილ რატიაშვილი (ზესტაფონი)
3. ბექა ხარანაული (გორი)
3. გიორგი შარაბიძე (თბილისი)

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი. ჩქაროსნული სამთო რბოლა. II ეტაპი

ისევ თავართქილაძე

უკვე ვწერდით, რომ კვირას კუს ტბაზე, II სამთო ეტაპზე ორი ვეტერანი ავტომრბოლის, **ზურაბ ბეჟაშვილის** და სპორტში დაბრუნებული **დავით ნიკლაურის** პაექრობა უნდა შემდგარიყო. ასეც მოხდა, მაგრამ დღის გმირად **ოთარ თავართქილაძე** (სუბარუ იმპრეზა) იქცა. მან ყველაზე სწრაფად, ზუსტად და უშეცდომოდ დაძლია დისტანცია, ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა და საერთო ჩათვლაშიც დაწინაურდა.

17 მონაწილიდან თავართქილაძეს მეტოქეობას უწევდნენ: საკუთარი ნავიგატორი **ლადო კუხიანიძე** (ჰონდა CRX), **არჩილ ბიძინაშვილი** (ჰონდა სივიკი), **გიორგი ოგბაიძე** (ჰონდა სივიკი), **ზურაბ ბეჟაშვილი** (ჰონდა სივიკი), **მამუკა მელაძე** (სიტროენ საქსო).

პირველი ეტაპის მსგავსად, ავტომრბოლეებმა ახლაც საინტერესო პაექრობა გამართეს. "პუბლიკაზეც თამაშობდნენ" ეფექტური მანევრების შესრულებით, მაგრამ მთელი რბოლის მანძილზე იყო ხელისშემშლელი პირობები. რბოლის ორგანიზატორები მაყურებლისგან, რომელთა შორის ბავშვები და მოზარდები ჭარბობდნენ, უსაფრთხო ზონიდან ცოტათი მოშორებას მოითხოვდნენ, ისინი კი ჯიუტად არ იცვლიდნენ ადგილიდან ფეხს. უფრო მეტიც, ავტომრბოლების გამოსვლებს შორის წუთიანი ინტერვალის დროს ტრასაზე დასეირნობდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ პილოტებსაც. საბედნიეროდ, შეჯიბრება უდავიდარაბოდ დასრულდა, თუმცა წინა რბოლაზე უფრო გაჭიანურდა - როგორც ყოველთვის, დათქმულზე გვიან დაიწყეს და გვიან დაასრულეს, თუმცა, გავიმეორებ, ეს მაყურებელთა სიჯიუტის გამო მოხდა.

ორი კვალიფიკაციისა და ორი რბოლის ჯამში პირველობა კვლავ არავის დაუთმო ოთარ თავართქილაძემ. მეორე ადგილზე **არჩილ ბიძინაშვილი** გავიდა. მესამე კი გიორგი ოგბაიძე იყო. ვეტერანები შედეგებით უკმაყოფილონი დარჩნენ, თუმცა ბეჟაშვილიც და ნიკლაურიც ეცდებიან, 25 მარტს, რუსთავის ავტოდრომზე, წრიული რბოლაში აჩვენონ უმაღლესი ოსტატობა.

დავით ჩუბინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰელათბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XV ტური

ორმაგი რბოლა

4 მარტი. ვერის პარკი

დინამო-მაკაბი	**111:113 ო.ჯ.**

24:30, 19:22, 29:30, 28:18, 11:13

დინამო: გულისაბედაშვილი (9 ქ. 6 პ. 3 ჩ. 5 ფ), ბადრიძე (14 ქ. 3 პ), ლაფანაშვილი (23 ქ. 4 პ), სიგუა, მურჯიკნელი (4 ქ), კეშელავა (7 ქ), გვიმრაძე (11 ქ. 5 მ), ნ. ნოზაძე (33 ქ. 8 პ. 3 ჩ), კოლუაშვილი (10 ბ).

მაკაბი: დოლიძე (9 ქ. 5 მ. 4 ჩ. 12 შ), გ. შერმადინი (60 ქ. 17 მ. 7 პ. 8 მ. 2 დ), კორძაძე, კორკოტაძე (14 ქ. 9 პ), ს. შერმადინი (22 ქ. 15 მ. 6 შ), პირველაშვილი (9 ქ. 10 მ. 8 პ), ბარსეგიანი.

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

ავიამშენი-თსუ	**84:91**

28:26, 12:25, 36:16, 8:24

ავიამშენი: დ.ბერიშვილი (13 ქ), ბაბიაშვილი (23 ქ. 12 მ. 4 პ), ხოშტარია (21 ქ. 8 მ. 9 პ), ნიკოლაძე (12 ქ. 6 პ), ი. ბერიშვილი (6 ქ), კეიდია, როდუმტა (7 ქ. 8 მ. 2 დ), სუხიშვილი (2 ქ. 6 მ).

თსუ: არნვიძე (9 ქ. 4 პ), ბ. ბერიშვილი (10 ქ. 5 მ), ფანჩულიძე (2 ქ), ლეჟავა (17 ქ), ვეფხვაძე (5 ქ), შანიძე (12 ქ. 5 მ. 3 პ), მათიაშვილი (12 ქ. 7 მ, 3 დ), ხეცურიანი (14 ქ. 6 მ. 5 პ. 4 ჩ), იმნაძე (8 ქ), მ. ბერიშვილი (2 ქ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. არეშიძე

	თ	მ	ნ	ქ
1. აზოტი	15	14	1	29
2. ავიამშენი	15	12	3	27
3. თსუ	15	10	5	35
4. დინამო	15	4	11	19
5. მაკაბი	15	3	12	18
6. სტუ	15	2	13	17

მომდევნო ტური. 9 მარტი: აზოტი-თსუ; 10 მარტი: სტუ-მაკაბი, ავიამშენი-დინამო

მეცამეტე ტურში **კოტე ტუღუშმა** 45 ქულა ჩააგდო და ამ ჩემპიონატში **გიორგი შერმადინის** რეკორდი ერთით გაუმჯობესა. მეთოთხმეტე ტურში შერმადინმა კოტეს კვლავ გადაასწრო - 52 ქულა.

წინამორბედებს არც მეთხუთმეტე ტური ჩამორჩა - გიორგი შერმადინი 60 ქულამდე ავიდა. რეკორდსმენთა შეჯიბრება თავისთავად საინტერესოა, თუმცა, გუშინ ვერის პარკის საკალათბურთო დარბაზში არანაკლებ თვალსაჩინო რბოლა ვიხილეთ: ჯერ "მაკაბი" მიუახლოვდა გამარჯვებას, მაგრამ "დინამო" დაეწია, თსუ-სა და "ავიამშენის" მატჩში კი 10 და მეტი ქულით ხან ერთი დაწინაურდებოდა, ხან მეორე. ახლა უფრო კონკრეტულად მე-15 ტურის ბოლო ორ შეხვდერაზე.

თბილისის "დინამოს" მწვრთნელმა **ზაზა ცაგარეიშვილმა** კარგად იცოდა, რომ მაკაბელი გიორგი შერმადინის შეჩერება მის მეფარეებს გაუჭირდებოდათ, ამიტომ აქცენტი უკანა ხაზზე გადაიტანა. შესაბამისად მისმა შეგირდებმა მიმდინარე ჩემპიონატისთვის რეკორდულად 57-ჯერ ისროლეს სამქულიანი და 25 (ესეც ყველაზე კარგი შედეგია) მოათავსეს კალათში. ეს მაშინ, როცა მაკაბელებმა 21-დან 9 სამიანი ჩააგდეს. თუმცა მათი მთავარი კოზირი ფარქვეშ მდგარი... უფრო სწორად ფარქვეშ მოძრავი სოსო და გიორგი შერმადინები იყვნენ. მაკაბელთა ჩაგდებული 50 ორქულიანიდან 40 ძმების ანგარიშზე იყო (27 - გიორგის, 13 - სოსოსი).

სწორედ მათი წყალობით **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდები 30 წუთის განმავლობაში დამაჯერებლად თამაშობდნენ და სასურველ სხვაობასაც ინარჩუნებდნენ. მაგრამ მეოთხე ათწუთეულში დინამოელები გამოფხიზლდნენ და **ბადრიძე-ნოზაძის** სამქულიანების წყალობით ანგარიშიც გაათანაბრეს. როცა წამზომმა მეორმოცე წუთის ამოწურვა გვაცნობა, ტაბლოზე მრგვალი ანგარიში ეწერა - 100:100.

ოვერტაიმში გამარჯვების მეტი შანსი "დინამოს" ჰქონდა. თავად განსაჯეთ: სირენამდე 31 წამით ადრე დილმელები 111:110-ს იგებდნენ, როცა საჯარიმოს ხაზზე **ზურაბ ბადრიძე** დადგა, მაგრამ ორივე ტყორცნა ააცილა.

16 წამის შემდეგ უკვე მაკაბელმა **ირაკლი დოლიძემ** სტყორცნა ორი საჯარიმო, მაგრამ ვერც მან ივარგა, სამაგიეროდ ფარიდან ასხლეტილ ბურთს გიორგი შერმადინი დაეუფლა და კალათში ჩააბრუნა, ზედაც ერთი ჯარიმა მიაყოლა და 113:111. დარჩენილ 14 წამში დინამოელებმა თამაშის გადარჩენა ვეღარ მოახერხეს.

"ავიამშენი"-თსუ-ს მატჩში მეოთხედები ერთმანეთისგან ცასა და დედამიწასავით განსხვავდებოდა.

პირველი ათწუთეული თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამოჩნდა, რომ ავიატორები თსუ-ს სისწრაფეში აჰყვნენ, რითაც გულშემატკივარმა მხოლოდ მოიგო.

მეორე მეოთხედი თსუ-სი იყო. მე-15 წუთზე სტუდენტთა დაწინაურებაში "დამნაშავენი" ბერიშვილები იყვნენ - ჯერ **ირაკლი ბერიშვილმა** მიიღო ტექნიკური შენიშვნა (მსაჯთან კამათისთვის), მას ტყუპისცალმა **დათომ** მიბაძა და მესამე, ოღონდ უნივერსიტეტელ ბერიშვილს (**ბუბას**) ზედიზედ ოთხი ტექნიკური ჯარიმის ტყორცნის საშუალება მიეცა - 42:30 თსუ-ს სასარგებლოდ. ამავე მეოთხედში სხვაობამ 15 ქულა შეადგინა (47:32).

მესამე პერიოდში დავით ბერიშვილმა თავისი და ტყუპისცალის შეცდომები სამი ზუსტი სამქულიანით გამოასწორა. მას შორეული ტყორცნით **ზვიად ბაბიაშვილიც** დაეხმარა და 14:0 სპურტის შემდეგ "ავიამშენი" 65:60 დაწინაურდა.

გადამწყვეტი რაუნდის წინ **ირაკლი ხოშტარიამ** ანგარიშს სარკისებური სახე მისცა - 76:67. ამ სარკეში სტუდენტებმა წაგების საშიშროება დაინახეს და თვალები მოიფშვნიტეს. თანაგუნდელთა გამოფხიზლება ახალგაზრდა **ბესიკ ლეჟავამ** იკისრა, რომელიც საბოლოოდ მატჩის გმირადაც მოგვევლინა. მან ზედიზედ ორი სამქულიანით სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა, ხოლო **დავით არნვიძემ** ასევე შორეული სროლით თანაგუნდელები 81:80 დააწინაურა. დარჩენილ ოთხ წუთში ლეჟავამ ჩჭარას ჩაჭრა მიამატა, სამ ქულას ორი ორქულიანი და თსუ-ს "ავიამშენი" დაამარცხებინა.

ტურის მოვლენაც სწორედ სტუდენტთა გამარჯვება იყო. ამ ჩემპიონატში მათ "ავიასთან" და "აზოტთან" გამართული 6 მატჩიდან პირველი სწორედ გუშინ მოიგეს.

ნუგზარისუარიძის ფოტო

თსუ-ავიამშენი. გიორგი ნიკოლაძე (8) ლუკა შანიძე და ლადო სუხიშვილი (ზურგით) ბურთისთვის ბრძოლაში

ტურის მოთამაშე - გიორგი შერმადინი. გამოკითხვაში გიორგის მთავარი კონკურენტი ბესიკ ლეჟავა იყო, მაგრამ თსუ-ს გამარჯვება საბოლოოდ მაინც შერმადინის 60 ქულამ და "მაკაბის" წარმატებამ გადაწონა. გიორგის მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 60 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი, 1 ჩაჭრა, 2 დაფარება, 8 შეცდომა.

ტურის ფრაზა: მაშინ როცა "ავიამშენს" მსაჯებმა ზედიზედ ორი ტექნიკური შენიშვნა მისცეს, ტრიბუნებიდან არბიტრებს ხმამაღლა მიაძახეს - ბარემ ბურთიც თქვენ გესროლათო.

ვაჟა სიმონიშვილი



ატლანტა-ნიუ იორკი. ბურთით ფაჩულია

ქართველები NBA-ში

მშვიდობით, ფლეიოფო!

"ვაშინგტონთან" შეხვედრაში "ატლანტას" მიკროტრავმით ძირითადი ცენტრი **ლორენცენ რაიტი** გამოაკლდა, რამაც მომდევნო შეხვედრაში "ნიუ იორკთან" თავის გამოჩენის შანსი თავიდანვე გამოჩენის **ზაზა ფაჩულიას** მისცა. შედეგი უცვლელი იყო – **მაიკ ვუდსონის** გუნდი ორჯერვე დამარცხდა და ალბათ, საბოლოოდ გამოირიცხა გუნდის ფლეი ოფში გასვლა.

"უიზარდსთან" მატჩში "ატლანტას" მოგებაც შეეძლო, მაგრამ **ანტუან ჯეიმისონმა** საფინალო სირენასთან ერთად **ტაირონ ლიუს** დაუფარა და დედაქალაქელებიც გადარჩნენ.

22 წუთში საქართველოს ნაკრების ლიდერმა თამაშიდან 6-დან მხოლოდ 2 ტყორცნა შეასრულა ზუსტად და საერთოდ, ეს მისი საუკეთესო შეხვედრა ნამდვილად არ ყოფილა. **ბრენდან ჰეივუდის** (23 წუთში 10-დან 6 ზუსტი სროლა და ერთადერთი შეცდომა) წინააღმდეგ ორთაბრძოლაში ფაჩულიამ ოდნავ გაიარესა პირადი სტატისტიკური მონაგარი.

რაც შეეხება "ნიქსთან" დაპირისპირებას, ჯორჯიელებს წირვა ოპონენტის ორმა გამოცდილმა უკანახაზელმა, **სტეფონ მარბერიმ** და **სტივ ფრენსისმა** გამოუყვანა. ერთიცა და მეორეც კარიერის დღმსვლას განიცდის, მაგრამ კვირაში ერთხელ ორივეს ძალუძს, ძველ, ანუ მალალ დონეზე თამაში. დამატებით დროში სტეფონმა და "სტივი უანდერმა" (ანუ ფრენსისმა) თავისი გუნდის 17-ვე ქულა (მარბერი-11, ფრენსისი-6) მოიმკეს, "ჰოქში" კი პასუხის გაცემა არავინ აღმოჩნდა.

ზაზას არა უშავდა. წინა მატჩთან შედარებით იგი უკეთ კი გამოიყურებოდა, მაგრამ ძალიან დიდ დროში ჩვენს თანამემამულეს მაინც ოდნავ უკეთ უნდა ეთამაშა. ფაჩულიამ შესანიშნავად შეასრულა "ცოცხალი" სროლები, 4-დან მხოლოდ 1 ტყორცნა ვერ გამოიყენა და ასევე ერთადერთი სროლა ვერ შეასრულა ზუსტად საჯარიმოს ხაზიდან (6-ში 5).

მასპინძლები მესამე მეოთხედში 15 ქულასაც კი იგებდნენ, მაგრამ როგორც ამ რეგულარულში არაერთხელ მომხდარა, "ჰოქსმა" უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. "ნიქსს" ძირითად დროშივე შეეძლო მოგება, მაგრამ მარბერიმ (ვინც 14-დან 6 სამქულიანი გამოიყენა) შესვლისას იოლი სროლა ვერ აქცია ორ ქულად.

"ჰოქსი" ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა, **ჯოშ სმიტმა** კი ერთი რეკორდი დაამყარა. ლისტორიაში იგი გახდა ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე (21 წელი, 88 დღე), რომელსაც 500 დაფარება დაუგროვდა.

ზურაბ თალაკვაძე

2 მარტი

ვაშინგტონი-ატლანტა	**93:92**

25:24, 22:21, 27:22, 19:25

ატლანტა: ჯოშ სმიტი (43 წთ. 24 ქ. 14 მ. 7 დ. 2 ჩ. 2 პ), მერვინ უილიამსი (38 წთ. 21 ქ. 6 მ. 1 პ. 1 ჩ), ჯ. ჯონსონი (42 წთ. 20 ქ. 6 პ. 4 მ. 1 ჩ), კლექსტონი (19 წთ. 2 ქ. 5 პ. 2 ჩ), ლ. რაიტი (8 წთ. უქულოდ, 1 ჩ) - ჩილდრესი (30 წთ. 16 ქ. 8 მ. 2 პ. 1 დ), **ზაზა ფაჩულია (22 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 1 ფოლი)**, ე. ჯონსონი (6 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ), ლიუ (22 წთ. უქულოდ, 1 მ), შელდენ უილიამსი (5 წთ. უქულოდ, 1 მ).

I მეოთხედი

07:01	ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
05:33	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
05:22	ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (13:9)
04:38	შეცდომა: 1 (კ. ბატლერმა ჩაუჭრა)
04:02	მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
03:11	ფაჩულიაზე ჰეივუდი დავბარიმდა
03:11	საჯარიმოები: 2/1 (3 ქ. 16:15)
02:04	ფაჩულიაზე კ. ბატლერი დავბარიმდა
02:04	საჯარიმოები: 2/2 (5 ქ. 21:19)
01:26	ორქულიანი: ჰეივუდმა დაუფარა
01:23	მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
01:22	პასი: 1 (ჩილდრესი, 2 ქ. 23:19)
00:50	ფოლი: 2 (შეტ.ევაში)
00:50	შეცდომა: 2 (ფოლი შეტ.ევაში)

II მეოთხედი

11:29	ფოლი: 3 (შეტ.ევაში)
11:29	შეცდომა: 3 (ფოლი შეტ.ევაში)
11:02	ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა
06:02	ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
01:26	ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

III მეოთხედი

10:52	ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
10:35	ჩაჭრა: 1 (კ. ბატლერს ჩაუჭრა)
08:51	მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2)
08:36	ფოლი: 3 (ჰეივუდზე დავბარიმდა)
08:08	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:56	მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3)
07:39	მოხსნა: 5 (შეტ: 1, დაც: 4)
05:57	მოხსნა: 6 (შეტ: 1, დაც: 5)
05:10	პასი 2 (ჯ. ჯონსონი, 2 ქ. 58:63)
04:16	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
03:49	მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5)
03:46	ორქულიანი ტყორცნა: 7 ქ (63:66)
02:49	ფაჩულიაზე ჯეიმისონი დავბარიმდა
02:49	საჯარიმოები: 2/2 (9 ქ. 65:68)
02:05	შეცდომა: 4 (გარბერი)
01:16	ფოლი: 4 (ე. ტომპსზე დავბარიმდა)
01:16	ფაჩულია ლ. რაიტმა შეცვალა

3 მარტი

ატლანტა-ნიუ იორკი	**100:104 ო.ჯ.**

31:15, 18:22, 22:25, 16:25, 13:17

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (49 წთ. 32 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), ჯოშ სმიტი (44 წთ. 20 ქ. 11 მ. 6 პ. 3 დ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (29 წთ. 14 ქ. 2 მ), **ზაზა ფაჩულია (40 წუთი, 12 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 შეცდომა, 4 ფოლი)**, კლექსტონი (15 წთ. უქულოდ, 1 მ. 1 პ) - ჩილდრესი (41 წთ. 14 ქ. 10 მ. 3 პ. 1 ჩ. 1 დ), ლიუ (22 წთ. 5 ქ. 1 პ. 1 ჩ), ე. ჯონსონი (17 წთ. 3 ქ. შელდენ უილიამსი (5 წთ. 1 მ. 1 პ), უქულოდ, 2 მ, ს. სტაუდმაიერი.

I მეოთხედი

09:52	მოხსნა: 1 (შეტ: 0, დაც: 1)
09:34	ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (4:4)
08:51	მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
08:33	შეცდომა: 1 (ჰეივუდმა ჩაუჭრა)
08:11	ჩაჭრა: 1 (კარის ჩაუჭრა)
07:57	ფოლი: 1 (კარიზე დავბარიმდა)
07:32	ჩაჭრა: 2 (ჯ. ჯეიმსს ჩაუჭრა)
07:31	ფაჩულიაზე ჯ. ჯეიმსი დავბარიმდა
07:31	საჯარიმოები: 2/1 (3 ქ. 7:7)
06:08	დაფარება: 1 (გარბერის დაუფარა)
02:29	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
02:09	მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2)

II მეოთხედი

10:02	ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა
04:30	ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
03:49	ფოლი: 2 (კარიზე დავბარიმდა)
03:11	ორქულიანი ტყორცნა: 5 ქ (44:36)
00:49	ფოლი: 3 (გარბერიზე დავბარიმდა)
00:49	ფაჩულია ჩილდრესმა შეცვალა

III მეოთხედი

12:00	ფაჩულიამ ჩილდრესი შეცვალა
08:49	ფაჩულიაზე კარი დავბარიმდა
08:49	საჯარიმოები: 2/2 (7 ქ. 57:47)
07:55	მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3)
07:49	მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3)
06:03	მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4)
03:12	მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5)
01:47	შეცდომა: 2 (გარბერიმ ჩაუჭრა)
01:45	ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა

IV მეოთხედი

07:25	ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა
06:14	პასი: 1 (ჯ. ჯონსონი, 3 ქ. 78:75)
05:31	ორქულიანი ტყორცნა: 9 ქ (80:78)
05:31	ფაჩულიაზე ბალკმენი დავბარიმდა
05:31	საჯარიმო: 10 ქ (81:78)
04:54	შეცდომა: 3 (ჰეივუდმა ჩაუჭრა)

ოვერტაიმი

04:10	მოხსნა: 8 (შეტ: 2, დაც: 6)
02:27	ფოლი: 4 (ფრენსისზე დავბარიმდა)
01:45	ფაჩულიაზე კარი დავბარიმდა
01:45	საჯარიმოები: 2/2 (12 ქ. 95:101)
00:16	მოხსნა: 9 (შეტ: 2, დაც: 7)
00:16	ფაჩულია ს. სტაუდმაიერმა შეცვალა

ატლანტა ჰოქსი: 60 მატჩი, 22 მოგება, 38 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-13 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** მაიამი – ატლანტა (5 მარტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

ტურნირების მიმოხილვა

ფედერერი ახალ რეკორდს უმიზნებს



როჯერ ფედერერი

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დუბაის ტურნირის მეოთხედ მოგების შემდეგ, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** კიდევ ერთ ფენომენალურ რეკორდს მიუახლოვდა. ფინალში **მიხაილ იუჟნის** დამარცხების შემდეგ, ფედერერმა ზედიზედ მოგებათა რიცხვი 41-მდე აიყვანა და ახლა აბსოლუტური რეკორდის გამეორებამდე 5 გამარჯვებაღა აკლია. რეკორდი არგენტინელ **გილერმო ვილასს** ეკუთვნის, რომელმაც 1977 წელს, ზედიზედ 46 შეხვედრა მოიგო. ამ სიაში როჯერზე წინ კიდევ ორი ჩოგბურთელია - ჩეხი **ივან ლენდლი** (44 მოგება, 1981-82) და ამერიკელი **ჯონ მაკინრო** (42, 1984).

ფედერერმა ATP-ის ტურზე უკანასკნელად გასული წლის აგვისტოში (!) წააგო - მაშინ ის ცინცინატის მასტერსზე ბრიტანელ **ენდი მიურეისთან** დამარცხდა.

მიუხედავად იმისა, რომ დუბაიში შვეიცარიელმა ორი სეტი წააგო, ის მაინც უკონკურენციოდ იყო. როჯერს ყველაზე დიდი გამოცდა ნახევარფინალში გერმანელ **ტომი ჰაასთან** მატჩში ელოდა. ჰაასს იმ შეხვედრამდე ზედიზედ 18 მატჩი ჰქონდა მოგებული, ნახევარფინალში კი, სეტბოლიც კი ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ორ პარტიაში მოუწია დანებება.

პროგრესის გზაზე იდგა ფედერერის მეტოქე ფინალში - რუსი მიხაილ იუჟნი, რომელმაც წინა კვირას როტერდამის ტურნირი მოიგო, დუბაიში კი, **რაფაელ ნადალი** დაამარცხა და ფინალსაც უწია. მაგრამ მატჩამდე ცხადი იყო, რომ ის კონკურენციას ვერ გაუწევდა შვეიცარიელს. ამაზე ერთი მარტივი სტატისტიკაც მეტყველებდა - იუჟნის ძლევამოსილ მეტოქესთან 8-დან 8 მატჩი ჰქონდა წაგებული.

სასწაული არ მოხდა, არადა, იუჟნისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. პირველი სეტის პირველივე გეიმში მან ბრეიკი გააკეთა, მაგრამ რუსის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა - მეოთხე გეიმში ფედერერმა ვალი დაიბრუნა, მერვეში კი, მეორედ მოიგო მეტოქის მოწოდება და პირველი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორეში იუჟნიმ სწრაფად წააგო თავისი მოწოდება და მაშინვე შეეგუა თავის ხვედრს. რუსის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მატჩის ბოლოს, მან მაინც გაიბრძოლა, ხუთი მატჩპოინტი მოიგერია, მაგრამ მეექვსე ცდაზე გათამაშება წააგო და ისლა დარჩენოდა, ფედერერისთვის გამარჯვება მოელოცა.

■ ■ ■

ამასობაში, ქალთა ტურში ლიდერობას იბრუნებს **ჟუსტინ ანენი**. ქმარსგაცილებული ბელგიელი კარგ ფორმაში შევიდა და ორი კვირის განმავლობაში ზედიზედ ორი ტიტული მოიპოვა. წინა შაბათს, ანენმა დუბაიში იმარჯვა, ამჯერად კი, დოჰაში რუსების დომინაცია დაარღვია. საქმე ისაა, რომ 2003 წლიდან კატარის დედაქალაქში მხოლოდ რუსები იმარჯვებდნენ - ორჯერ აქ ჩემპიონი **ნასტია მისკინა** გახდა, თითოჯერ მთავარ პრიზს კი, **მარია შარაპოვა** და **ნადია პეტროვა** დაეუფლნენ.

რუსებს ამ სერიის გაგრძელების შანსი ჰქონდათ, მაგრამ **სვეტლანა კუზნეცოვას** ანენის კომპლექსი გამოუმუშავდა. დუბაიში ბელგიელმა კუზნეცოვა ნახევარფინალში დაამარცხა, ამჯერად კი, ფინალში დატოვა უშანსოდ.

"ჩემი მარცხის მიზეზი ფსიქოლოგიის სფეროში უნდა ვეძებოთ. სხვა მეტოქეებთან თავს შესანიშნავად ვგრძნობ, მაგრამ როგორც კი კორტზე ანენის წინაალმდეგ გავდივარ, სულ სხვა ადამიანი ვხდები. თუ მისი დამარცხება მსურს, ჩემს გონებას რაღაც უნდა მოვუხერხო", - ამბობს კუზნეცოვა, რომელიც ბელგიელთან ურთიერთშეხვედრებში 1:14 აგებს.

არადა, ფინალი რუსისთვის კარგად დაიწყო. პირველ სეტში კუზნეცოვა 4:2 დაწინაურდა და შემდეგ... ზედიზედ 4 გეიმი წააგო. მეორე პარტიაში ანენი თავს უფრო დამაჯერებლად გრძნობდა და ორი ბრეიკის წყალობით, სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

■ ■ ■

საპრიზო ფონდის მიხედვით შედარებით ნაკლებად პრესტიჟული ტურნირები გაიმართა მექსიკის ქალაქ აკაპულკოში.

მამაკაცთა შეჯიბრი არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელას** ტრიუმფით დასრულდა, რომელმაც ფინალში მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ესპანელი **კარლოს მოია** დაამარცხა.

ჩელასთვის აკაპულკოს ტურნირი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია. მან აქ უკვე მეორედ იმარჯვა (პირველად 2000 წელს), შარშან კი, ფინალში პერუელ **ლუის ორნასთან** წააგო. სულ კი, ჩელამ კარიერაში მეოთხე ტურნირი მოიგო და ჰონორარის სახით 156 550 დოლარი მიითვალა.

აკაპულკოში ქალებიც თამაშობდნენ. ტურნირი ნაკლებად წარმომადგენლობითი იყო და მასში პირველობა განუთესელმა ფრანგმა **ემილი ლუამ** მოიპოვა. ეს მის კარიერაში მესამე ტიტულია.

ATP

დუბაის ჩემპიონატი

დუბაი (საემიროები). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 401 250 დოლარი

1/2 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-ტომი ჰაასი (გერ, 5) 6:4, 7:5; **მიხაილ იუჟნი (რუს)**-რობინ სიოდერლინგი (შვედ) 7:5, 6:2.

ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:4, 6:3.

აბიერტო მექსიკანო

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 757 000 დოლარი

1/2 ფინალი

კარლოს მოია (ესპ, 8)-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 1) 2:6, 6:2, 6:3; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)**-აგუსტინ კალერი (არგ, 2) 4:6, 5:5 კალერის უარი.

ფინალი

ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 4)-კარლოს მოია (ესპ, 8) 6:3, 7:6 (2).

ტენის ჩემპიონის ლიგა

ლას ვეგასი (აშშ). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 416 00 დოლარი

1/4 ფინალი

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2)-ფელისიანო ლოპესი (ესპ) 6:3, 6:2; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 4)**-იან ჰერნიჩი (ჩეხ) 6:3, 3:6, 6:3; **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-სემ კერი (აშშ) 6:4, 6:4; **მარატ საფინი (რუს, 3)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ) 6:1, 6:4.

1/2 ფინალი

ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 2)-მარატ საფინი (რუს, 3) 7:5, 6:1; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 4)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 6:7 (4), 6:2, 7:6 (4).

WTA

კატარის ღია

დოჰა (კატარი). ჰარდი

საპრიზო ფონდი: 1 340 000 დოლარი

1/2 ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-ელენა იანკოვიჩი (სერ, 4) 6:7 (5), 6:2, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 6) 6:4, 6:2.

ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2) 6:4, 6:2.

აბიერტო მექსიკანო

აკაპულკო (მექსიკა). თიხნარი

საპრიზო ფონდი: 180 000 დოლარი

1/2 ფინალი

ემილი ლუა (საფ)-ჯულია შრუფი (გერ) 0:6, 6:2, 6:1; **ფლავია პენეტა (იტა, 5)**-სარა ერანი (იტა) 6:2, 6:4.

ფინალი

ემილი ლუა (საფ)-ფლავია პენეტა (იტა, 5) 7:6 (0), 6:4.

ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

2 მარტი

კაროლინა-პიტსბურგი 3:2

0:1, 2:1, 1:0

გოლები: 0:1 კროსბი-27 (ჯ. სტაალი-8, სკუდერი-9), 1:1 ს. უოკერი-18 (ვალინი-6, ვაშიჩეკი-11), 2:1 ფ. კაბერლე-2 (ჯასტინ უილიამსი-28, ლედი-5), 2:2 მელოუნი-13 (კ. არმსტრონგი-18, ტელბოტი-9), 3:2 ს. უოკერი-19 (სტილმანი-16, კომოდორე-19).

ნიუ ჯერსი-ტორონტო 3:4 (ბ)

0:0, 2:0, 1:3, 0:0

გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-22 (რაფალსკი-36, ელიაში-40), 2:0 პანდოლფო-10 (კ. უაიტი-7, რასმუსენი-4), 2:1 კოლაიაკოვი-5 (სტინი-18, ვოზნიევსკი-2), 2:2 ანტროპოვი-11 (ი. უაიტი-20, სუნდინი-33), 2:3 სტაიანი-10 (გილი-11, დევეერო-9), 3:3 ბრილინი-13 (მადენი-18).

ბულიტები გაიტანეს: პარიზე (ნიუ ჯერსი), პერო (ტორონტო), სტინი (ტორონტო), ლანგენბრუნერი (ნიუ ჯერსი), ო'ნილი (ტორონტო).

ატლანტა-ოტავა 4:2

1:1, 0:1, 3:0

გოლები: 1:0 ბელანჟე-12 (მარიან ჰოსა-45), 1:1 ჰიტლი-39 (რედენი-23), 1:2 ჰიტლი-40 (რედენი-24, სპეცა-39), 2:2 ბელანჟე-13 (სატონი-11), 3:2 ვიაჩ. კოზლოვი-21 (მარიან ჰოსა-46, დე ვრისი-19), 4:2 დუპუი-12 (ლარსენი-4, კიტნიკი-21).

დალასი-კოლამბუსი 2:3 (ბ)

0:1, 2:1, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 მალორტა-7 (ჩიმერა-15, ბრული-8), 0:2 ფიოდოროვი-17 (მეტოტი-1, მოდინი-16), 1:1 სიდორი-5 (რიბეირო-33, რობიდასი-16), 2:2 მოდანო-12 (ი. იოკინენი-24, სიდორი-13).

ბულიტები გაიტანეს: ჩიმერა (კოლამბუსი).

დეტროიტი-ჩიკაგო 6:2

2:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 ლანგი-15 (ლიდსტრიომი-46, კალდერი-14), 2:0 შნაიდერი-10 (ლანგი-23, კრონვალი-18), 3:0 ფილპულა-7 (დაციუკი-47), 4:0 ჰუდლერი-10 (დაციუკი-48, ლიდსტრიომი-47), 4:1 ჯეისონ უილიამსი-12, 5:1 ლიდსტრიომი-11 (ლანგი-24, დაციუკი-49), 5:2 ჯეისონ უილიამსი-13, 6:2 ფრანცენი-9 (ლანგი-25, ლებდა-11).

ბაფალო-მონრეალი 8:5

2:0, 3:4, 3:1

გოლები: 1:0 კალინინი-5 (პომინვილი-25, ჰეხტი-25), 2:0 რაიანი-1 (მეირი-5, ბ. კემპბელი-31), 3:0 ტ. ნუმინენი-2 (დ. რუა-33, ჰეხტი-26), 3:1 რაიდერი-22 (პლეკანეცი-21, სურეი-32), 4:1 რაიანი-2 (ჰეხტი-27, ტ. ნუმინენი-22), 4:2 ბონკი-11 (მ. ჯონსონი-18, კასტსიცინი-2), 4:3 შრტაიტი-8 (კომისარეკი-10, ბიგინი-4), 5:3 დ. რუა-13 (ტ. ნუმინენი-23, პომინვილი-26), 5:4 პლეკანეცი-15 (კასტსიცინი-3, კოვალიოვი-27), 6:4 ვანეკი-33 (დ. რუა-34, ლიდმანი-16), 6:5 პლეკანეცი-16 (ბუიონი-7, შტრაიტი-21), 7:5 სტეფორდი-5 (ბ. კემპბელი-32, დ. რუა-35), 8:5 ვანეკი-34 (სტეფორდი-8, ლიდმანი-17).

ანაჰაიმი-სან ხოსე 3:1

2:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 პენერი-23 (გეტცლაფი-21, ტ. სელიანე-39), 2:0 კუნიტცი-22 (ე. მაკდონალდი-41), 2:1 რივე-7 (მ. კარლი-22, ჯ. ტორნტონი-66), 3:1 პრონგერი-11 (პერი-19, ე. მაკდონალდი-42).

3 მარტი

რეინჯერსი-სენტ ლუისი 3:2 (ბ)

0:2, 0:0, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 ბოიესი-14 (ჩაიანეკი-28), 0:2 დვორაკი-8 (მაიერსი-10, მეტროპოლიტი-17), 1:2 რახუნეკი-5 (მარა-16, იმონენი-5), 2:2 ეგერი-12 (რახუნეკი-19).

ბულიტები გაიტანეს: ნიულანდერი (რეინჯერსი), სტემპნიაკი (სტ. ლუისი), უეიტი (სტ. ლუისი), იაგრი (რეინჯერსი), მარსელ ჰოსა (რეინჯერსი).

ლოს ანჯელესი-ნეშვილი 3:6

0:1, 2:1, 1:4

გოლები: 0:1 შ. უებერი-12 (დუმონი-36, რადულოვი-15), 1:1 ლუნდმარკი-4 (კოსტოპულოსი-11, დალმანი-8), 1:2 შ. უებერი-13, 2:2 კამალერი-26 (რ. ბლეიკი-16, დ. არმსტრონგი-31), 3:2 კამალერი-27 (დ. ბრაუნი-20, რ. ბლეიკი-17), 3:3 კარია-21 (ფორსბერგი-32, ჟიდლიცკი-25), 3:4 ჟიდლიცკი-4 (კ. ტიმონენი-36, ფორსბერგი-33), 3:5 დუმონი-17 (შ. უებერი-21, ფიდლერი-10), 3:6 კარია-22 (ერატი-39, ფორსბერგი-34).

ბოსტონი-მონრეალი 3:1

0:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 ტენკრატი-7 (მტურმი-15), 2:0 ბოჩენსკი-9 (კესელი-11), 2:1 სურეი-23 (სამსონოვი-17, შტრაიტი-22), 3:1 გ. მიურეი-28 (სავარი-63, კესელი-12).

ტორონტო-ბაფალო 1:3

0:0, 0:2, 1:1

გოლები: 0:1 ლიდმანი-2 (ტალინდერი-6, მანკარი-1), 0:2 სტეფორდი-6 (ბ. კემპბელი-33, ჰეხტი-28), 0:3 ნ. პაეტში-1 (ბრიერი-51, პომინვილი-27), 1:3 ანტროპოვი-12 (სუნდინი-34, პონიკაროვსკი-19).

ვაშინგტონი-აილენდერსი 2:6

0:2, 0:2, 2:2

გოლები: 0:1 სილინჯერი-22 (პოტი-23, მ-ა. ბერჟერონი-21), 0:2 შატანი-22 (მ. პილი-23, ჯ. ბლეიკი-26), 0:3 მ-ა. ბერჟერონი-10 (პოტი-24, ვიქ. კოზლოვი-22), 0:4 საიმონი-9 (ეშემი-8, პარკი-13), 0:5 შატანი-23 (ზედნიკი-13, ვიქ. კოზლოვი-23), 1:5 პოტიე-2, 2:5 სატერბი-7 (იურჩინა-4), 2:6 რ. სმიტი-32 (რ. რობიტაილი-23, მ-ა. ბერჟერონი-22).

ფინიქსი-კოლამბუსი 3:4

1:1, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 ნეში-20 (ვიბორნი-40, პლატი-1), 1:1 დოენი-22 (ბალარდი-15, რაინპრეხტი-15), 2:1 ბალარდი-5, 2:2 ჩიმერა-13 (მალორტა-13, ბრული-9), 2:3 მოდინი-16 (ნეში-23, კლესლა-9), 2:4 ნეში-21 (ვიბორნი-41, პლატი-2), 3:4 ტეფი-1 (ბ. ტომასი-2, ლეუ-2).

ფლორიდა-ტამპა ბეი 6:2

2:0, 2:1, 2:1

გოლები: 1:0 ჰორტონი-23 (გელინასი-24), 2:0 ო. იოკინენი-30 (მტუმპელი-29, ოლეში-16), 2:1 პრატი-1 (სენტ ლუისი-50, ლეკავალიე-46), 3:1 უეისი-15 (ბ. ალენი-16), 4:1 უეისი-16 (გელინასი-25, სემიონოვი-3), 5:1 პელტონენი-12 (ბულიტი), 6:1 ჰორტონი-24 (სემიონოვი-4, ბოუმისტერი-23), 6:2 პროსპალი-11 (პერენი-19, ბოილი-38).

ედმონტონი-კალგარი 2:4

1:2, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 მოსი-8 (ჰუსელიუსი-34), 1:1 პიზანი-13 (ჰუიო-4, პეტერსენი-6), 1:2 იელი-7 (ტანგეი-46, გოდარი-1), 2:2 პიზანი-14 (ჰუიო-5, ლუპული-10), 2:3 ლენგკოუ-27 (ჰუსელიუსი-35, ფანოფი-26), 2:4 იგინლა-31 (ტანგეი-47, ჰამრლიკი-24).

სხვადასხვა

ჰოკეი

კროსბი გრეტცკის გრაფიკს უსწრებს

"პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერი **სიდნი კროსბი** NHL-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტი გახდა, ვინც კარიერაში 200-ქულიან ზღვარს მიაღწია. შაბათს, "კაროლინასთან" მატჩში გატანილი გოლის შემდეგ, წლევანდელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირმა, 19 წლისა და 207 დღის ასაკში თავისი მონაგარი ზუსტად 200 ქულამდე აიყვანა.

აქამდე ეს რეკორდი ლეგენდარულ **უეინ გრეტცკის** ეკუთვნოდა, რომელიც 1980-81 იყო დამყარებული. მაშინ გრეტცკი 19 წლის და 347 დღის იყო, როცა აქტივში მე-200 ქულა ჩაიწერა.

ლიდსტრიომის 200 შაიბა

შაბათს, "ჩიკაგო ბლეკჰოქსთან" მატჩში, "დეტროიტ რედ უინგზის" შვედმა მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა** საიუბილეო გოლი გატანა.

იმ შეხვედრაში ვეტერანმა ჰოკეისტმა სამი ქულა დააგროვა, ხოლო მის მიერ შეგდებული შაიბა მე-200 აღმოჩნდა ბრწყინვალე კარიერაში. მატჩი "დეტროიტმა" 6:2 მოიგო.

თვის მოთამაშეები

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ თებერვლის საუკეთესო ჰოკეისტები გამოავლინა. გასული თვის ლაურეატები გახდნენ - "ნიუ იორკ აილენდერსის" მეკარე **რიკ დიპიეტრო**, "ნიუ ჯერსი დევილზის" კარის დარაჯი **მარტინ ბროდო** და "დეტროიტ რედ უინგზის" ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი**.

დიპიეტრომ თებერვალში ზედიზედ 12 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ის საშუალოდ შეხვედრაში 2.19 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 92.6 პროცენტს იგერიებდა. მარტინ ბროდოს ანალოგიური მაჩვენებელი - 2.22 შაიბა და 91.9 პროცენტი იყო. რაც მთავარია, გასულ თვეში "ნიუ ჯერსის" მეკარემ სეზონში "მშრალი მატჩების" რიცხვი 12-მდე აიყვანა, რაც ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელია.

რაც შეეხება ჰენრიკ ზეტერბერგს, ის თებერვლის თვის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. შვედმა ფორვარდმა 25 ქულის (13 გოლი+12 შედეგიანი პასი) მოგროვება შეძლო.

სხვათა შორის, ზეტერბერგი რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში დაშავდა. მან ზურგის ტრავმა მიიღო და დაახლოებით 2-3 კვირა ვერ შეძლებს თამაშს.

კაბერლე ყინულიდან საკაცით გაიტანეს

"ნიუ ჯერსისა" და "ტორონტოს" მატჩში, "ეშმაკების" "პოლიციელმა" - **კემ იანსენმა** უხეშად ითამაშა "მეიპლ ლივზის" ჩეხი ფორვარდის **ტომაშ კაბერლეს** წინააღმდეგ. იანსენმა მეტოქე ბარიერს მიანარცხა, რის შემდეგაც, კაბერლე რამდენიმე წუთი ყინულზე გაუნძრევლად იწვა, შემდეგ კი, პარტნიორების დახმარებით წამოჯდომა შეძლო.

"ტორონტოს" მედპერსონალმა ჩეხ თავდამსხმელს ყელზე ფიქსატორი დაადო და საკაცით მოედნიდან გაიყვანა. როგორც ვარაუდობენ მისი ტრავმა სერიოზულია.

ლეკლერმა სეზონი დაასრულა

"კოლამბუს ბლუ ჯეკეტსმა" მთელი სეზონით დაკარგა მეკარე **პასკალ ლეკლერი**. ამ ჰოკეისტმა მუხლის ტარვმა მიიღო.

ლეკლერი, რომელიც ერთი კვირის წინ მოხვდა ტრავმირებულთა სიაში, დეკემბრიდან ებრძოდა ამ ტრავმას. მან 28 დეკემბერს დაზიანებულ მუხლზე ოპერაციაც კი გაიკეთა და 20 მატჩი გამოტოვა. შემდეგ სამ შეხვედრაში გამოჩნდა ყინულზე, მაგრამ ისევ ტრავმა მიიღო და ახლა მწყობრში ჩასადგომად ხანგრძლივი მკურნალობა მოუწევს.

რეგულარული ლონდონში დაიწყება

საბოლოოდ გაირკვა, რომ NHL-ის ორი კლუბი - "ლოს ანჯელეს კინგზი" და "ანაჰაიმ დაქსი" 2007-08 წლების სეზონს 29-30 სექტემბერს, ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში გახსნიან.

ორი შეხვედრა O2 Arena-ზე გაიმართება, რომელიც "ლოს ანჯელესის" მფლობელის - Anschutz Entertainment Group-ის მიერ არის აშენებული.

"ჩვენ დღეს, როგორც არასდროს, ვალდებულნი ვართ ჰოკეის პოპულარიზაციაზე ვიზრუნოთ. ჰოკეის ეროვნული ლიგა ძალიან ამაყია იმით, რომ ლონდონში ამ ორ შესანიშნავ გუნდს მიავლენს", - აცხადებს NHL-ის კომისრის მოადგილე **ბილ დეილი**.

გარდა ამისა, გაირკვა, რომ "ლოს ანჯელესი" ახალი სეზონისთვის საწვრთნელ შეკრებას, თითქმის მთლიანად ევროპაში გაივლის. მზადების ციკლში გათვალისწინებულია საჩვენებელ ტურნირში მონაწილეობა, რომელშიც "კინგზის" გარდა ავსტრიის, შვედეთისა და შვეიცარიის კლუბები ითამაშებენ. ეს ტურნირი ავსტრიის ქალაქ ზალცბურგში 25-26 თებერვალს გაიმართება.

ცურვა

კლოჩკოვა მელბურნში არ წავა

მარტში, ავსტრალიის ქალაქ მელბურნში, სტარტს აიღებს მსოფლიოს მე-12 ჩემპიონატი სპორტის საწყლოსნო სახეობებში.

გუშინ გაირკვა, რომ წლის ერთ-ერთ მთავარ სპორტულ ფორუმს ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უკრაინელი მოცურავე **იანა კლოჩკოვა** დააკლდება.

"კლოჩკოვა ავსტრალიაში ვერ გაემგზავრება. ის ემზადებოდა მსოფლიო პირველობისთვის, მაგრამ მოულოდნელად გრიპის ვირუსი შეეყარა. ექიმებთან კონსულტაციების შედეგად, გადავწყვიტეთ, რომ იანა ნაკრებში არ შევიყვანოთ, რადგან ის მზად არ არის ხანგრძლივი ფრენისთვის", - ამბობს უკრაინის ცურვის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

ოლიმპიზმი

ჩიკაგოელები ჩიკაგო 2016-ს ეხმარებიან

ცნობილია, რომ ქალაქი ჩიკაგო ამერიკის მხრიდან 2016 წლის ოლიმპიური თამაშობის მასპინძლობაზე აცხადებს პრეტენზიას. ამავე ქვეყანაში მის კონკურენტი ლოს ანჯელესია. სწორედ ამ ორ ქალაქს შორის გაირკვევა, თუ რომელი მათგანი შეიტანს აშშ-დან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადს.

"ჩიკაგო 2016-ის" საორგანიზაციო კომიტეტმა მასშტაბური აქცია მოაწყო და ქალაქის მოსახლეობაში 9.4 მილიონი დოლარი შეაგროვა. ამ ერთგვარ ქველმოქმედებაში მონაწილეობა ჩიკაგოს დაახლოებით 2 ათასმა მაცხოვრებელმა მიიღო.

საბოლოოდ, ეს თანხა დაახლოებით სამჯერ აღემატება აშშ-ის ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადის შეტანისთვის აუცილებელ თანხას.

მძლეოსნობა

ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატი

კლუფტი ისევ მიუწვდომელია

ტია ჰელებაუტის ოქროს ნახტომი

ბირმინგემში მიმდინარეობს ევროპის (ჭერქვეშა) ჩემპიონატი მძლეოსნობაში. ტურნირის პირველ დღეს მედლების მხოლოდ ოთხი კომპლექტი გათამაშდა, რომელთაგან ორი შვედებმა მოიგეს, თითო კი - სლოვაკმა და ჰოლანდიელმა მძლეოსნებმა.

შვედების ორი ოქრო **კაროლინა კლუფტსა** (ხუთჭიდი) და **სუზანა კალურზე** (60 მეტრზე თარჯრბენი) მოდის, სლოვაკებს გამარჯვება მოუპოვა ბირთვისმკვრელმა **მიკულაშ კონოპკამ**, ჰოლანდიელთა ოქრო კი მორბენალ **გრეგორი სედოცის** ანგარიშზეა.

კლუფტს მრავალჭიდში (ჭერქვეშა ტურნირებზე ხუთჭიდში, ღია არენებზე კი შვიდჭიდში) უკვე ხუთი სეზონია, ვერავინ სჯობნის. მის მჯობნს არც ბირმინგემში უასპარეზია. შვედმა თავიდანვე კარგად (60 მეტრზე თარჯრბენის მოგებით) დაიწყო და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ამ დისციპლინაში ბადალი არ ჰყავს.

კლუფტმა, ვინც შვიდჭიდში მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, პროგრამის ბოლო დისციპლინაში, 800 მეტრზე სირბილში მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა ლიდერობა. საბოლოოდ, მან მხოლოდ 24 ქულით აჯობა მეორეზე გასულ ბრიტანელ **კელი სოთერტონს**.

"ბოლო წრეზე მოვეშვი და ბედნიერი ვიყავი, რომ ამის საშუალება მქონდა. ჩემთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე ძნელად მოპოვებული ოქროა. მთელი ტურნირის განმავლობაში კელი სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევდა. ისე, ძალიან კარგია, რომ ასპარეზობა ასეთი დაძაბული იყო, ეს ჩვენს დისციპლინას პოპულარობას შემატებს", - განაცხადა ჩემპიონმა, ვინც სიმაღლეზე ხტომაში ბრიტანელ **ჯესიკა ენისთან** წააგო და ცოტა ხნით ლიდერობაც მასვე გადააბარა, თუმცა ბირთვის კვრის შემდეგ მეხუთეზე გადაინაცვლა. ლიდერობა კი სოთერტონმა გადაიბარა, ვინც ბირთვი შვედზე 14 სანტიმეტრით შორს კრა. კლუფტმა ლიდერობა სიგრძეზე ხტომის შემდეგ დაიბრუნა და ხელიდან აღარც გაუშვია.

კალურმა უხეირო სტარტი აიღო, მაგრამ ფინიშამდე მაინც შეძლო რუსი **ალექსანდრა ანტონოვას** გასწრება და აქამდე თუ ღია არენაზე იყო ევროპის ჩემპიონი (ეს ტიტული შარშან მოიპოვა), ამჯერად ჭერქვეშა არენაზეც კონტინენტის საუკეთესო თარჯმრბენი გახდა.

"ასეთი ცუდი სტარტის შემდეგ თუ მოვიგებდი, არ მეგონა. მოკლედ, ჩემი გამარჯვება იმის ნიშანია, რომ კარგ ფორმაში ვარ და ვიმედოვნებ, რომ მას სეზონის განმავლობაშიც შევინარჩუნებ", - განაცხადა კალურმა.

ვაჟების 60 მეტრზე თარჯრბენი ჩვენთვის იმით იყო საინტერესო, რომ მასში ქართველმა **დავით ილარიანმა** იასპარეზა. სამწუხაროდ, ჩვენებურმა პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ გაიარა. არადა, სედოცის საჩემპიონო შედეგს მხოლოდ 0.35 წამით ჩამორჩა.

ტურნირის მეორე დღეს ოქროს ორი მედალი მოიპოვეს ბრიტანელებმა - 400 მეტრზე სპრინტში საუკეთესო იყო **ნიკოლა სანდერსი**, კაცების სამხტომში კი ბადალი არ ჰყავდა **ფილიპს იდოვუს**.

ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ სარბენ ბილიკს ბირმინგემში დაუბრუნდა ბერძენი **კატერინი თანუ**, ვინც ათენის ოლიმპიადაზე, დოპინგკონტროლისთვის თავის არიდების გამო ორი სეზონი გამოტოვა. არენაზე მის გამოჩენას მაყურებელი სტვენით შეეგება, თუმცა ბერძენმა სპრინტერმა ფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ნახევარფინალურ გარბენში მან მხოლოდ ევროპის ბელგიელ ჩემპიონ (ღია არენაზე) **კიმ გევაერტთან** წააგო.

კალურის მიღწევა ბელგიელმა სიმაღლეზემხტომელმა **ტია ჰელებაუტმაც** გაიმეორა, რომელმაც ყველა მეტოქე აშკარად დაჯაბნა და შარშან, ღია არენაზე მოპოვებულ ევროპულ ტიტულს ახლა ჭერქვეშა ჩემპიონატის ოქროც დაურთო. მისი ნახტომი (2.05 მეტრი) ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატების და მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგია.

ყოფილმა მრავალჭიდელმა ოქროს მედალი ჯერ კიდევ 1.99 მეტრზე გადახტომით გაინაღდა, შემდეგ კი 2.05 მეტრზე გადებულ თამასასაც გადაევლო, რის შემდეგაც მსოფლიო რეკორდსაც (2.09 მეტრი) შეეჭიდა, მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ბირმინგემი (ინგლისი)

ქალები

ხუთჭიდი

1. კაროლინა კლუფტი (შვედეთი) 4023; 2. კელი სოთერტონი (ბრიტანეთი) 3999; 3. კარინ რუკშტული (პოლანდია) 3931...

60 მეტრი თარჯრბენი

1. სუზანა კალური (შვედეთი) 7.87; 2. ალექსანდრა ანტონოვა (რუსეთი) 7.94; 3. კირსტენ ბოლმი (გერმანია) 7.97...

სიმაღლეზე ხტომა

1. ტია ჰელებაუტი (ბელგია) 2.05; 2. ანტონიეტა დი მარტინო (იტალია) 1.96; 2. ვანელინა ვენევა (ბულგარეთი) 1.96; 2. რუთ ბეიტია (ესპანეთი) 1.96...

სიგრძეზე ხტომა

1. ნაიდე გომეში (პორტუგალია) 6.89; 2. კონსეპსიონ მონტანერი (ესპანეთი) 6.69; 3. დენისა სკერბოვა (ჩეხეთი) 6.64...

1500 მეტრი

1. ლიდია ჩოიეცკა (პოლონეთი) 4:05.13; 2. ნატალია პანტელეევა (რუსეთი) 4:06.04; 3. ოლესია ჩუმაკოვა (რუსეთი) 4:06.48...

400 მეტრი

1. ნიკოლა სანდერსი (ბრიტანეთი) 50.02; 2. ილონა უსოვიჩი (ბელარუსი) 51.00; 3. ოლესია ზიკინა (რუსეთი) 51.69...

ვაჟები

ბირთვის კვრა

1. მიკულაშ კონოპკა (სლოვაკეთი) 21.57; 2. პაველ ლიჟინი (ბელარუსი) 20.82; 3. იოახიმ ოლსენი (დანია) 20.55...

60 მეტრი თარჯრბენი

1. გრეგორი სედოცი (ჰოლანდია) 7.63; 2. მარსელ ვან დერ ვესტენი (ჰოლანდია) 7.64; 3. ჯეკსონ კვინონესი (ესპანეთი) 7.65...

სამხტომი

1. ფილიპს იდოვუ (ბრიტანეთი) 17.56; 2. ნეითან დაგლასი (ბრიტანეთი) 17.47; 3. ალექსანდრ სერგეევი (რუსეთი) 17.15...

ჭოკით ხტომა

1. დენი ეკერი (გერმანია) 5.71; 2. დენის იურჩენკო (უკრაინა) 5.71; 3. ბიორნ ოტო (გერმანია) 5.71...

3000 მეტრი

1. კოსიმო კალიანდრო (იტალია) 8:02.44; 2. ბობ ტარი (საფრანგეთი) 8:02.85; 3. ხესუს ესპანა (ესპანეთი) 8:02.91...

400 მეტრი

1. დევიდ გილიკი (ირლანდია) 45.52; 2. ბასტიან სვილიმსი (გერმანია) 45.62; 3. რობერტ ტობინი (ბრიტანეთი) 46.15...

TV სპორტი

5 მარტი. ორშაბათი

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ატლეტიკო.
15:10 იტალიის ჩემპიონატი. მესინა-პალერმო.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ტოტენჰემი.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. არგ. ხუნიორსი-რივერ პლეიტი.
20:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლანსი.

SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი.
10:45 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-ნეშვილი.
12:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. აკაპულკო. მექსიკა.
15:40 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ხოსე.
17:25 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-სპორტინგი.
19:10 მძლეოსნობა.
19:35 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-პალმეირასი.
21:20 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 სპორტკლუბი.
00:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:00 პროფესიული კრივის საღამო.
03:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. რეალი-ბაიერნი.
05:25 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ლეირია-სპორტინგი.
07:45 მძლეოსნობა.

EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
12:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
13:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 30 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 50 კმ. მას-სტარტი. საპორო. იაპონია.
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. საპორო. იაპონია.
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
17:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ლაჰტი. ფინეთი.
17:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
19:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო ჩემპიონატი. HS100. საპორო. იაპონია.
20:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
21:30 მულტისპორტი.
22:00 სნუკერი.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიო თასი.
00:00 ბრძოლა წესების გარეშე.
01:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 მძლეოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ბირმინგემი. ინგლისი.
04:00 მულტისპორტი.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ლაკროსი.
14:00 ექსტრემალური სპორტი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 სნოუბორდი.
18:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ცდა. ფილიპ აილენდი. ავსტრალია.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩი. გუმერსბახი (გერმანია)-ვალიადოლიდი (ესპანეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ციგურებით კროსი.
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტაუგრესი-უნიკახა.
00:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
01:00 პოკერი. ევროპის მასტერსი. პარიზი. საფრანგეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მილანი. იტალია.
03:15 ახალი ამბები.
03:30 ექსტრემალური სპორტი.
04:30 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

კალათბურთი

NBA	
ბოსტონი-მინესოტა	124:117 (ო)
ვაშინგტონი-გოლდენ სტეიტი	107:106

საბერძნეთი	
აპოლონი-აელ	78:79
პანიონიოსი-პანელინიოსი	60:66
პანათინაიკოსი-პაოკ	68:58
არისი-აეკ	82:65
მაკედონიკოსი-ოლიმპიაკოსი	60:88
მარუსი-ეგალეო	63:62

ესპანეთი	
ესტუდიანტესი-ალიკანტე	90:81
გრან კანარია-გრანადა	79:70
ტაუგრესი-უნიკახა	85:56
ბილბაო-ხუვენტუდი	75:81
ვალიადოლიდი-რეალი	77:74
ბარსელონა-მურსია	86:72
მენორკა-ხირონა	56:71
პამესა-ფუენლაბრადა	75:58
კ. სან ფერნანდო-ბრუესა	86:79

იტალია	
ნაპოლი-მონტეპასკი	88:90 (ო)
სნაიდერო-კანტუ	100:91
აველინო-ვარეზე	72:87
ბენეტონი-საშარი	77:73
ბიელა-რეჯო ემილია	67:57
ვირტუსი-რომა	77:78
დ'ორლანდო-ტერამო	88:84
მილანი-მონტეგრანარო	88:81
ლივორნო-კლიმამიო	89:95

საფრანგეთი	
ბეზანსონი-რეიმსი	101:91
შალონი-კლერმონი	68:65
შოლე-სტრასბური	69:50
ჰავრი-ლე მანი	68:94
ნანსი-ბურკი	76:60
პსჟ-ორლეანეზი	66:76
რუანი-ბულონი	104:83
პო ორტეზი-ვილერბანი	95:81

ჰოკეი

რუსეთი	
ამური-მეტალურგი (მ)	1:1
მეტალურგი (ნ)-ხიმიკი	4:3
ტრაქტორი-სიბირი	2:2
ლადა-მვდ	0:1
დინამო-ცსკა	2:4
კრილია-ავანგარდი	1:17
ლოკომოტივი-სევერსტალი	6:2
საა-ნეფტეხიმიკი	1:6
ვიტიაზი-ს. იულაევი	3:1

NHL	
დეტროიტი-კოლორადო	3:3
პიტსბურგი-ფილადელფია	3:3
ატლანტა-კაროლინა	3:1

გერმანია	
აისბარენი-აუგსბურგი	3:2
ჰანოვერი-ფრანკფურტი	5:2
დიუსელდორფი-ინგოლშტადტი	5:2
ისერლონი-დუისბურგი	6:0
კრეფელდი-კიოლნი	1:7
ნიურნბერგი-ჰამბურგი	3:2
შტრაუბინგი-მანჰაიმი	1:5

სლოვაკეთი	
ნიტრა-ზვოლენი	3:3
სკალიცა-კოშიცე	4:4
მარტინი-ტრენჩინი	2:3
პოპრადი-სლოვანი	3:1

ფინეთი	
ტაპარა-კიეკო	2:0
ტპს-იოკერიტი	2:4
ჰპკ-კალპა	5:1
იუვიასკიულა-ილვესი	5:2
ლუკო-პელიკანსი	1:1
ესპო-კერპეტი	3:4

ჩეხეთი	
სპარტა-ზლინი	4:0
ბუდეიოვიცე-სლავია	1:1
ბუდეიოვიცე-სლავია	5:1
სპარტა-ზლინი	3:2

შვეიცარია	
ციურიხი-დავოსი	5:2
რაპერსვილი-ცუგი	5:5
კლოტენი-ლუგანო	3:1
სერვეტი-ბერნი	2:1

კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

3 მარტი

ს. ანტონიო-ორლანდო 98:74

22:16, 21:17, 22:24, 33:17

სან ანტონიო: ჯინობილი (31 ქ. 5 პ. 4 მ), დანკანი (19 ქ. 10 მ. 4 პ. 3 ჩ. 2 დ), ფინლი (12 ქ).
ორლანდო: თურქოღლუ (22 ქ), ნელსონი (18 ქ. 7 მ. 4 პ), დ. ჰოვარდი (9 ქ. 9 მ).

ფინიქსი-ინდიანა 115:90

30:28, 32:21, 27:25, 26:16

ფინიქსი: ა. სტაუდმაიერი (23 ქ. 10 მ. 3 დ), ნეში (23 ქ. 7 პ), რ. ბელი (17 ქ), ბარბოსა (14 ქ. 10 პ), პაიატკოვსკი (11 ქ), ბერკი (10 ქ), კურტ ტომასი (6 ქ. 15 მ).
ინდიანა: დ. გრეინჯერი (20 ქ. 5 მ), მ. დენიელსი (16 ქ), ჯ. ონილი (16 ქ. 7 მ. 2 დ), ტინსლი (11 ქ. 6 პ. 4 მ), მერფი (10 ქ. 5 მ), მ. დანლივი-უმცროსი (10 ქ).

ვაშინგტონი-ატლანტა 93:92

25:24, 22:21, 27:22, 19:25

ვაშინგტონი: ჯეიმისონი (22 ქ. 6 მ), არენასი (19 ქ. 5 მ), ჰეივუდი (14 ქ. 9 მ).
ატლანტა: ჯოშ სმიტი (24 ქ. 14 მ. 7 დ. 2 ჩ. 2 პ), მერვინ უილიამსი (21 ქ. 6 მ), ჯ. ჯონსონი (20 ქ. 6 პ. 4 მ), ჩილდრესი (16 ქ. 8 მ. 2 პ), ზაზა ფაჩულია (9 ქ. 7 მ. 2 პ. 1 ჩ).

ლეიკერსი-საკრამენტო 108:116

26:37, 22:28, 26:27, 34:24

ლეიკერსი: ბრაიანტი (30 ქ. 10 პ. 4 მ), ოდომი (26 ქ. 13 მ. 6 პ), მაკკი (12 ქ), ბინუმი (11 ქ. 6 მ. 2 დ).
საკრამენტო: ბიბი (33 ქ. 7 პ. 4 მ), კევინ მარტინი (20 ქ), არტესტი (19 ქ), აბდურ-რაჰიმი (12 ქ. 5 მ), უილიამსონი (12 ქ).

ფილადელ.-მემფისი 117:112 (ო)

22:23, 23:25, 28:25, 30:30, 14:9

ფილადელფია: იგუოდალა (27 ქ. 9 მ. 6 პ. 4 ჩ), კორვერი (27 ქ. 4 ჩ), ჯო სმიტი (18 ქ. 12 მ. 2 დ), უ. გრინი (16 ქ), ა. მილერი (11 ქ. 12 პ. 2 ჩ), დალემბერი (10 ქ. 7 მ. 2 დ), ს. ჰანტერი (8 ქ. 7 მ. 3 დ).
მემფისი: გასოლი (31 ქ. 13 მ. 6 პ. 3 დ), მ. მილერი (27 ქ. 5 პ. 2 ჩ), უორიკი (17 ქ. 6 მ), გეი (15 ქ. 2 დ), დ. სტაუდმაიერი (14 ქ. 5 პ).

ტორონტო-მილუოკი 81:94

22:21, 23:27, 18:20, 18:26

ტორონტო: ბარნიანი (16 ქ. 9 მ. 2 დ), ბოში (14 ქ. 10 მ. 3 პ. 3 დ), გარბახოსა (13 ქ. 3 ჩ. 2 დ), პიტერსონი (10 ქ), ტი. ჯეი. ფორდი (10 ქ. 9 პ. 5 მ).
მილუოკი: რედი (21 ქ), ჩ. ბელი (19 ქ. 4 ჩ), ბოგუტი (18 ქ. 11 მ. 3 პ), ვილიანუევა (14 ქ. 11 მ), მო უილიამსი (13 ქ. 8 პ. 6 მ).

ნ. იორკი-გ. სტეიტი 106:97

26:18, 28:30, 21:27, 31:22

ნიუ იორკი: მარბერი (34 ქ. 5 პ), კ. რიჩარდსონი (30 ქ. 12 მ), კარი (22 ქ. 7 მ), ფრენსისი (7 ქ. 7 პ).
გოლდენ სტეიტი: ე. ჰარინგტონი (26 ქ. 8 მ), მ. ელისი (17 ქ. 6 პ. 5 მ), აზუბუიკე (13 ქ), მ. პიეტრუსი (13 ქ), იასიკიავიჩიუსი (11 ქ. 7 პ. 3 ჩ).

მაიამი-დეტროიტი 85:82

20:15, 30:16, 11:26, 24:25

მაიამი: შ. ონილი (31 ქ. 15 მ. 6 პ), ა. უოკერი (22 ქ), პოუსი (10 ქ. 7 მ).
დეტროიტი: პრინსი (22 ქ. 7 მ. 2 ჩ), რ. ჰამილტონი (20 ქ. 5 პ), მაკდაიესი (17 ქ. 12 მ. 2 ჩ), უებერი (8 ქ. 13 მ).

მინესოტა-იუტა 83:109

19:22, 20:35, 23:23, 21:29

მინესოტა: გარნეტი (22 ქ. 4 მ), რ. დეივისი (16 ქ. 5 პ), კ. სმიტი (11 ქ).
იუტა: დ. უილიამსი (21 ქ. 8 პ. 4 მ), გირიჩეკი (20 ქ. 5 მ), ჰარპრინგი (19 ქ), ჯეისონ კოლინზი (10 ქ. 6 მ), კირილენკო (10 ქ. 2 ჩ), ოქური (10 ქ).

ჩიკაგო-ნ. ორლეანი 104:93

26:21, 27:32, 26:26, 25:14

ჩიკაგო: გორდონი (27 ქ. 4 მ. 4 პ), დენგი (24 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ), ჰაინრიხი (22 ქ. 4 მ. 4 პ), ტაირუს ტომასი (10 ქ. 7 მ).
ნიუ ორლეანი: პოლი (16 ქ. 6 პ), ბ. ჯექსონი (13 ქ), დევიდ უესტი (12 ქ. 3 ჩ. 2 დ), დევინ ბრაუნი (12 ქ), მეისონი (11 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 13 მ).

დენვერი-ჰიუსტონი 97:108

26:35, 29:25, 14:27, 28:21

დენვერი: ენტონი (30 ქ. 7 მ. 2 დ), აივერსონი (19 ქ. 5 პ), ბლეიკი (14 ქ. 6 მ. 6 პ), ნახერა (10 ქ. 3 პ), კლეიზა (10 ქ), კემბი (1 ქ. 7 დ).
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), ჯუვან ჰოვარდი (18 ქ. 7 პ. 6 მ), ჰედი (17 ქ), ბეტიე (15 ქ. 2 ჩ), ალსტონი (12 ქ. 6 პ), მუტომბო (5 ქ. 22 მ).

4 მარტი

ჰიუსტონი-სან ანტონიო 74:97

15:30, 27:24, 17:27, 15:16

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (21 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), სნაიდერი (14 ქ. 5 მ).
სან ანტონიო: დანკანი (26 ქ. 2 ჩ), ფინლი (14 ქ), ელსონი (13 ქ. 8 მ), უდრიხი (12 ქ).

ნ. ჯერსი-ბოსტონი 88:96 (ო)

20:15, 16:18, 17:17, 30:33, 5:13

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (25 ქ. 10 მ. 3 პ. 2 დ), ე. პაუსი (14 ქ), მური (13 ქ. 7 მ. 4 დ), კიდი (4 ქ. 6 მ. 6 პ).
ბოსტონი: ელ ჯეფერსონი (32 ქ. 18 მ. 2 დ), პირსი (17 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), დელონტე უესტი (15 ქ. 6 პ), გომესი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ).

ატლანტა-ნ. იორკი 100:104 (ო)

31:15, 18:22, 22:25, 16:25, 13:17

ატლანტა: ჯ. ჯონსონი (32 ქ. 8 მ. 7 პ. 3 ჩ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 11 მ. 6 პ. 3 დ), ჩილდრესი (14 ქ. 10 მ. 3 პ), მერვინ უილიამსი (14 ქ), **ზაზა ფაჩულია (12 ქ. 9 მ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ).**
ნიუ იორკი: მარბერი (38 ქ. 9 პ. 5 მ. 5 ჩ), ფრენსისი (26 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), ბალკმენი (12 ქ. 13 მ).

კლივლენდი-ტორონტო 120:97

30:23, 32:29, 31:22, 27:23

კლივლენდი: ლ. ჯეიმსი (36 ქ. 6 პ. 5 მ. 3 დ), ჰიუზი (27 ქ. 5 მ. 5 პ), ვარეჟაო (14 ქ. 11 მ. 2 დ), ს. ბრაუნი (14 ქ), დ. მარშალი (12 ქ. 9 მ. 3 პ).
ტორონტო: ბოში (25 ქ. 6 მ. 3 პ), დიქსონი (24 ქ. 5 მ. 4 პ), ჰამფრიზი (12 ქ).

მემფისი-დეტროიტი 89:92

23:28, 26:21, 19:16, 21:27

მემფისი: მ. მილერი (24 ქ), გასოლი (22 ქ. 15 მ), უორიკი (13 ქ), გეი (12 ქ. 8 მ. 2 ჩ).
დეტროიტი: ბილაპსი (19 ქ. 9 პ. 5 მ), პრინსი (17 ქ. 6 მ), უებერი (13 ქ. 8 მ. 5 პ), რ. ჰამილტონი (12 ქ. 7 პ).

დალასი-ორლანდო 103:98

24:19, 16:23, 35:30, 28:26

დალასი: ტერი (29 ქ. 15 პ. 2 ჩ), ნოვიცკი (24 ქ. 9 მ. 7 პ. 2 დ), ჯოშ ჰოვარდი (21 ქ. 2 ჩ), დ. ჰარისი (10 ქ).
ორლანდო: დ. ჰოვარდი (25 ქ. 10 მ. 4 პ. 4 დ), თურქოღლუ (19 ქ. 7 მ. 5 პ), ნელსონი (17 ქ), არიზა (11 ქ), აროიო (10 ქ), მილიჩიჩი (7 ქ. 8 მ).

პორტლენდი-საკრამენტო 96:104

25:33, 26:24, 23:25, 22:22

პორტლენდი: ზ. რენდოლფი (24 ქ. 12 მ. 3 პ), როი (15 ქ. 7 პ), უებსტერი (14 ქ. 8 მ), ჯეკი (13 ქ. 5 პ), უდოკა (10 ქ), ოლდრიჯი (3 ქ. 10 მ).
საკრამენტო: კევინ მარტინი (33 ქ. 6 მ. 6 პ), არტესტი (23 ქ. 9 მ. 4 პ), ბიბი (13 ქ), აბდურ-რაჰიმი (10 ქ).

კლიპერსი-ინდიანა 87:64

20:17, 23:13, 20:16, 24:18

კლიპერსი: მაგეტი (20 ქ. 4 პ. 3 ჩ), ბრენდი (17 ქ. 12 მ. 3 დ), კამანი (16 ქ. 7 მ. 2 ჩ. 2 დ).
ინდიანა: ტინსლი (16 ქ. 5 პ), ჯ. ონილი (9 ქ).

კალათბურთი

თვის საუკეთესოები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გასული თვის შედეგები შეაჯამა და თებერვლის თვის საუკეთესო კალათბურთელები დაასახელა.

აღმოსავლეთში საუკეთესო გახდა "დეტროიტ პისტონზის" გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი**. ამ კლუბმა თებერვალში 10-დან 10 შეხვედრა მოიგო, ხოლო მისი ლიდერი საშუალოდ შეხვედრაში 17.9 ქულასა და 7.5 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

დასავლეთ კონფერენციაში პირველობა არავის დაუთმო "დალას მავერიქსის" გერმანელმა ფორვარდმა **დირკ ნოვიცკიმ**. ისევე როგორც "დეტროიტმა", გასულ თვეში "დალასმაც" 10-დან 10 შეხვედრაში იმარჯვა, რაშიც ნოვიცკის წვლილი უდიდესი იყო. დირკის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 27.1 ქულას და 9.7 მოხსნას უდრიდა.

მუტომბოს მორიგი რეკორდი

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **დიკემბე მუტომბომ** NBA-ის ახალი რეკორდი დამყარა. ის გახდა 40 წელს გადაცილებული პირველი კალათბურთელი, რომელმაც ერთ შეხვედრაში 20-ზე მეტი მოხსნა შეასრულა.

"დენვერ ნაგეტსთან" მატჩში, ვეტერანმა მოთამაშემ 22-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება (107:98) მოაპოვებინა. ივნისში მუტომბოს 41 წელი უსრულდება.

"ნაგეტსის" სნაიპერმა **ალენ აივერსონმა** მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მუტომბოს ასეთ დონეზე თამაში კიდევ მრავალ წელს შეეძლება. *"ეს დაუჯერებელია. "ჰიუსტონმა" იაო მინის სახით ბრწყინვალე მოთამაშე დაკარგა, მაგრამ მუტომბო პირველი ცენტრი გახდა და თავის მოვალეობებს შესანიშნავად ართმევს თავს. მის ასაკზე საუბარი ცოტათი უხერხულიც კია".*

რადმანოვიჩი 500 ათასით დასაჯეს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" კალათბურთელმა **ვლადიმერ რადმანოვიჩმა** ტრავმა მიიღო და მინიმუმ ორი თვე ვერ შეძლებს თამაშს.

გუშინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ სერბი კალათბურთელი 500 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმით დასაჯა. საქმე იმაშია, რომ რადმანოვიჩმა ტრავმა სნოუბორდით სრიალის დროს მიიღო, რითაც მან კონტრაქტის პირობები დაარღვია.

პორტლენდი პრეზიდენტის გარეშე დარჩა

გასულ უიქენდზე, პოსტიდან გადადგა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" პრეზიდენტი და გენერალური მენეჯერი - **სტივ პატერსონი**. ამ გადაწყვეტილების სავარაუდო მიზეზად ასახელებენ იმას, რომ კლუბის მფლობელმა **პოლ ალენმა** არ ისურვა პატერსონთან კონტრაქტის გაგრძელება.

პატერსონი "პორტლენდის" პრეზიდენტის მოვალეობებს 4 წელია ასრულებდა, ხოლო გასული წლის მაისიდან მან გენერალური მენეჯერის პოსტიც შეითავსა, როცა ჯლუბის ხელმძღვანელობამ **ჯონ ნეში** გაათავისუფლა.

ჯერჯერობით, "თრეილ ბლეიზერსის" პრეზიდენტის მოვალეობებს ამერიკული საფეხბურთის ლიგის კლუბ "სიეტლ სიჰოქსის" (რომელიც ასევე ალენის მფლობელობაშია) შეფი **ტოდ ლეივეკე** შეასრულებს. ის ამ პოსტზე მანამდე დარჩება, სანამ პატერსონს სრულფასოვან შემცვლელს არ მოუძებნიან.

პრეიბილა წელს ველარ ითამაშებს

წლევანდელი სეზონი დასრულდა "პორტლენდის" ცენტრალური თავდამსხმელის **ჯოელ პრეიბილასთვის**. 27 წლის კალათბურთელმა "ლეიკერსთან" მატჩში დაიზინა მუხლი და მომავალ სეზონამდე ველარ შეძლებს მოედანზე გასვლას. მალე პრეიბილა ტრავმირებულ მუხლზე ოპერაციას გაიკეთებს.

2006-07 წლების სეზონში "პორტლენდის" ცენტრმა 43 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 2.0 ქულას, 3.9 მოხსნას და 1.5 დაფარებას აგროვებდა.

ილიადისი MVP გახდა

ევროლიგის TOP 16-ის მესამე ტურის შემდეგ, ULEB-მა ტრადიციულად ტურის საუკეთესო კალათბურთელი დაასახელა. MVP-ის ტიტული საბერძნეთის "არისის" მცველმა **სავის ილიადისმა** დაიმსახურა. მიუხედავად იმისა, რომ მისმა გუნდმა იტალიის "ბენეტონთან" წააგო და პრაქტიკულად დაკარგა მეოთხედფინალში გასვლის შანსი, ილიადისმა შთამბეჭდავი თამაში აჩვენა - 23 ქულა, 4 მოხსნა, 2 შედეგიანი პასი და 3 ჩაჭრა. გარდა ამისა, აიძულა მეტოქეები მასზე 7 პერსონალური ჯარიმა მიეღოთ.

საბოლოოდ, ილიადისის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 30 ქულა შეადგინა. ბერძენს ორი ქულით ჩამორჩა ესპანეთის "ტაუგრესის" თურქი ლეგიონერი **სერქან ერდოგანი**. 27-27 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს მოსკოვის არმიელმა **მატეიაზ სმოდიშმა** და "ბენეტონის" კალათბურთელმა **ტარელ ლიდეიმ**.

ჯრიტი

ვალუევი და ჩაგაევი შტუტგარტში იჩხუბებენ

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, WBA-ს ვერსიით სუპერმძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** ტიტულის დაცვას აუცილებელ პრეტენდენტთან - უზბეკ **რუსლან ჩაგაევთან** გამართავს. ორი დღის წინ გაირკვა, რომ ეს ბრძოლა 14 აპრილს, გერმანიის ქალაქ შტუტგარტში გაიმართება.

"მოუთმენლად ველი შტუტგარტში ბრძოლას, - თქვა რუსმა მოკრივემ. - მხარული ვარ, რომ შევიცარიაში და ამერიკაში გამართული ორი წარმატებული ბრძოლის შემდეგ, კვლავ გერმანიაში მიწევს ჩხუბი".

ფორმულა 1

რაიკონენი 51 მილიონს მიიღებს

ბრიტანულმა ჟურნალმა F1Racing-მა მომავალი სეზონის 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი ავტომრბოლის სია გამოაქვეყნა. 2007 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე პილოტებიდან, ყველაზე მაღალი ხელფასი "ფერარის" ახალწვეულს, ფინელ **კიმი რაიკონენს** ექნება - ის 51 მილიონ დოლარს მიიღებს. პირველ სამეულში შევიდნენ გერმანელი **რალფ შუმახერი** და ესპანელი **ფერნანდო ალონსო**.

აი, როგორ გამოიყურება ყველაზე მდიდარი პილოტების სია:

1. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, Ferrari) - 51 მილიონი
2. **რალფ შუმახერი** (გერმანია, Toyota) - 25 მილიონი
3. **ფერანდო ალონსო** (ესპანეთი, McLaren) - 22 მილიონი
4. **ჯენსონ ბატონი** (ბრიტანეთი, Honda) - 18 მილიონი
5. **რუბენს ბარიკელო** (ბრაზილია, Honda) - 12 მილიონი
6. **იარნო ტრული** (იტალია, Toyota) - 10 მილიონი
7. **ფელიპე მასა** (ბრაზილია, Ferrari) - 8 მილიონი
8. **ჟანკარლო ფიზიკელა** (იტალია, Renault) - 7 მილიონი
9. **მარკ უებერი** (ავსტრალია, Red Bull) - 5 მილიონი
10. **ტაკუმა სატო** (იტალია, Super Aguri) - 4,5 მილიონი

რენატე გიორჩლი

მსოფლიოს თასი

გიორჩლის მეორე გლობუსი

სამთომოთხილამურეთა სეზონი ჯერ არ დასრულებულა, ავსტრიელმა **რენატე გიორჩლმა** კი უკვე გაინაღდა ბროლის ორი გლობუსი - სლოვენიის კრანისკა გორაში, დაშვების რბოლა რომ მეორეზე დაასრულა, ამით ამ ჩქაროსნული დისციპლინის კლასიფიკაციაში მდევრებისთვის მიუწვდომელი გახდა. დაშვებამდე, რენატემ გლობუსი კიდევ ერთ ჩქაროსნულ დისციპლინაში, სუპერგიგანტში გაინაღდა.

სეზონის ბოლოსწინა დაშვებაში გიორჩლი იმის მიუხედავად გავიდა, რომ ვარჯიშზე ორივე მუხლი დაუზიანდა. თუმცა ფეხმტკივნამა იმდენი მაინც შეძლო, რომ ერთი მეტოქის გარდა, ყველას აჯობა. ის ერთადერთი კი ამერიკელი **ჯულია მანკუზოა**, რომელმაც 2.9-კილომეტრიან ფერდობ პრამპეროზე ავსტრიელი სულ რაღაც 0.17 წამით მოიტოვა უკან.

ამ მოგებით, მანკუზომ დაშვების კლასიფიკაციაში მეორე ადგილი შეინარჩუნა (მანამდე მხოლოდ ერთ ქულას უგებდა თანაგუნდელ **ლინდსი კილდოუს**, ვინც ტრავმის გამო, სეზონი უკვე დაასრულა), თუმცა გიორჩლს 114 ქულით ჩამორჩება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავსტრიელი მისთვის მიუწვდომელია (მსოფლიოს თასის რბოლის მოგებისთვის მოთხილამურე ას ქულას ღებულობს).

"იმითაც კმაყოფილი დავრჩებოდი, თუ ამ სეზონში მხოლოდ ერთ გლობუსს ავიღებდი, მე კი უკვე ორი გავინაღდე და ეს საოცრებაა. არადა, სეზონის დაწყებამდე ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სეზონი იქნებოდა", - განაცხადა გიორჩლმა, ვისაც დაშვებაში ბროლის გლობუსი მანამდე ოთხჯერ (1997, 1999, 2004 და 2005 წლებში) ჰქონდა მოპოვებული, ჩქაროსნულ დისციპლინებში დუბლი კი პირველად 2004 წელს შეასრულა.

სხვათა შორის, გიორჩლმა განაცხადა, რომ ვარჯიშზე ტრავმა რომ არ მიეღო, დაშვების რბოლაში კვარცხლბეკზე ასვლას ვერ შეძლებდა. ყოველივე კი იმით განმარტა, რომ იმ ინციდენტის გამო, სუპერკომბინაციაში არ უასპარეზია და დაშვებაზე დასვენებული გავიდა.

რაც შეეხება აბსოლუტურ კლასიფიკაციას, დაშვების შემდეგ, იქ მონინავე კვარტეტს ოდენ 49 ქულა აშორებდა. ლიდერის პოზიცია კი შეინარჩუნა (გუშინდელი სუპერგიგანტის შემდეგ, თანალიდერები გიორჩლი და მანკუზო გახდენ) ავსტრიელმა **მარლის შილდმა**, ვინც დაშვების რბოლა მეშვიდე ადგილზე დაასრულა.

■ ■ ■

კაცების გიგანტური სლალომი კი ავსტრიელმა **ბენიამინ რაიხმა** მოიგო, ვინც ამ გამარჯვებით ამ დისციპლინის კლასიფიკაციაში, ბოლო რბოლის წინ სამი ქულით გადაასწრო ნორვეგიელ **აკსელ ლუნდ სვინდალს**, ვინც მეოთხე შედეგს დასჯერდა. სამაგიეროდ, აბსოლუტურში ვიკინგმა ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა ამჯერად მისი უპირატესობა სამ ქულამდე შემცირდა (გუშინდელი სლალომის შემდეგ, ლიდერი აქაც რაიხი გახდა).

პირველ ცდაზე რაიხმა საუკეთესო შედეგი აჩვენა, რამაც მეორეზე ზედმეტი ნერვიულობის გარეშე ასპარეზობის საშუალება მისცა. პირველ ცდაზე მესამე შედეგი ჰქონდა სვინდალს, მაგრამ მეორეზე მას იტალიელმა **მასიმილიანო ბლარდონემ** აჯობა და კვარცხლბეკის მიღმა დატოვა.

ამით ნორვეგიელი ძლიერ უკმაყოფილო დარჩა - პირველ ცდაზე კარგი შედეგი კი მქონდა, მაგრამ მეორეზე უფრო აგრესიული უნდა ვყოფილიყავიო. მეორე მხრივ, მას არც უკმაყოფილების საბაბი უნდა ჰქონოდა - კრანისკა გორას ტრასაზე უკეთესი შედეგიც არასოდეს ჰქონია.

სვინდალი თუ სლოვენიის ამ სამთო კურორტის ფერდობზე რბოლის შემდეგ არასოდეს ასულა კვარცხლბეკზე, რაიხისთვის ეს ტრასა იღბლიანია - ავსტრიელმა აქ ზედიზედ მესამე რბოლა მოიგო.

მერაბ ლორთქიფანიძე

კრანისკა გორა (სლოვენია)
კაცები. გიგანტური სლალომი

1. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:19.03 (1:09.83, 1:09.20); 2. ფრანსუა ბურკე (კანადა) 2:19.58 (1:10.20, 1:09.38); 3. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) 2:19.60 (1:10.47, 1:09.13); 4. ტედ ლიგეტი (აშშ) 2:19.65 (1:10.39, 1:09.26); 4. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:19.65 (1:10.26, 1:09.39); 6. დიდიე კუშე (შვეიცარია) 2:19.95 (1:10.71, 1:09.24); 7. პანს რაიხელტი (ავსტრია) 2:20.11 (1:11.24, 1:08.87); 8. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) 2:20.14 (1:10.94, 1:09.20); 9. მარიო შაიბერი (ავსტრია) 2:20.49 (1:12.15, 1:08.34); 10. ჟოელ შენალი (საფრანგეთი) 2:20.63 (1:10.49, 1:10.14)...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 868; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 865; 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) 788; 4. ბრდე მილერი (აშშ) 663; 5. პეტერ ფილი (იტალია) 601; 6. მარიო მატი (ავსტრია) 564; 7. კალე პალანდერი (ფინეთი) 482; 8. იენს ბიგმარკი (შვედეთი) 461; 9. მარკო ბიუხელი (ლიხტენშტაინი) 457; 10. მარიო შაიბერი (ავსტრია) 441...

ტარვიზიო (იტალია)
ქალები. დაშვება

1. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:52.67; 2. რენატე გიორჩლი (ავსტრია) 1:52.84; 3. ემილი ბრაიდონი (კანადა) 1:52.88; 4. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:52.99; 5. კელი ვანდერბეეკი (კანადა) 1:53.00; 6. ნადა შტიგერი (შვეიცარია) 1:53.17; 7. მარლის შილდი (ავსტრია) 1:53.19; 8. კირსტენ კლარკი (აშშ) 1:53.35; 9. ჩემი ელკოტი (ბრიტანეთი) 1:53.58; 10. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:53.64...

დაშვების კლასიფიკაცია

1. რენატე გიორჩლი (ავსტრია) 605; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 491; 3. ლინდსი კილდოუ (აშშ) 390; 4. ანია პერსონი (შვედეთი) 257; 5. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 232...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. მარლის შილდი (ავსტრია) 1148; 2. ჯულია მანკუზო (აშშ) 1139; 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 1103; 4. რენატე გიორჩლი (ავსტრია) 1099; 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) 808; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 629; 7. კატრინ ცეტელი (ავსტრია) 568; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 543; 9. მიხაელა კირხგაზერი (ავსტრია) 515; 10. ინგრიდ ჟაკემო (საფრანგეთი) 480...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
ვერაგ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაგ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცველიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გაფრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით ვაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასიელაია (1976-83)
არჩილ ჯოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დილები, აბ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
გარდა კვირისა